

# სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის

იუნესკო

გაეროს

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და  
კულტურის ორგანიზაცია

რეპორტიორები საზღვრების გარეშე  
პრესის თავისუფლებისთვის

# შინაარსი

## შესავალი

.....	გვ. 4
თავი 1 მთავარი დოკუმენტები კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების დაცვის შესახებ .....	გვ.6
თავი 2 სიფრთხილის ზომები ჯანმრთელობის დასაცავად .....	გვ.17
თავი 3 უსაფრთხოება ხაზებს მიღმა .....	გვ.21
თავი 4 უსაფრთხოება კონფლიქტის ზონაში .....	გვ.25
თავი 5 ჟურნალისტებისა და სხვა მედია პერსონალის დაცვა: „ბი ბი სი“-ს მაგალითი .....	გვ.42
თავი 6 დაშავებულებისა და დაჭრილებისთვის პირველადი დახმარება .....	გვ.57
თავი 7 მედიის როლი ჰუმანიტარული და გადაუდებელი დახმარების სიტუაციებში .....	გვ.68
თავი 8 „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-ს მიერ შემოთავაზებული დაცვა .....	გვ.72
თავი 9 ფსიქოლოგიური ტრავმა: ტრავმული სტრესის დაძლევა .....	გვ.75

თავი 10 ურთიერთობა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან .....	გვ.81
თავი 11 პრესის თავისუფლების ფუნდამენტური დოკუმენტები .....	გვ.83
თავი 12 მთავარი დოკუმენტები ჟურნალისტური ეთიკის შესახებ .....	გვ.87

---

## დანართი

---

დანართი 1 სასარგებლო მისამართები .....	გვ.94
დანართი 2 „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“: შესახებ და კონტაქტები .....	გვ.98
დანართი 3 შტატგარეშე ჟურნალისტებისთვის დაზღვევის პოლისი და ფოტოგრაფები ხელშეკრულებით .....	გვ.102
დანართი 4 ტრენინგი სახიფათო ტერიტორიებზე მუშაობის მსურველი ჟურნალისტებისთვის .....	გვ.106

## შესავალი

პრესის თავისუფლება არ არის მხოლოდ ჟურნალისტებისთვის. თუ არ არსებობს თავისუფალი მედია, დღესდღეობით არსებული წამების, მონობის, კორუფციისა და ბავშვი-სამხედროების გამოყენებების წინააღმდეგ ბრძოლა არაეფექტური იქნება. ინფორმაციასა და ახალ ამბებზე თავისუფალი წვდომა მთავარი გამოწვევაა.

თუმცა, გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ყველა დანარჩენი თავისუფლებების საფუძველია, დასაცავად და მხარდასაჭერად ერთ-ერთი ურთულესი უფლებაა. თითქმის ყველა მსოფლიო მმართველი ამბობს, რომ მხარს უჭერს მას, მაგრამ გამუდმებით არ არღვევს ამას.

მსოფლიოში 170-ზე მეტი ჟურნალისტი ციხეშია მხოლოდ იმ „დანაშაულისთვის“, რომ „მიუღებელი მოსაზრებები“ ჰქონდა. ბოლო 15 წლის განმავლობაში 800-ზე მეტი ჟურნალისტი მოკლეს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს და მათი მკვლელების 90 % არ დაუსჯიათ. ინტერნეტი, რომელიც მსოფლიოში ცენზურისგან თავისუფლად არის მიჩნეული, ჯაშუშებისთვის სულ უფრო ხელმისაწვდომია. 100-მდე კიბერ-დისიდენტი, ბლოგერები და ინტერნეტის მომხმარებლები დააპატიმრეს იმისთვის, რომ საკუთარი მოსაზრება ონლაინში დაავიქსირეს.

ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმები სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებს. ერაყში რამდენიმეწლიანი კონფლიქტის დროს სამჯერ მეტი ჟურნალისტი დაიღუპა, ვიდრე ვიეტნამის 20-წლიანი ომის დროს. ასევე აქტიურად ხდება ჟურნალისტების გატაცება და რეპორტიორებს უმოწყალო შეიარაღებული დაჯგუფებების პირისპირ ყოფნა უწყევთ. ჟურნალისტებზე რეპრესიები მთავრობის განხილვის საკითხი აღარ არის. ტერორისტული ორგანიზაციები, ბანდები, ნარკო-მოვაჭრეები, რელიგიური ექსტრემისტები და პოლიტიკური ჯგუფები ყოველთვის ცდილობენ უადგილო თვითმხილველები, რომლებადაც ჟურნალისტები მოიაზრებიან, თავიდან მოიცილონ.

ჟურნალისტების დაცვა, განსაკუთრებით მათი, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მუშაობენ, მნიშვნელოვან საკითხად იქცა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2006 წლის დეკემბერში, უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში საკითხს მხარდაჭერა გამოუცხადა. „იუნესკომ“, ასევე, 2007 წლის მაისის „მედელინის დეკლარაციაში“ წევრ ქვეყნებს, საკუთარ ტერიტორიასა თუ საზღვარგარეთ, ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის წინააღმდეგ გამოვლენილი ნებისმიერი ძალადობრივი აქტის გამოძიებისა და პროცესში შეიარაღებული ძალების ჩართულობის შესაძლებლობის

დადგენისკენ მოუწოდა. „იუნესკო“-მ სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისთვის პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტების გათავისუფლების მოწოდებაც გააჟღერა.

ეს სახელმძღვანელო კონფლიქტის ზონაში მომუშავე ჟურნალისტების დასახმარებლად არის. სარაკეტო იერიშისა თუ ჩასაფრებული საფრთხის თავიდან აცილების ჯადოსნური გზა არ არსებობს, მაგრამ არის მნიშვნელოვანი დეტალები, რომელიც საღ აზრს ეფუძნება (ხშირად უგულვებელყოფენ) და რომელიც ბევრ ჟურნალისტს პრობლემის გადაჭრაში დაეხმარება. ჩვენ წარმოგიდგენთ პრესის თავისუფლების ფუნდამენტურ მასალებს, დეკლარაციებსა და ეთიკის ქარტიებს მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის „აფრიკის ადამიანისა და სახალხო უფლებების დაცვის ქარტიას“, „უფლებათა დაცვის შუამდგომლობის კონვენციას“, „ჟურნალისტების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მიუნხენის ქარტიას“, ასევე „მალისა და შეერთებულ შტატებში ჟურნალისტების საქმიანობის კოდას“.

ამ ფართო დოკუმენტურ მასალასთან ერთად გაძლევთ პრაქტიკულ რჩევას, „ბი ბი სი“-ს მაგალითზე, რომელსაც ტელეკომპანია ჟურნალისტებს სახიფათო დანიშნულების ადგილებზე გასვლამდე აძლევს.

ჩვენ ასევე დავურთეთ (საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო სამსახური) თავდაცვის წესები, რომელიც ფრანგ ჯარისკაცებს სახიფათო სიტუაციებში მოქმედებისთვის ეძლევათ (არეულობა, სნაიპერები, გატაცებები, ჩასაფრება, გზის დაბლოკვა) და როდესაც მიღებული უსაფრთხოების ზომები არ გაამართლებს, რა უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ დაშავებულთა და დაჭრილთა გადასარჩენად.

სახელმძღვანელოს 2010 წლის გამოცემაში ორი დამატებაა: ძალიან სპეციფიკური რეკომენდაციები ჰუმანიტარული და გადაუდებელი დახმარების სიტუაციაში მედიის როლის შესახებ და პრაქტიკური რჩევა, „დარტ ცენტრთან“ თანამშრომლობით შექმნილი ერთობლივი პროექტი, პოსტ-ტრავმული სტრესის დაძლევის საკთხზე.

# თავი 1

## მთავარი დოკუმენტები კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების დაცვის შესახებ

ესენია გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის რეზოლუცია, იუნესკოს 2007 წლის მაისის დეკლარაცია და 2002 წელს „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-ს მიერ შედგენილი ქარტია რედაქტორებისა და მედიის ხელმძღვანელობისთვის, რომლებმაც კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების გაგზავნისას არსებული რისკების შემცირებისა და პრევენციის 8 პრინციპი უნდა გაითვალისწინონ.

### 1. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია

უშიშროების საბჭო,

- გრძნობს მთავარ პასუხისმგებლობას გაერო-ს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ქარტიის ფარგლებში და კონფლიქტის შეჩერებისა და რეზოლუციით გათვალისწინებული ზომების მიღების მნიშვნელობას უსვამს ხაზს,
- ადასტურებს თავის რეზოლუციებს 1265 (1999), 1296 (2000) და 1674 (2006) შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქალაქეთა დაცვის შესახებ და 1502 (2003) რეზოლუციას კონფლიქტის ზონაში გაეროს თანამშრომლების, ასოცირებული პერსონალისა და ჰუმანიტარული პერსონალის დაცვის შესახებ, ასევე სხვა რეზოლუციებსა და საპრეზიდენტო განცხადებებს,
- ადასტურებს თავის მხარდაჭერას გაერო-ს ქარტიის მიზნებისადმი, როგორც მითითებულია ქარტიის პირველ პუნქტში (1-4), და ქარტიის მეორე პუნქტის (1-7) პრინციპებს, მათ შორის თავის მხარდაჭერას პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი, სუვერენული თანასწორობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და პატივს სცემს ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტს,
- ადასტურებს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტზე უმთავრესი პასუხისმგებლობა დაპირისპირებულ მხარეებს ეკისრებათ და დაზარალებული მოქალაქეების დასაცავად სათანადო ზომები მათ უნდა მიიღონ,
- იშველიებს 1949 წლის 12 აგვისტოს მიღებულ ჟენევის კონვენციას, კონკრეტულად 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის მესამე კონვენციას „ომის პატიმართა“ მიმართ მოპყრობის შესახებ და 1977 წლის 8 ივნისის დამატებით პროტოკოლს, კერძოდ დამატებითი პროტოკოლის 79-ე სტატიას კონფლიქტის

ზონაში სახიფათო პროფესიული მისიის შესრულებაში ჩართული ჟურნალისტების დაცვის შესახებ,

- ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის ფარგლებში არსებობს აკრძალვები სამოქალაქო პირების წინააღმდეგ განზრახულად მიმართული თავდასხმების შესახებ, კონფლიქტური სიტუაციის დროს განხორციელებული ეს ქმედება ომის დანაშაულად ითვლება და სახელმწიფოების მხრიდან მსგავსი დაუსჯელი კრიმინალური აქტების დასრულების საჭიროებაზე მიუთითებს,
- აღნიშნავს, რომ ჟენევის კონვენციის თანახმად სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება მოძებნონ ის დამნაშავე პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ან შეუკვეთეს ამ შეთანხმებების დარღვევა, აქვთ ვალდებულება გაასამართლონ ისინი განურჩევლად ეროვნებისა, ვიდრე ამას მათი სასამართლოები გააკეთებენ ან სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს გადაეცემა თუ ამ ქვეყანამ აღნიშნული პირების წინააღმდეგ საქმე აღძრა.
- ყველა სახელმწიფოს ყურადღების მიმართვა სამართლიანობისა და შეთანხმების მექანიზმების სრული სპექტრისადმი, მათ შორის ნაციონალური, საერთაშორისო და შერეული კრიმინალური სასამართლოების და ტრიბუნალების, ასევე სიმართლისა და შეთანხმების კომისიებისადმი. აღნიშნავს, რომ მსგავს მექანიზმებს სერიოზული დანაშაულებებისთვის არა მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, არამედ მშვიდობის, სიმართლის, შერიგებისა და მსხვერპლთა უფლებების განსაზღვრაც შეუძლია,
- აღიარებს ღრმა, შედეგიანი და მოქმედებაზე ორიენტირებული მიღწევის მნიშვნელობას, მათ შორის კონფლიქტის ზონაში მოქალაქეთა დაცვის დროს. ხაზგასმით აღნიშნავს ამ კრილში კონფლიქტის პრევენციის ფართო სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც შეიარღვებული კონფლიქტის ფუნდამენტური მიზეზებისკენ არის მიმართული, რათა გაიზარდოს მოქალაქეთა დაცვა გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შორის მდგრადი განვითარებით, სიღარიბის დაძლევით, ეროვნული შერიგებით, კარგი მმართველობით, დემოკრატიის ხელშეწყობით, კანონის უზენაესობის დაცვითა და ადამიანის უფლებების დაცვითა და პატივისცემით,
- ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მსოფლიოს ბევრ კუთხეში, კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის წინააღმდეგ გამოჩენილი ძალადობის ფაქტების გაზრდის გამო, განსაკუთრებით მიზანმიმართული თავდასხმების შედეგად საერთაშორისო კანონის დარღვევის გამო,
- აღიარებს, რომ უშიშროების საბჭოს მიერ კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების დაცვის საკითხის გათვალისწინება თემის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარეობს და აღიარებს, რომ გენერალურ მდივანს ამ

საკითხზე მეტი ინფორმაციის მოწოდების კუთხით მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია,

- 1. გმობს ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის წინააღმდეგ განხორციელებულ მიზანმიმართულ თავდასხმებს კონფლიქტურ სიტუაციებში და ყველა მხარეს მოუწოდებს, ბოლო მოუღოს მსგავს პრაქტიკას;
- 2. აღნიშნავს, რომ ჟურნალისტები, მედია პროფესიონალები და ასოცირებული პერსონალი, რომლებიც სახიფათო პროფესიულ მისიას ასრულებენ კონფლიქტის ზონაში მოქალაქეებად უნდა იქნან მიჩნეული, დაცული და პატივცემული, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ისინი მოქალაქეობრივ სტატუსს ბოროტად არ გამოიყენებენ. ეს შეიარღვეულ ძალებში აკრედიტებული ომის კორესპონდენტების უფლებებზე წინასწარ შექმნილი ცუდი აზრისგან თავისუფალი უნდა იყოს. ჟენევის მესამე კონვენციის მეოთხე პუნქტი, ა 4.
- 3. აღნიშნავს, რომ მედია აღჭურვილობა და ინსტალაციები სამოქალაქო საგნებს შეადგენს და თავდასხმისა და რეპრესიის ობიექტი არ უნდა გახდეს, თუ ეს სამხედრო მიზნებს არ ემსახურება.
- 4. ადასტურებს, რომ ომის დროს გმობს მოქალაქეების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების გამოვლინებას და იმ პირების სასამართლოს წინაშე წარდგენის საჭიროებას უსვამს ხაზს, რომლებმაც საერთაშორისო კანონი დაარღვიეს და მსგავსი დანაშაული ჩაიდინეს, აღნიშნავს საკუთარ სურვილს, მისიების დაკისრებისას გათვალისწინებულ იქნას იმ მედია მაუწყებლობის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც გენოციდს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებებსა და საერთაშორისო კანონის სხვა სერიოზულ დარღვევებს აშუქებენ;
- 5. აღნიშნავს საკუთარ მოწოდებას კონფლიქტში ჩართული მხარეებისადმი, სრულად დაიცვან საერთაშორისო კანონით ნაკისრი ვალდებულებები კონფლიქტის დროს მოქალაქეების, ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის დაცვის შესახებ;
- 6. სახელმწიფოებსა და კონფლიქტის სხვა მხარეებს მოუწოდებს, გააკეთონ მაქსიმუმი იმისთვის რომ მოქალაქეების, ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის მიმართ საერთაშორისო კანონის დარღვევა თავიდან აიცილონ;
- 7. ხაზგასმით აღნიშნავს, საერთაშორისო კანონის ფარგლებში რელევანტური ვალდებულებების დაცვის შესახებ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას, რათა დასრულდეს დაუსჯელობა და საერთაშორისო კანონდარღვევაზე პასუხისმგებლები დაისაჯონ;

- 8. კონფლიქტის ყველა მხარეს მოუწოდებს, პატივი სცეს ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის, როგორც მოქალაქეების უფლებებსა და დამოუკიდებლობას;
- 9. აღნიშნავს, რომ მოქალაქეებისა და სხვა დაცული პირების განზრახ სამიზნედ გახდამ და საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კანონის სისტემატურმა, სკანდალურმა და ფართომასშტაბიანმა დარღვევამ შესაძლოა, გლობალურ მშვიდობასა და უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნას, ამის გათვალისწინებით კი მზადყოფნას გამოთქვამს მსგავსი სიტუაციები განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი ნაბიჯები გადადგას;
- 10. იწვევს სახელმწიფოებს, რომლებსაც მსგავსი ზომები არ მიუღიათ, ჟენევის კონვენციის 1977 წლის 1 და 2 დამატებითი პროტოკოლების ნაწილებად გახდომის შესაძლებლობა უმოკლეს პერიოდში განიხილონ;
- 11. ადასტურებს, რომ კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტების დაცვის საკითხს მკაცრად განიხილავს დღის წესრიგში არსებული თემის „კონფლიქტების დროს მოქალაქეთა დაცვა“ ფარგლებში;
- 12. მიმართავს გენერალურ მდივანს, მოქალაქეთა დაცვის საკითხზე მომზადებულ თავის მომდევნო ანგარიშებში ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის უსაფრთხოების დაცვა მნიშვნელოვან საკითხად გამოყოს;

ნიუ-იორკი, 2006 წლის 23 დეკემბერი

## 2. მედელინის დეკლარაცია ჟურნალისტების უსაფრთხოების დაცვისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ჩვენ, პრესის თავისუფლების, ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და დაუსჯელობის სინდრომის შესახებ იუნესკო-ს კონფერენციის მონაწილეები, რომლებიც კოლუმბიაში, მედელინში მსოფლიო პრესის თავისუფლების დღეზე 2007 წლის 3-4 მაისს შევიკრიბეთ,

შემფოთებულები ვართ პრესის გამოხატვის თავისუფლებაზე განხორციელებული თავდასხმების გამო, მათ შორის ჟურნალისტებზე, მედია პროფესიონალებსა და ასოცირებულ პერსონალზე მიტანილი მიზანმიმართული იერიშების, მკვლელობების, გატაცებების, მძევლად აყვანის, დაშინებისა და უკანონო დაკავებების გამო, მხოლოდ მათი პროფესიული საქმიანობის მიზეზით,

გვჯერა, რომ პრესის თავისუფლებით ტკბობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მედია პროფესიონალები პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ძალების მხრიდან ზეწოლისგან, დაშინებისა და ძალადობისგან თავისუფლები არიან,

ვიშველიებთ, უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაციის მე-19 პუნქტს, რომელიც გამოხატვის თავისუფლების, როგორც ფუნდამენტური უფლების გარანტიას იძლევა და ვადასტურებთ, რომ გამოხატვის თავისუფლება აუცილებელია საერთაშორისო უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებში სხვა უფლებების რეალიზებისთვის,

ვიშველიებთ, 1997 წლის 12 ნოემბრის იუნესკო-ს გენერალურ კონფერენციაზე მიღებულ 29-ე რეზოლუციას „ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობის დაგმობის“ შესახებ, რომელიც გმობს რა ძალადობას ჟურნალისტების წინააღმდეგ, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მხარი დაუჭირონ ვალდებულებებს ჟურნალისტების წინააღმდეგ დანაშაულებების პრევენციის, გამომიებისა და დასჯის შესახებ,

ხაზგასმით ავლნიშნავთ, საკთხზე- „მედია და სიღარიბის დაძლევა“ 2006 წლის 3 მაისის კოლომბოს დეკლარაციის, ასევე თემაზე „მედია და კარგი მმართველობა“ 2005 წლის 3 მაისის დაკარის დეკლარაციისა და თემაზე „მედია მწვავე კონფლიქტსა და გარდამავალ ქვეყნებში“ 2004 წლის 3 მაისის ბელგრადის დეკლარაციის პირობებს,

მივესალმებით 2006 წლის 23 დეკემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 1738 წლის რეზოლუციის მიღებას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარეს მოუწოდებს, საერთაშორისო კანონის დაცვის ფარგლებში ჟურნალისტების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს, მათ შორის მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების პრევენციის აუცილებლობის შესახებ, ასევე გენერალურ მდივანს მოუწოდებს, კონფლიქტების დროს მოქალაქეთა დაცვის შესახებ მომზადებულ ანგარიშებში ქვე-თემად დაურთოს ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის უსაფრთხოების დაცვის საკითხი,

ავლნიშნავთ თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტური პრესის პოტენციურ გავრცელებას მდგრადი განვითარების, სიღარიბის აღმოფხვრის, კარგი მმართველობის, მშვიდობისა და შერიგების, ადამიანთა უფლებების პატივისცემის შესახებ,

მოვუწოდებთ ყველა ჩართულ მხარეს უზრუნველყონ ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის უსაფრთხოება და დაიცვან მათი მედია აღჭურვილობა და ტექნიკა,

ვითვალისწინებთ, რომ მედია პროფესიონალების მკვლევლობების უმრავლესობა კონფლიქტის ზონის გარეთ ხდება და მათი უსაფრთხოება მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც მხოლოდ კონფლიქტის ადგილებზე არ არის შეზღუდული,

კიდევ ერთხელ ვგმობთ მედია პროფესიონალების მიმართ გამოვლენილ ნებისმიერ ძალადობას.

## მიმართვა წევრ ქვეყნებს:

გამოიძიონ ჟურნალისტებზე, მედია პროფესიონალებსა და ასოცირებულ პერსონალზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები, რომლებიც საკუთარ ტერიტორიაზე თუ საზღვრებს გარეთ დაფიქსირდა და რა დროსაც უსაფრთხოების დამცველებს ინტერვენცია შეეძლოთ,

მეზნა გამოაცხადონ იმ პირებზე, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინეს ან შეუკვეთეს ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა თუ ასოცირებული პერსონალის წინააღმდეგ მოქმედება, აღნიშნული პირები, განურჩევლად ეროვნებისა საკუთარი სასამართლოს წინაშე წარადგინონ ან გადასცენ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს, რომელმაც აღნიშნული პირებისადმი სისხლის სამართლის საქმე აღძრა;

სრულად შეასრულოს ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა თუ ასოცირებული პერსონალის წინააღმდეგ დანაშაულებების პრევენციის შესახებ ნაკისრი ვალდებულებები, გამოიძიოს ეს დანაშაულებები, უზრუნველყოს თვითმხილველების დაცვა და იზრუნოს შედეგებზე, რათა მსგავსი კრიმინალური ქმედებები დაუსჯელი არ დარჩეს;

მიიღონ პრინციპები, რომ არ უნდა არსებობდეს პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შეზღუდვების არანაირი საკანონმდებლო აქტი, როდესაც ეს ხორციელდება ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების არსებობის ან მართლმსაჯულების აღსრულების შესაჩერებლად;

დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულებისთვის დააკავეს;

ხელი შეუწყონ ცნობიერების ამაღლებას, გაწვრთნან შეიარაღებული ძალები და პოლიცია, რომელმაც პატივი უნდა სცენ და უზრუნველყონ ჟურნალისტების უსაფრთხოება სარისკო სიტუაციებში და დაარწმუნონ რეპორტიორები, რომ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის სრული დაცვის ქვეშ შეუძლიათ მუშაობა;

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ფინანსური მხარდაჭერის ორმხრივ და სამმხრივ ინსტიტუტებს მისცენ რეკომენდაციები, რომ მიმღები ქვეყნებისგან გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა და პრესის თავისუფლების ეფექტური დაცვა მოითხოვონ, ასევე აუხსნან ამ ინსტიტუტებს, რომ ჟურნალისტების მკვლელების დაკავებისა და დასჯის შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა ამ თანამშრომლობის გადახედვა, შეჩერება ან ანულირება განაპირობოს.

გააფორმონ და მოახდინონ ჟენევის კონვენციის 1 და 2 დამატებითი პროტოკოლების, საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს რომის წესდებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონისა თუ უფლებათა დაცვის შესახებ კანონის სხვა შესაბამისი ინსტრუმენტების რატიფიცირება და მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები, რათა მოახდინონ ზემოხსენებული ინსტრუმენტების ეროვნული მიღება, რამდენადაც ისინი სამოქალაქო პირების, განსაკუთრებით კი ჟურნალისტების სფეროში მოღვაწეთა უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ;

იუნესკო-ს 29-ე რეზოლუციის პირობების დასაცავად შეიმუშავონ კანონმდებლობა, რომლის მიზანაც ჟურნალისტების მკვლელების პოვნა და მათი სასამართლოს წესით დევნა, ასევე დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება;

## **მიმართვა იუნესკოსადმი:**

მოიწვიოს იუნესკო-ს გენერალური დირექტორი, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობოებთან კონსულტაციის საფუძველზე შეისწავლოს:

ა. ზომების სასარგებლოდ მოქმედება, რათა კონფლიქტურ სიტუაციებში კანონებისა და ჟურნალისტების, მედია პროფესიონალებისა და ასოცირებული პერსონალის უსაფრთხოების დაცვის პრინციპების გარანტირება უკეთ მოხდეს;

ბ. მუშაობა ჟურნალისტებისა და მედია სტაფის მისამართით ახალი საფრთხეების წარმოქმნის, მათ შორის მძევლად აყვანისა და გატაცების წინააღმდეგ;

გ. მექანიზმების წახალისება, რათა მედიის განვითარება ისეთ პროგრამებში ჩართლობით მოხდეს, როგორებიცაა საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესება განვითარების, პოლიტიკური გარდამავლობისა და სოციალური კონფლიქტის კრიზისისას წარმოქმნილი პროცესების დროს.

მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გენერალური კონფერენციის ანგარიშში ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისა და დაუსჯელობის შემთხვევათა რიცხვის გაზრდასთან დაკავშირებით მონაცემები იქნას შეყვანილი;

მთავრობის მგრძობიარობა თვითგამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით და მედია პროფესიონალების თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების დაუსჯელობის საფრთხე;

იუნესკო-ს გენერალური დირექტორის მოწვევა, რომელმაც რეზოლუციის დასაცავად და ჟურნალისტების წინააღმდეგ დანაშაულებების პრევენციისთვის წევრ სახელმწიფოებს 29-ე გენერალურ კონფერენციაზე თავიანთი ლეგალური და მორალური ვალდებულებები უნდა შეახსენოს.

მედელინი , 2007 წლის მაისი

3. ქარტია კონფლიქტის ზონაში ან სახიფათო ტერიტორიებზე მომუშავე ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ (ჟურნალისტები საზღვრების გარეშე)

სახიფათო დანიშნულების ადგილებზე მომუშავე ჟურნალისტების უსაფრთხოება ყოველთვის გარანტირებული არ არის, თუნდაც მაშინ, როდესაც საერთაშორისო კანონი ფურცელზე ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს, იმიტომ რომ დაპირისპირებული მხარეები ამ კანონის მიმართ დღეისათვის უფრო ნაკლებ პატივისცემას იჩენენ. ახალი ამბების შემგროვებლები მეომარი მხარეებისგან ვერ იღებენ გარანტიას, რომ მათი უსაფრთხოება სრულად იქნება დაცული.

რისკების არსებობის გამო ისინი დარბიან, რათა საზოგადოება ინფორმირებული ჰყავდეთ, მედია მუშაკები, ჟურნალისტები და მათი ასისტენტები ( მუდმივად დასაქმებული თუ შტატგარეშე) რომლებიც კონფლიქტის ზონაში მუშაობენ ძირითად დაცვას, კომპენსაციასა და გარანტიებს დამსაქმებლებისგან იღებენ, თუმცა ეს დაცვა არასდროს უნდა იყოს მიჩნეული ადგილობრივი სამხედროებისა და სახელისუფლებო ორგანოების მიერ განხორციელებულ ზედამხედველობად. მედია მენეჯმენტი ასევე იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას, მიმართოს ყველა ღონეს რათა შეამციროს რისკები.

მომდევნო 8 პრინციპი უნდა იქნას მოთხოვნილი:

## **პრინციპი 1 - ვალდებულება**

მედია, საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები სისტემატურად უნდა ემებდნენ გზებს კონფლიქტის ზონასა თუ სხვა საშიშ ტერიტორიაზე რისკების შესაფასებლად და შესამცირებლად, ერთმანეთთან კონსულტაციებითა და სასარგებლო ინფორმაციების გაცვლის მეშვეობით. სტაფის, შტატგარეშე ჟურნალისტების, მათი ასისტენტების, ადგილობრივი დამსაქმებლებისა და მხარდამჭერი პერსონალის მიერ გასაწევი რისკები მოითხოვს ადეკვატურ მომზადებას, ინფორმირებას, დაზღვევასა და აღჭურვილობას.

## **პრინციპი 2 - თავისუფალი ნება**

ომის თემის გაშუქება მედია მუშაკების მიერ თანმდევი რისკების მიღებას ითვალისწინებს, აგრეთვე, პერსონალურ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს რომ ისინი მკაცრი ნებაყოფლობის საფუძველზე მიდიან ამაზე. მსგავსი რისკების გამო, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ, ახსნა-განმარტების გარეშე უარი თქვან ასეთ დავალებებზე და ეს არ უნდა შეფასდეს არაპროფესიონალურ საქციელად. ამასთან, დავალება შესაძლოა დასრულდეს რეპორტიორის ან რედაქტორების მოთხოვნით ერთმანეთთან კონსულტაციების გავლის შემდეგ და ერთობლივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. რედაქტორებმა დამატებითი რისკების გაწევასთან დაკავშირებით სპეციალურ კორესპონდენტებზე ნებისმიერი სახის ზეწოლისგან თავი უნდა შეიკავონ.

### **პრინციპი 3 - გამოცდილება**

ომის გაშუქება საგანგებო უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას მოითხოვს, ასე რომ რედაქტორებმა ისეთი სტაფი ან შტატგარეშე ჟურნალისტი უნდა აირჩიონ, რომლებიც ჩამოყალიბებულები და კრიზისულ სიტუაციებზე შეჩვეულები არიან. ჟურნალისტები, რომლებიც პირველად ამუშებენ ომის თემას, კონფიქტის ზონაში დამოუკიდებლად არ უნდა გაუშვან, მათი თანმხლები უფრო გამოცდილი ჟურნალისტი უნდა იყოს. ამ სფეროში გუნდური მუშაობის პრინციპი უნდა მოქმედებდეს. რედაქტორებმა სტაფი დაბრუნებისა და დავალების შესრულების შემდეგ აუცილებლად უნდა გამოკითხონ, რათა გაიგონ და ისწავლონ მათი გამოცდილებიდან.

### **პრინციპი 4 - მომზადება**

ჟურნალისტებს კონფლიქტის ზონასა თუ სხვა სახიფათო ტერიტორიაზე რისკებს რეგულარული ტრენინგები შეუძმცირებს. რედაქტორებმა სტაფსა და რეპორტიორებს ეროვნული თუ საერთაშორისო კვალიფიციური ორგანოებისგან შემოთავაზებული საგანგებო წვრთნების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ნებისმიერ ჟურნალისტს, რომელიც მტრულ გარემოში სამუშაოდ მიდის, პირველადი დახმარების ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს. ყველა აკრედიტებულმა ჟურნალისტიკის სკოლამ სტუდენტებს ეს საკითხები აუცილებლად უნდა გააცნოს.

### **პრინციპი 5 - აღჭურვილობა**

რედაქტორებმა სახიფათო წერტილებში მომუშავე სპეციალური კორესპონდენტები სათანადო უსაფრთხოების აღჭურვილობით უნდა მოამარაგონ. ესენია ტყვიაგაუმტარი ჟილეტები, შლემები და (თუ შესაძლებელია ჯავშანმანქანები), საკომუნიკაციო აღჭურვილობა (ლოკატორის სასიგნალო მუქურა) და პირველადი დახმარების აბგა.

### **პრინციპი 6 - დაზღვევა**

ჟურნალისტებსა და მათ ასისტენტებს, რომლებიც კონფლიქტის ზონებსა თუ სხვა სახიფათო ადგილებზე მუშაობენ უნდა ჰქონდეთ დაზღვა რათა ავადმყოფობის, რეპატრიაციის, უუნარობისა და სიცოცხლის დაკარგვის ხარჯები აუნაზღაურდეთ. მედია მენეჯმენტმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოს, რათა ეს პერსონალისთვის სახიფათო დავალების მიცემამდე უზრუნველყოს. ყოველივე მკაცრად უნდა ესადაგებოდეს პროფესიულ შეთანხმებებსა და კონვენციებს.

### **პრინციპი 7 - ფსიქოლოგიური რჩევა**

მედია მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტებისა და მათი ასისტენტებისთვის ფსიქოლოგიური დახმარებისადმი წვდომა მას შემდეგ, რაც ისინი სახიფათო ადგილებიდან დაბრუნდებიან ან შოკისმომგვრელ ამბავს გადაიღებენ.

## **პრინციპი 8 - კანონიერი დაცვა**

ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი პროტოკოლის 79-ე პუნქტის თანახმად, სახიფათო დავალებების შემსრულებელი ჟურნალისტები მოქალაქეებად განიხილებიან, შესაბამისად ისინი არ ჩადიან ისეთ საქციელს, რაც ამ სტატუსს ეწინააღმდეგება, როგორცაა ომის პირდაპირი ხელშეწყობა, იარაღის ტარება ან ჯაშუშობა. ჟურნალისტზენებისმიერი მიზანმიმართული თავდასხმა, რაც მის გარდაცვალებას ან სერიოზულ ფიზიკურ ტრავმას იწვევს ამ პროტოკოლის დარღვევაა და ომის დანაშაულად ითვლება.

პარიზი, 2002 წლის მარტი

## **თავი 2**

# სიფრთხილის ზომები ჯანმრთელობის დასაცავად

ჟურნალისტს, რომელიც პრესის თავისუფლების დარღვევას ან სახიფათო ადგილას ცხოვრებისა თუ გამგზავრების შესახებ კვლევას აწარმოებს, რისკების შემცირება უსაფრთხოების ფუნდამენტური წესების დაცვით შეუძლია.

მოემზადე მოგზაურობისთვის. ზოგიერთი ვაქცინაცია გამგზავრებამდე 3 კვირით ადრე უნდა გაკეთდეს.

## 1. გამგზავრებამდე

-----

- 1 - ექიმთან ვიზიტი (საერთო ანალიზი, ელექტრო-კარდიოგრამა, ფილტვების რენტგენზე გაშუქება და ა.შ)
- 2 - კბილის ექიმთან ვიზიტი
- 3 - განმეორებითი ვაქცინაცია (სერტიფიცირებულ ჯანდაცვის ცენტრში)

## სავალდებულო ვაქცინაცია

- ყვითელი ცხელება , საჭიროა:
  - დასავლეთ აფრიკული ქვეყნებისთვის
  - ცენტრალური აფრიკის ზოგიერთი ნაწილისთვის
  - ფრანგული გვინეისთვის
  - თითქმის ყველა ტროპიკული ან სუბ-ტროპიკული ქვეყნისთვის, როდესაც ენდემური ყვითელი ცხელების ტერიტორიიდან ჩადიხარ
- ვაქცინა ოთხვალენტური მინინგიტის ACW135Y საჭიროა:
  - საფრანგეთში საუდის არაბეთის ვიზის ასაღებად
  - მექაში პილიგრიმებისთვის

## სასურველი ვაქცინაცია და სამედიცინო შემოწმება, ქვეყნებისა და ვიზიტის ხანგრძლივობის მიხედვით

- მალარიის საწინააღმდეგო აბები გამგზავრების დღიდან დაბრუნების შემდეგ 45 დღის განმავლობაში
- ყვითელი ცხელება
- ტიფი და DT პოლიომელიტი (განმეორებით)

- ჰეპატიტი ა
- გრიპი
- ჰეპატიტი ბ (ხანგრძლივი მგზავრობის დროს)
- მუცლის ტიფი
- ცოფი (შორეული ტერიტორიებისთვის)
- იაპონური ენცეფალიტი
- გადამდები ენცეფალიტი
- ოთხვალენტური მინინგიტის აცრა

## მალარიის პრევენცია

მალარია მსოფლიოს მასშტაბით ჯანმრთელობის უდიდესი პრობლემაა, უფრო ხშირად ტროპიკულ და განსაკუთრების აფრიკაში საჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებით, წელიწადში მალარიის 300 მილიონი შემთხვევაა და თითქმის მილიონამდე სიკვდილის ფაქტი.

მალარიის პრევენცია აუცილებელია და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ნაბიჯები და დარჩენის ხანგრძლივობა განსხვავდება.

ტურისტებისთვის ეს ეფუძნება:

- მწერების ნაკბენებისგან დაცვას
- აბების წინასწარ მიღებას
- ცხელების დაფიქსირებასა და სწრაფი ზომების მიღებას

## 4 - მოახდინე საკუთარი თავის ინფორმირება შემდეგის შესახებ

- მალარია
- მედიკამენტები
- კბილისმიერი ჰიგიენა
- საკვებისა და სხეულის ჰიგიენა
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და შიდსი

## 5 - იცოდე საკუთარი სისხლის ჯგუფი და პირადობის დამადასტურებელ საბუთებთან ერთად დაურთე ცნობა

თუ სისხლის გადასხმა იქნება საჭირო, დაჭრილი ადამიანის სისხლის ჯგუფის ცოდნა(განსაკუთრებით პოტენციული სისხლის დონორებისა) მკურნალობას დააჩქარებს.

**6 - სასურველია პირველადი დახმარების კურსის გავლა** (განსაკუთრებით თ მარტო მგზავრობ), რეგულერული განახლებებით. ამ სახის ტრენინგების ჩატარება და სერტიფიკატების ფაცემა სერტიფიცირებული ორგანიზაციებისა და საჯარო ორგანოების ფუნქციაა. შეგიძლია სამოქალაქო დაცვის ჯგუფებს დაუკავშირდე, რომლებიც გასწავლიან და შესაბამის სერტიფიკატს მოგანიჭებენ საგანგებო სიტუაციებში მოქმედებასთან დაკავშირებით ერთი ან ორდღიანი ტრენინგის შემდეგ.

- **წითელი ჯვარი** უზრუნველყოფს პირველადი დახმარების ტრენინგს ევროპის პირველადი დახმარების სერტიფიკატის დონეზე.

კონტაქტი:

ICRC (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი)

ვებ-გვერდი: [icrc.org](http://icrc.org)

## 7 – თან წაიღე

- პასპორტი (მოქმედების ვადა მინიმუმ 6 თვე)
  - პრეს -ბარათი
  - საერთაშორისო ვაქცინაციის ცნობის ბუკლეტი
  - სისხლის ჯგუფი
  - საერთაშორისო მართვის მოწმობა
  - ნაღდი ფული ამერიკული დოლარის ექვივალენტში
  - გზისა და ქალაქის რუკა
  - ოფიციალური კონტაქტების სია , რომელიც მგზავრობისას დაგჭირდება (საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ა.შ.)
  - მობილური ტელეფონი
- 2. მგზავრობისას**

დაზღვევა და დახმარება (იხილეთ დანართი 3, „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ სადაზღვევო კონტრაქტი ფოტოგრაფებისთვის, ჟურნალისტებისა და უშტატო თანამშრომლებისთვის).

### **3. უკან დაბრუნების შემდეგ**

- **მალარიაზე შემოწმება:** რაიმე სახის ცხელება, თუნდაც შეუმჩნეველი, ენდემური მალარიის მქონე ქვეყანაში დარჩენის შემდეგ უნდა შემოწმდეს, ვიდრე სხვაგვარად დადასტურდება. სასწრაფო ვიზიტი ექიმთან ან საავადმყოფოში.
- **ფსიქოლოგიური დახმარება:** შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჟურნალისტიკისა და ტრავმის დარტის ცენტრს

**ვებ-გვერდი:** [www.dartcenter.org](http://www.dartcenter.org)

# თავი 3

## უსაფრთხოება საზღვრებს მიღმა

აქ მოცემულია უსაფრთხოების დაცვის საშუალებები საზღვრებს მიღმა მომუშავე ჟურნალისტებისთვის, განსაკუთრებით ადგილებში, სადაც საბოტაჟისა და დაბომბვის საფრთხე არსებობს.

### 1. უსაფრთხოების წესების დაცვა ყოველთვის აუცილებელია

- იყავით ყურადღებიანი და ეჭვით შეხედეთ ნებისმიერ უჩვეულო რამეს, რაც შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს.
- თავი აარიდეთ რეგულარულ საქციელს, მარშრუტის, დროისა და ტრანსპორტის შეცვლის გზით.
- მეთოდურად და მკაცრად დაიცავით უსაფრთხოების წესები და პროცედურები.
- კარგი ურთიერთობა იქონიეთ თქვენს გარშემო მყოფებთან. ყოველთვის გააკეთეთ ჩანაწერი სად იმყოფებით, რის გაკეთებას აპირებთ და ჩაინიშნეთ დაგეგმილი თარიღებისა და გადაადგილების დრო. შესაძლებლობისთანავე, განიხილეთ საკუთარი გეგმები ვინმესთან ერთად.
- მიყევით კანონს, მაგრამ იმოქმედეთ სიტუაციის შესაბამისად.

### - პირადი მოქმედება

- იყავით კარგ ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაში, ადექვატური ვარჯიშებითა და დასვენებით.
- ჩაიცვით რესპექტაბელურად და მოიქეცით მოკრძალებულად. ისლამურ ქვეყნებში, ქალებმა არ უნდა ატარონ ყოველდღიური სამოსი, შოკი რომ არ გამოიწვიონ ( არავითარი მინი-კაბები ან ტოპები ) და პატივი უნდა სცენ ადგილობრივ ადათებს.
- თავისუფალ დროს, ეცადეთ გადაადგილდეთ მხოლოდ ჯგუფებთან ერთად და საზოგადოებრივ ადგილებში.
- არასდროს ჩაიცვათ ისე, რომ თქვენი ზრახვების შესახებ ეჭვები გამოიწვიოთ (როგორცაა, სამხედრო სტილის სამოსი) და არასდროს იქონიოთ თან იარაღი ან დანა.
- თავი შორს დაიჭირეთ ადამიანებისგან, რომლებსაც ხვდებით ან ეხმარებით და კრიზისულ სიტუაციებში აკონტროლეთ ემოციები.
- არასდროს შესთავაზოთ დახმარება, რისი გაწევაც არ შეგწევთ.
- პროვოკაციის შემთხვევაში, სიმშვიდე შეინარჩუნეთ, დრო მოიგეთ, მოითხოვეთ უფროსობის ჩარევა და სხვა ადგილას წასვლა შესთავაზეთ. ყურადღება არასდროს მოადუნოთ მტრულად განწყობილი ადამიანების მიმართ. თუმცა, მათ თვალეში

ყურებისგან თავი შეიკავეთ. თავი მოიკატუნეთ, რომ ყოველთვის იცით სად იმყოფებით და თავდაჯერებული იყავით, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს ასე არ არის.

- სასიკვდილო მუქარა სერიოზულად მიიღეთ. მიმართეთ ოფიციალურ პირებს, ვინც ფიქრობთ, რომ დაგეხმარებათ, მაგრამ რაღაც დისტანცია მათთანაც დაიცავით. მიიღეთ დაუყოვნებელი ზომები, როგორცაა ადგილმდებარეობისა და ჩვევების შეცვლა. დაადგინეთ საიდან მოდის საფრთხე და იპოვნეთ პიროვნება, ვინც ეს გააკეთა. შეისწავლეთ მათ შესახებ ( სოციალური სტატუსი, გეგმები და ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობა) და ან განიხილეთ კონფრონტაციის ორგანიზება ისეთ ადგილას, სადაც უპირატესობა გაქვთ ( როგორცაა პოლიციის განყოფილება) ან თავიდან აიცილეთ ნებისმიერი შეხვედრა.

### 3. საბოტაჟის ან დაბომბვის რისკი

- როდესაც ჟურნალისტი ან მედიის წარმომადგენელი იღებს განმეორებით სასიკვდილო მუქარებს, ამ საფრთხის შესამცირებლად განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას მიღებული. უსაფრთხოების ზომების შემუშავებასა და მკაცრად დაცვაზე სტაფის ყველა წარმომადგენელმა უნდა იზრუნოს. აფეთქების შესაძლო წყაროებია:
  - რადიო ტალღები ან ელექტროშოკი
  - ჩამრთველები და სადენები
  - მაღალი ტემპერატურის ან ვიბრაციის წყაროები
  - მალვიძარები, მაჯის საათები, კარის ზარები, ტაიმერები, ქიმიკატები
- თუ სარაკეტო თავდასხმით დაგემუქრნენ ნებისმიერი ანონიმური სატელეფონო მუქარის შემთხვევაში, დრო მოიგეთ და იკითხეთ:
  - როდის ამოქმედდება ბომბი?
  - სად მდებარეობს?
  - როდის დაამონტაჟეს იქ?
  - როგორ გამოიყურება?
  - რა ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობაა?
  - რა გამოარჩევს მას?
  - თქვენ თვითონ დაამონტაჟეთ ბომბი?
  - რატომ?
  - რა გქვიათ?
  - ვინ ბრძანდებით?

- სად შეიძლება თქვენთან დაკონტაქტება?

მუქარის ზარის ავტორის იდენტიფიცირებისა და კვალის დადგენისთვის, დააფიქსირეთ:

- ხმა (რიტმი, ვარდნა, აქცენტი, დიქცია, სტილი)
  - ენა (კავშირი, გონიერება, არგუმენტი, გზავნილი იყო ჩაწერილი თუ წაკითხული)
  - უკანა პლანის ხმები (ქუჩის ხმები, მუსიკა, საათი).
  - იცანით თუ არა ხმა.
  - დარეკვის დრო და ხანგრძლივობა.
- თუ საექვო მოწყობილობას აღმოაჩნეთ:
    - არავითარ შემთხვევაში არ შეეხოთ, თუნდაც უკვე აფეთქდა ან არ ამოქმედდა შესაბამისად.
    - თუ ხმას გამოსცემს (ტაიმერის) ან გარეგნობას იცვლის ( კვამლს უშვებს), დატოვეთ დაუყოვნებლივ.
    - ადგილიდან, სადაც მოწყობილობაა, დაახლოებით 100 იარდის მოშორებით უსაფრთხოების ბარიერი გააკეთეთ.
    - არ გამოიყენოთ მობილური ტელეფონი ან სხვა ელექტრო ან ელექტრომაგნიტური საშუალება განგაშის ასაწევად.
  - როგორ გამოვიცნოთ საფოსტო- ბომბი:
    - საექვო დამოკიდებულება წონას, ზომასა და სიმკვრივეს შორის
    - უჩვეული უხეში კონვერტი ან შეფუთვა
    - ჭარბი წონის შეფუთვა
    - ნახატი ან დეკორაცია, რომელიც ეჭვს იწვევს
    - საფოსტო მარკის გრძელი ნომერი
    - სპეციალური მინაწერი ( ძალიან სასწრაფო ... ძალიან პირადული... პირადად გადაეცეს)
    - ეს სია წერილების ოთახში შეინახეთ.
  - როგორ გამოვიცნოთ ავტომობილში ჩამონტაჟებული ბომბი:
    - სატრანსპორტო მოწყობილობის უახლოესი პერიმეტრი შეამოწმეთ და დაათვალიერეთ არის თუ არა ახლომახლო საექვო ობიექტი.
    - შეისწავლეთ როგორ გამოიყურება ავტომობილი (შეხების გარეშე).

- მოძებნეთ, არის თუ არა სადენი ან საექვო, უჩვეული ობიექტი.
- დაათვალიერეთი ავტომობილის მთავარი ნაწილები, როგორცაა საბურავები, მანქანის ქვეშ, მაყუჩი, სავარძლები, საქარე მინის საწმენდები, წინა პროექტორი, მოწყობილობა, რომელიც სახურავს ხსნის, ძრავა, მართვის დაფა .
- სიბნელეში, ფანარი იქონიეთ თან და არ დატოვოთ ავტომობილში (მასში ვერ დაბრუნდებით მანამ, სანამ არ შეამოწმებთ).

## თავი 4

უსაფრთხოება კონფლიქტის ზონებში

აქ მოცემულია რეკომენდაციები თუ როგორ უნდა მოიქცეთ, როდესაც გადაადგილებით, სროლის, ჩასაფრების ან ბრბოს პირისპირ აღმოჩნდებით ან თუ გაგიტაცეს.

## **1 - გადაადგილების დროს არსებული საფრთხეები**

კონფლიქტის ზონაში გადაადგილება ყოველთვის რთულია და კარგად უნდა დაიგეგმოს.

### **- გამგზავრებამდე**

- მოამზადეთ და შეამოწმეთ ავტომობილი (ან შეამოწმებინეთ სხვას) ზოგადი მდგომარეობა და დარწმუნდით, რომ საწვავი სავსეა, სარემონტო ხელსაწყოები და საერთო სარეზერვო ნაწილები ადგილზეა.
- ჩაალაგეთ პირველადი მოხმარების ნივთები ( თბილი სამოსი, ბუმბულის საბანი, პირველადი დახმარების აბგა, წყალი და საკვები).
- თავი მოუყარეთ ოფიციალურ დოკუმენტებს, როგორცაა პრეს-ბარათი და სამგზავრო დოკუმენტი.
- შეისწავლეთ მარშრუტი რუკაზე.
- შეამოწმეთ გამშვები პუნქტების გახსნისა და კომენდატის საათები.
- ხელისუფლების წარმომადგენლებთან და არასამთავრობოებთან სახიფათო ადგილები გადაამოწმეთ.

### **- მგზავრობის დროს**

- ეცადეთ დაგეგმილი მარშრუტი და განრიგი არ შეცვალოთ და რეგულარული კონტაქტი იქონიოთ „ზურგის ბაზასთან“ ან სხვა ჟურნალისტთან.
- ეცადეთ გზად გყავდეთ სხვა ჟურნალისტები ან იცოდეთ ადგილები, სადაც დარჩებით.
- არ იმგზავროთ ღამით.
- უარი თქვით უცხო პირების ამანათის ან შეფუთვის წაღებაზე.
- თან არ იქონიოთ ისეთი რამ, რაც ადამიანებში შეცბუნებას გამოიწვევს, როგორცაა დურბინი, სასიგნალო მოწყობილობა ან სამხედრო-სტილის სამოსი.
- თუ სამხედრო ან ჰუმანიტარული კოლონის ნაწილი ხართ, დაემორჩილეთ ლიდერს.

### **- ღამით გადაადგილება**

დამით ნებისმიერი საქმის გაკეთება უფრო სარისკოა. ადამიანების იდენტიფიცირება რთულია და შესაძლოა მებრძოლ მხარედ მიგიჩნიონ. ასე რომ შეძლებისდაგვარად თავი აარიდეთ დამის პერიოდში რაიმეს გაკეთებას.

- დამით ფრთხილი გადაადგილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიჩქარე.
- გეცვათ შესაბამისი სამოსი.
- კამერებს, რადიოსა და ჩამწერებს გამოურთეთ საკონტროლო განათება.
- მარშრუტი ფრთხილად აირჩიეთ. სიფრთილე დაიცავით ბნელ ადგილებში, აუცილებლობის შემთხვევაში ისარგებლეთ შემოვლითი გზებით, ხშირად შეჩერდით, მიმოიხედეთ და ყური დაუგდეთ.
- თუ გუნდის ნაწილი ხართ, შესახვედრი ადგილები შეათანხმეთ.
- თუ პროექტორს გადააწყდით, ძირს დაწექით და დაელოდეთ მის გასვლას.
- მოიძიეთ განათების საკუთარი საშუალებები.

## - საბრძოლო ადგილის გავლა

ეს გზა იმ შემთხვევაში აირჩიეთ თუ სხვა ალტერნატივა არ გაქვთ.

- თუ სროლაში მოყვებით, დაწექით მიწაზე, თუ შესაძლებელია კედლის ან ავტომობილის უკან (საბურავების ან ღერძების). ტერიტორია რაც შეიძლება სწრაფად დატოვებთ და თავი შეაფარეთ. გაიქეციეთ არარეგულარული ზიგზაგის სტილში, რათა თქვენს მიმართ სროლა გართულდეს.
- ვიდრე საბრძოლო ადგილს გადაკვეთთ, დაადგინეთ მარშრუტი, დაიმახსოვრეთ, შეამოწმეთ თქვენი ავტომობილი და ჩაიცვით ჯავშანჭილექტი.
- ადგილი სწრაფად გადაკვეთეთ.
- მებრძოლებისგან საკუთარი თავი გამოარჩიეთ, მაგალითად ავტომობილზე „პრესა“ ნიშნის მიმაგრებით.

თუ დაბანაკება გიწევთ

- მხოლოდ შიგნიდან ჩაკეტილ ავტომობილში დაიძინეთ.
- თუ რამდენიმე ხართ ერთად, მორიგეობის სისტემა შეიმუშავეთ.

როდესაც დანაღმულ ტერიტორიაზე აღმოჩნდებით

- თუ დაცულია, განაღმვისთვის მოლაპარაკება აწარმოეთ, რათა გავლა შეძლოთ. თქვენ თვითონ ამის გაკეთება არ სცადოთ.
- თუ არ არის დაცული, არ გაბედოთ გადაკვეთა. იპოვნეთ შემოვლითი გზა ან უკან დაბრუნდით.

## - საკონტროლო -გამშვებ პუნქტზე გავლა

- შეაფასეთ ვისგან არის დაკომპლექტებული - მსუბუქად არიან შეიარაღებულები თუ მძიმედ (ჯავშანჭილეტებით, ხიშტებით), აქვთ მხრის თუ ხელის იარაღი, ახალგაზრდები არიან თუ ასაკოვანი (ახალგაზრდები უფრო ნერვიულები და ნაკლებად პროგნოზირებადი არიან), მათი სამოსი (პოლიციელის რეგულარული უნიფორმა), არიან ნასვამები თუ არა, რამდენად აგრესიულები ან ნერვიულები არიან \_ და შესაბამისად მოემზადეთ.
- თუ სერიოზულ საფრთხეში ხართ, უკან დაბრუნდით თუ ეს შესაძლებელია, მაგრამ ყურადღების მიპყრობის გარეშე, რათა ცეცხლი არ გაგიხსნან. თუ რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით ხართ, მხოლოდ ერთით დაბრუნდით. თუ გამშვები პუნქტიდან აშკარად შეგნიშნეს, უკან არ გაბრუნდით , რამდენადაც ძალიან სწრაფად დაგიჭერენ ან გესვრიან.
- შემოწმების დროს მოულოდნელ მოძრაობებს ნუ გააკეთებთ. ხელები თავისუფლად და თვალსაჩინოდ გქონდეთ ნებისმიერ დროს. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და მეგობრული დამოკიდებულება.
- არ იყოთ ქედმაღალი ან არ აჩვენოთ შიში, თუნდაც იყავით მორჩილი.
- სხვადასხვა ფრაქციისგან სამგზავრო დოკუმენტები იქონიეთ, მაგრამ ფრთხილად აჩვენეთ შესაბამისი დოკუმენტი.
- არ დაგავიწყდეთ, რომ ზოგიერთ გუშაგს შესაძლოა თქვენი ენა ესმოდეს, ასე რომ რასაც იტყვით, ფრთხილად იყავით.
- ავტომობილიდან არ გადმოხვიდეთ თუ ამის შესახებ არ გთხოვენ.
- ძრავა არ გამოართოთ.
- თუ გუშაგები თქვენს ნივთებს მოიპარავენ, გააპროტესტეთ, მაგრამ დჟინებით არ მოითხოვოთ.
- მოლაპარაკება აწარმოეთ და ხელმძღვანელ პირთან გასაუბრება მოითხოვეთ.

## 2- მახეები, ფუგასები და კასეტური ბომბები

### - მახეები

- მახე გათვლილია იმისთვის, რომ შეგიტყუოთ შემდეგის გამოყენებით:
  - თქვენი ინსტინქტების (სიხარბე, სურვილები, თვითშენახვა)
  - თქვენი საჭიროებების (საკვები, სამოსი, ფეხსაცმელი, სიცივისგან დაცვა და კარის ან ფანჯრის გაღება)
  - რეფლექსების (ჩირაღდნის ანთება იმის სანახავად, მუშაობს თუ არა ის, ყუთზე ფეხის დარტყმა, ავტომობილის გასაღების გადაბრუნება)

**ყველაზე კარგი მახე დამალულია**

ის შესაძლოა მოტყუებასაც შეიცავდეს, რომელსაც დაფარულ მახემდე მიყავხართ.

### **ყველაზე გავრცელებული მახეებია:**

- სახლებში (კარები, ფანჯრები, ჭერი, ავეჯი, ტელეფონები, ტელევიზორები, საოჯახო ხელსაწყოები, წიგნები, მალვიძარა საათები, საწოლები, სავარძლები, ჩემოდნები).
- სამზარეულოში (ჩაიდნები, დაკონსერვებული საკვები, ბოთლები).
- გზაზე ( საკვები, საწყოები, ხიდები, გზის პირები, ბუნებრივი თავშესაფრები, სატრანსპორტო საშუალებები, მიტოვებული იარაღები, ყუმბარები და სხვა იარაღი, გვამები).

### **ძირითადი სიფრთხილეები**

- როგორც კი შენიშნავთ ფუგასზე მიმაგრებულ სასხლეტ ზამბარას, აღნიშნეთ ლოკაცია და გზა განაგრძეთ. უთხარით ნაღმის არსებობის შესახებ ადგილობრივ ოფიციალურ პირებს (მას შემდეგ რაც ტერიტორიას რუკაზე ან GPS-ით იპოვნით).
- იზოლირებული ფუგასები იშვიათობაა. ჩვეულებრივ, ნახევარი მაინც ნიშნავს ადგილს, ან 30-ისგან შემდგარ ჯგუფში ან მწკრივშია განლაგებული (ხშირად სარით დამაგრებულ ადგილებზე).
- არასდროს გადაუხვიოთ გზიდან ან ბილიკიდან, თუნდაც საპირფარეოში წასასვლელად.
- არასდროს შეეხოთ ნაღმს, ან ბომბის, რაკეტის ან ყუნბარის დეტონატორს თუ სახელურს, რომელიც არ აფეთქდა.
- არასდროს იყიდოთ ფუგასები, როგორც სუვენირები და არასდროს მოუწოდოთ სხვას მისი განაღმვისკენ, რათა თქვენ ის სუვენირად დაიტოვოთ.

კონფლიქტის ზონაში მომუშავე ჟურნალისტი შესაძლოა ნაღმს ან მახეს წააწყდეს. ფუგასები შესაძლოა ზემოაღნიშნულ ფორმებში შეგვხვდეთ ან გაუწვრთნელი მებრძოლების მიერ მოულოდნელი გზით დანაღმული იყოს. მათი დეტონაცია სასხლეტით ხდება ( რომელიც ვიწროვდება და სუსტდნება), ზეწოლით (ან ზეწოლის მოხსნით), ან საზომით („ჭკვიანი“ ნაღმები მოწყობილია ისე, რომ მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ან ავტომობილების გავლის შემდეგ მოდის მოქმედებაში). თუ მახეს ან ნაღმს აღმოაჩენთ, ტერიტორია დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ ფეხისა და სატრანსპორტო საშუალების ნაკვალევის გავლით. თუ თქვენ ერთი ფუგასი შენიშნეთ ეს ნიშნავს, რომ დანაღმულ ტერიტორიაზე იმყოფებით.

- ქვეითების საწინააღმდეგო ნაღმები

სასხლეტი მექანიზმის სიმჭიდროვე, რომელსაც PMR-ისა და PROM-ის ტიპის ნაღმები მოქმედებაში მოჰყავს, ტემპერატურით განსხვავდება, მაგრამ აფეთქების მთავარი რისკი ამინდსა და სეზონის ცვლილებაზეა დამოკიდებული, ჩამოვარდნილი ტოტებითა თუ თოვლისგან დატკეპნილი ბალახით, რომელიც სასხლეტს ამჭიდროვებს და ნაღმის უსაფრთხოების დამცავს ნელ-ნელა გადაადგილებს.

ეს რისკი გაზაფხულის პერიოდში იზრდება, როდესაც ხეები და ბუჩქები იზრდება და ნაღმები ძალიან სახიფათო ხდება, მისი ამოქმედება ნებისმიერ დროს ან მცირედი მოქმედებიდან შესაძლებელია.

## **PMR -2A**

ეს ყველაზე გავრცელებული ფუგასია.

იგი მიწაში ჩამაგრებულ სარზე ან ხეზე თავსდება, რომელსაც ტოტებს აჭრიან, რათა კარგად განთავსდეს.

## **PMA -2**

იგი ჩვეულებრივ სხვა ნაღმებს ჩრდილავს. ეს მწვანე და რთულად შესამჩნევი ნაღმია. მისი ვარსკვლავის ფორმის დეტონატორი ძალიან კარგად მუშაობს და 100 გრამი ასაფეთქებელი მას ძალიან სახიფათოს ხდის.

## **PMA-3**

ნაღმის ეს სახეობა ზოგჯერ შესაძლოა ცარიელ ადგილას შეგხვდეთ, მაგრამ როგორც წესი საბრძოლო პოზიციებიდან 20 მეტრში მკვრივად ამონტაჟებენ. მას მიწას აყრიან ან ზედ მიწაზე დებენ, რომლის დაწოლის ფირფიტა ხილულია.

## **PROM -1**

იგი მიწაში დამარხული ან ქვებითაა შემოწყობილი. მისი სასახლეტი არც ისე მგრძნობიარეა.

## **MRUD -ი**

ეს ნაღმი ხშირად ხეებზეა მიმაგრებული და სხვა ნაღმებთან ფერადი პატრუქებით შეიძლება იყოს დაკავშირებული. მისი მიზანი არა მოკვლა, არამედ დაჭრაა. ამ ნაღმს 20 მეტრის რადიუსში ადამიანის მოკვლა შეუძლია.

- **თუ დანაღმულ ტერიტორიაზე აღმოჩნდით**

**ფებით**

არ გადაადგილდეთ ღამით. გადაადგილდით ერთ მწკრივად, თითოეულ ადამიანს შორის დიდი შუალედებით. არ შეამოკლოთ გზა. არ ახვიდეთ ბარიერებზე ან არ დაიწყოთ ნანგრევების კვლევა. თავი შორს დაიჭირეთ ჭაობიანი ადგილებისგან (ნაღმები შესაძლოა წყალში იყოს ჩამონტაჟებული).

- არავითარი დაჭრილი ადამიანი
- შეინარჩუნეთ სიმშვიდე
- იგივე უთხარით სხვებსაც
- არ გაინძრეთ
- ფრთხილად შეამოწმეთ თქვენს გარშემო ადგილი და ეცადეთ დაადგინოთ საფრთხის შემცველი ლოკაცია (ნაღმები, ასანთები თუ სხვა)

გარემოპირობების მიხედვით, თქვენ უნდა გააკეთოთ შემდეგი:

- დატოვოთ დანაღმული ტერიტორია ზუსტად თქვენი ნაკვალევის გავლით.
- გაუკვალოთ გზა დანაღმულ ადგილას მყოფ სხვა ადამიანებსად და გაიყვანოთ.
- აჩვენოთ მათ უმოკლესი გზა უკან დასაბრუნებლად.
- დაჭრილ ადამიანთან ერთად
- თუ შემთხვევა დანაღმული ტერიტორიის შუაგულში მოხდა, არ უნდა გაინძრენ და დახმარების აღმოსაენად სხვა ადამიანებიც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცენ . უკანდასაბრუნებელი გზა ძალიან სწრაფად უნდა დადგინდეს, რათა დაშავებულებს პირველადი დახმარება გაეწიოთ და ტერიტორიიდან გაიყვანონ.

**სატრანსპორტო საშუალებაში**

- დანაღმული ტერიტორიის არსებობა ზოგჯერ მოულოდნელად გახდება ცნობილი, მას შემდეგ რაც ავტომობილი ნაღმზე გაივლის.
- აფეთქების შემდეგ, ვინც არ დაშავდა, ტრანსპორტის დატოვება არ უნდა იჩქაროს ვიდრე ხანძარი მძვინვარებს. თუ ავტომობილი კვლავ მწყობრშია, უკან დაბრუნდით იმავე გზით, საიდანაც მოხვედით.
- თუ ეს შეუძლებელია, დაჭრილდა ევაკუაცია საბარგულიდან უნდა განხორციელდეს.
- დანაღმული ტერიტორია ავტომობილის ნაკვალევის მიყოლებით უნდა დატოვოთ და დაშავებულებიც იმავე გზით გაიყვანოთ, გზის მაგარი მონაკვეთების გამოყენებით. თავი აარიდეთ გზის ნაპირებს, ღრანტეებს, ახლახანს ამოთხრილ მიწის მონაკვეთებსა და ქვიშით დაფარულ ადგილებს, მიწას ან ლოდებს.

## კასეტური ბომბები

კასეტური ბომბები ე.წ. მშობელ ასაფეთქებელ მოწყობილობაშია ( საჰაერო-ბაზირების რაკეტებში, ბომბებში და ასაფეთქებლებში), რომლებსაც თვითმფრინავებიდან, ვერტმფრენებიდან, გემებიდან ან ხმელეთიდან ისვრიან და ასაფეთქებელ ჭურვებს შეიცავს, რომელიც დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება მას შემდეგ რაც მშობელი მოწყობილობა გაშვებისთანავე ფეთქდება.

კასეტური ბომბები ძალიან განსხვავებულია ( შეიცავს ყუმბარებს ან მცირეკალიბრიან ბომბებს) და სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. გაფანტვა მათი უმთავრესი სამხედრო ღირებულებაა, მაგრამ ზოგიერთი შესაძლოა ამოქმედებისთანავე არ აფეთქდეს და ხმელეთზე, როგორც აუფეთქებელი საფრთხე დარჩეს.

კასეტური ბომბები ისევე უნდა აღვიქვათ, როგორც ნაღმები. მათი მიზანი განადგურება, ტერიტორიების საზღვრების დარღვევა და საფრთხის შექმნაა. ნაღმებისგან განსხვავებით, რომელსაც სპეციალური მოწყობილობა ან ადამიანი ამონტაჟებს, ამ ბომბების ადგილმდებარეობის დარეგისტრირება შეუძლებელია მათივე შემთხვევითი გაფანტულობის გამო.

როგორ მუშაობს კასეტური ბომბი. ფოტოსურათზე (ჟენევაში ჰუმანიტარული განაღმვის საერთაშორისო ცენტრის მიერ მოწოდებული) ნაჩვენებია ავიაბაზირებული კასეტური ბომბი.

**ნაბიჯი 1:** ბომბის (ე.წ. მშობელი მოწყობილობის) ჩამოგდება

**ნაბიჯი 2 :** კასეტური ბომბები იფანტება

**ნაბიჯი 3 :** კასეტური ბომბების სიჩქარის შესამცირებლად პარაშუტები იხსნება, ასტაბილურებს მათ და ვერტიკალურად დაცემას უზრუნველყოფს

**ნაბიჯი 4:** ერთი ბომბისგან ნასროლი კასეტური ბომბები სამი ფეხბურთის მოედნის ზომის ტერიტორიაზე იფანტება

კასეტური ბომბების ჩამოგდება

**3 - სნაიპერები**

სნაიპერები იყენებენ იარაღს, რომელსაც მიზანში მოხვედრა დღის სინათლეზე 600 (ზოგჯერ 1 000) მეტრის მოშორებით შეუძლია, ხოლო ღამით 300 მეტრის მანძილზე. თუმცა, ისინი, როგორც წესი, უფრო მოკლე დისტანციიდან ისვრიან და სპეციალური სამიზნეები აქვთ (ობიექტის 50-ჯერ გამადიდებელი), რომელიც ამცირებს აცილების რისკს. ზოგიერთი ინფრა-წითელ სინათლეს იყენებს, ნისლში, მტვერსა და სიბნელეში სამიზნის დასანახად.

სნაიპერები ძირითადად ისეთ შენობებში საფრდებიან, რომელსაც ბევრი ღია სივრცე აქვს (სურათი 1), მაგრამ არასდროს ბოლო სართულზე ან შენობის წინა ოთახში (სურათი 2). ისინი სახურავებსა და სხვენში დამალვაში ექსპერტები არიან. სნაიპერები ქვიშიანი ტომარის უკან სხდებიან და სამიზნის უკეთ დასანახად სახურავიდან ერთ ან ორ კრამიტს აიღებენ. ეს ხვრელები შორი მანძილიდან არასაეჭვოდ გამოიყურება.

### სურათი 1 :

ტიპური პოზიცია

### სურათ 2:

სნაიპერის პოზიცია შენობაში

- ექოს პრობლემა

გასროლის ხმა ყველა მიმართულებით ვრცელდება წამში 330 -ზე მეტი მეტრი სიჩქარით ( ტყვიის სიჩქარე წამში 1 000 მეტრია).

ბრტყელ დაუსახლებელ ადგილას, ძალიან მარტივია მიხვდეთ სროლის ხმა საიდან ისმის, მაგრამ როდესაც ბევრი წინაღობაა გასროლის ადგილსა და შენს შორის, დაბრკოლებები ექოს იწვევს და გასროლის ხმა სხვადასხვა მიმართულებიდან ისმის.

სამიზნე ყოველთვის იგებს გასროლის ხმას (სწრაფსა და მკვეთრს) შემდგომ კი ექოს ( ხანგრძლივსა და ყრუს). უმოკლესი მანძილი სროლის ხმის გასაგონად სნაიპერიდან მის სამიზნემდეა, მაშინ როდესაც ექოს ხმა უფრო შორს ისმის, ვიდრე ის სამიზნის ყურამდე მიაღწევს. ე.ი. არსებობს შუალედი გასროლის ხმასა და მის ექოს შორის, რაც გაძლევთ საშუალებას უფრო ზუსტად განსაზღვროთ საიდან ისვრიან.

სნაიპერი ირჩევს ადგილს, საიდანაც სროლის ხმისა და მისი ექოს გარჩევა რთული იქნება, რათა სმენის დახმარებით მისი საფარის პოვნა შეუძლებელი გახდეს.

## რჩევები:

- მკაფიოდ განმარტეთ, რომ ხართ ჟურნალისტი ( არ ატაროთ სამხედრო-სტილის სამოსი) და აჩვენეთ თქვენი აღჭურვილობა ისე რომ მეზობელში არ შეეშალოთ.
- წინასწარ დაგეგმეთ თქვენი მოქმედებები.
- ადგილობრივების ჩვევები შეისწავლეთ.
- იმოძრავეთ უფრო სწრაფად (ფეხით თუ ტრანსპორტით).
- სნაიპერის პროვოცირებას ნუ შეეცდებით.
- წვიმა, თოვლი, ქარი და ნისლი შესაძლოა სნაიპერის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.
- თუ დაჭრილი ხართ, თავი მოიმკვდარუნეთ.

## 4- საარტილერიო ცეცხლი

- მოსალოდნელ სროლაზე რეაქცია
- ადამიანები გარბიან ან შენობაში იკეტებიან. მეტალის დარაბები და ფანჯრები ახლოსაა. აფეთქებისა და რაკეტების ხმა რამდენიმე წამით ადრე ისმის.
  
- დაუყოვნებელი რეაქცია
  - მიწაზე დაწეკით, უმჯობესია უახლოესი დაბრკოლების უკან.
  - არ გადაირბინოთ გაშლილი სივრცე.
  
- რეაქცია პირველ გასროლაზე
  - უმჯობესია თავშესაფარი ნახოთ იქ, სადაც იმყოფებით, ვიდრე გაქცევა სცადოთ.
  - თუ ვინმეს ესაჭიროება, პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ.
  - დამშვიდების მეთოდს მიმართეთ იმისთვის, რომ დაჭრილები გარეთ გაიყვანოთ, მაგრამ სიფრთხილე გამოიჩინეთ სროლის სწრაფად განახლებისას. დამშვიდების მეთოდი, ადამიანთა დასარწმუნებლად გამოიყენება, რათა სამალავიდან გაყვანა შეძლოთ.

## რჩევები

- ფრთხილად იყავით, თქვენმა დამოკიდებულებამ მეზობლის შთაბეჭდილება არ დატოვოს.
- შენობის ცენტრალურ ნაწილში დარჩით და შეამოწმეთ გარეთ გასვლის რამდენი გზა არსებობს. შეძლებისდაგვარად, დაბლოკეთ ყველა ღია სივრცე.
- როდესაც სახლში შეხვალთ, ეცადეთ კარებსა ან ფანჯარაზე თქვენი ჩრდილი არ აისახოს.
- კარებში შესვლისას, ზღურბლს მოერიდეთ ( იქ შეიძლება მახე იყოს).
- სახლში არაფერს შეეხოთ. დაიმალოთ ცენტრალურ ოთახში, არასდროს შეხვიდეთ სხვენში ან სარდაფში თუ სხვა ოთახიც ასევე უსაფრთხოა.

## 5- ჩასაფრებები

- თუ გზა არ არის დაბლოკილი

- იჩქარეთ სახიფათო ადგილიდან გასვლა.
- **თუ გზა დაბლოკილია სპორადული სროლით**
  - ფრთხილად დატოვეთ ადგილი.
  - ავტომობილთან ახლოს დარჩით ( მხოლოდ ძრავა და საბურავებია სროლისგან დასაცავად კარგი საშუალება).
  - გაფრთხილდით გზისპირებზე ნაღმების არსებობის შესახებ.
- **თუ გზა დაბლოკილია ინტენსიური სროლით**
  - სროლისგან შორს არსებული მიმართულებით დატოვეთ ადგილი.
  - სწრაფად იპოვეთ თავშესაფარი.
  - ყურად იღეთ სროლებს შორის პაუზა, რამდენადაც თავდამსხმელი შესაძლოა გზაზე გამოჩნდეს ავტომობილების დასაფიქსირებლად ან გასაძარცვად ან საერთოდაც დაჭრილების მოსაკლავად.
- **თუ გზა უკანა მხრიდან არ არის დაბლოკილი**
  - უკან დაბრუნდით ან მოტრიალდით
  - თუ რამდენიმე ავტოტრასპორტია, დარწმუნდით, ერთმანეთს გზას არ უბლოკავდეთ.

რჩევები როდესაც თქვენ სამხედრო ან ჰუმანიტარული კოლონის მანქანაში იმყოფებით:

#### **ღია მინდორში**

- ავტომობილებს შორის 50-მეტრიანი მანძილი დაიცავით, თუ შესაძლებელია მეტიც.
- იარეთ სწრაფად.
- იჩქარეთ, იმისთვის რომ თავიდან აიცილოთ ნებისმიერი თავდასხმა.

#### **ქალაქებსა და სოფლებში**

- ავტომობილებს შორის სამუხრუჭე მანძილი დატოვეთ.
- ინციდენტების ასაცილებლად, იმგზავრეთ არაუმეტეს 50 კილომეტრი საათში სიჩქარით.
- თუ მოგიახლოვდნენ, სიჩქარეს მოუმატეთ.
- დააკვირდით, უცხო მანქანები ხომ არ არიან კოლონის რიგებში და გაფრთხილდით მოტოციკლეტების შესახებ.
- ყურადღება მიაქციეთ შუქნიშნებსა და საგზაო ნიშნებს.

## 6 - აღელვებული ბრბო

- მოძებნეთ დასამალად გამოსადეგი ადგილი
- გამოიყენეთ ყველა ბუნებრივი, ხელოვნური, ჰორიზონტალური და ვერტიკალური დაცვა და ყურადღებით იყავი ქალაქის რაიონებში, განსაკუთრებით მაღალსართულიან შენობებთან ახლოს, საიდანაც ადამიანებს ქვების სროლა შეუძლიათ.
- თუ პირდაპირ გესხმიან თავს, თავი აარიდეთ ფიზიკურ კონტაქტს და სიტუაციის დასამშვიდებლად მოლაპარაკება აწარმოეთ.

## რჩევები

- მოპარვისგან დაიცავით აღჭურვილობა და ავტომობილი, მტრულად განწყობილი ბრბოს ან ვანდალების თვალწინ მომზადების აცილებით ( დაიმახსოვრეთ, სად გააჩერებთ მანქანას).
- ერიდეთ მარტო მუშაობას (კოლეგებთან ერთად მუშაობა თავდაცვას უფრო მარტივს ხდის და დაშავების შემთხვევაში განგაშის საშუალებას იძლევა).
- ატარეთ დამცავი სამოსი (როგორცაა მოტოციკლისტი-ტიპის სამოსი) და თავი დაიცავით ცრემლსადენი გაზისგან (ნიღბით, ხელთათმანებით, სათხილამურო სათვალეებით).
- პოლიციისთვის პროტესტის განწყობის შესახებ შეკითხვით, შეაფასეთ რისკები, მასალები და აღჭურვილობა, რომლის გამოყენებაც იგეგმება ( მძიმე თუ მსუბუქი, თოფები თუ სხვა იარაღი).

## 7- ხელჩართული ბრძოლა

ეცადეთ არ ჩაერთოთ ასეთ ბრძოლაში გაწვრთნილ ადამიანებთან

- ყველაზე დიდ საფრთხეზე მოახდინეთ ფოკუსირება.
- თუ ჯგუფში იმყოფებით, ერთ-ერთმა თქვენთაგანმა ბრძოლის არენიდან გასვლა უნდა სცადოს, რათა როგორმე მათი ყურადღების გადატანა შეძლოთ.
- სიტუაციის დასამშვიდებლად, ილაპარაკეთ. მოახდინეთ ლიდერის იდენტიფიცირება, რომელსაც უნდა ესაუბროთ.
- არასდროს დადგეთ ზარმაცად, ხელებჩამოშვებული. საკუთარი თავის გასაკონტროლებლად დოინჯი გაიკეთეთ.
- თუ მათ წინააღმდეგ წასვლას გადაწყვეტთ, გაბედულად იმოქმედეთ, არ იყოყმანოთ და ძალა მაქსიმალურად გამოიყენეთ.
- თავდამსხმელებისგან შორს არ წახვიდეთ. რაც უფრო შორს წახვალთ, უფრო მოწყვლადი ხდებით. მხოლოდ მაშინ შეძლებთ იმათთან ბრძლას ვისგანაც საფრთხე მოდის, თუ მათთან ძალიან ახლოს ხართ.

## 8 - თუ გაგიტაცეს

მძევლის მოქმედება გამტაცებლის საქციელსა და ადგილობრივ პირობებზეა დამოკიდებული, მაგრამ ხშირ შემთხვევებში, შემდეგი წესებია გასათვალისწინებელი:

- წინააღმდეგობა არ გაუწიოთ ან გაქცევა არ სცადოთ, ვიდრე ამის შესაძლებლობაში არ დარწმუნდებით.
- პანიკაში არ ჩავარდეთ, თავი გააკონტროლოთ, ეცადეთ თავი მშვიდად მოაჩვენოთ. გამტაცებლები თავადაც ღელავენ.
- ეცადეთ რაც შეიძლება მეტი სასარგებლო დეტალი დაიმახსოვროთ, ხმების, სუნების, ხმის, მოძრაობებისა და მათ მიერ მოთხოვნილი დროის შესახებ.
- ეცადეთ თქვენი აქტივობების ორგანიზება შეძლოთ, სულ მცირე გონებაში.
- გამტაცებლებისგან გონივრული ბრძანებები და მოთხოვნები მიიღეთ, მაგრამ ეცადეთ მათი სურვილები არ გაიზარდოს.

- მიიღეთ საკვები, წყალი და ნებისმიერი რამ, რასაც თქვენი ჯამრთელობის გაუმჯობესება შეუძლია, რათა საუკეთესო ფიზიკურ და მენტალურ მდგომარეობაში იყოთ.
- გამტაცებლებს მოთხოვეთ, სახელით მოგმართონ. ეს მათ მიუთითებს, რომ შეგაფასონ როგორც პიროვნება და ვითარება უფრო დამშვიდდეს.

არ დაიჯეროთ სიკვდილით დასჯის მუქარა ან გათავისუფლების შესახებ დაპირება.

- ვინმესთან დალაპარაკება სცადეთ, გააკეთეთ რაიმე, რათა კონცენტრაცია სხვა რამეზე გადაიტანოთ.
- გამტაცებლებთან არაგონებამახვილურად არ იკამათოთ. იყავით მეგობრული და არ სცადოთ მათი პროვოცირება ან არ იყოთ აგრესიული.
- არ იყოთ მონური ან არ ითხოვოთ რაიმე.
- თუ მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებს, იმედი არ გადაიწუროთ. თუ შედეგს გამოიღებს, ეს ნიშნავს, რომ გათავისუფლების შანსები გაიზარდა.
- თუ გამტაცებლები გთხოვენ, ჩაწერეთ ხმა ან დაწერეთ ნეიტრალური შენიშვნა. ეს დაგეხმარებათ გათავისუფლებაში.
- როდესაც თქვენი გათავისუფლების დრო მოახლოვდება, ნუ იქნებით მოუთმენელი და გამტაცებლებს ბოლო წუთამდე დაემორჩილეთ.
- გათავისუფლების შემდეგ, სამედიცინო შემოწმებას გაივლით და დაგკითხავენ. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იპოვეთ ვინმე, ვისაც გაანდობთ მომხდარის შესახებ. გამოცდილებას თქვენთვის ნუ შეინახავთ.
- მიყევით მიღებულ რჩევებს, ვიდრე მედიის წინაშე განცხადებას გააკეთებთ.
- როდესაც ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით, მიიღეთ უსაფრთხოების ზომები გამტაცებლების შესაძლო რეაქციების წინააღმდეგ.

# თავი 5

## ჟურნალისტებისა და მედია პერსონალის დაცვა: BBC- ის მაგალითი

მედია მუშაკების მიმართ გაზრდილმა ძალადობამ ახალი ამბების ორგანიზაციები აიძულა საკუთარი დასაქმებულების უსაფრთხოება სახიფათო ადგილებზე იმდენად დაიცვან, რამდენადაც შესაძლებელია. ეს ტყვიანობებზე, შეიარაღებულ ავტომობილებსა და მცველებს, ლიმიტირებულ ან აკრძალულ მოქმედებებსა და მხოლოდ სატელეფონო ინტერვიუების ჩაწერას მოიცავს. თითოეული საინფორმაციო სააგენტო საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს.

ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაცია (BBC) ამ კუთხით გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე სხვები და საკუთარი პერსონალისა და უშტატო კორესპონდენტების ფიზიკურად დასაცავად ძალიან მკაცრი წესები შექმნა.

## პროდიუსერები ჟურნალისტებისა და სხვა პერსონალის დასაცავად: BBC – ის მაგალითი

„ბი ბი სი“-ს მაღალი რისკის შემცველი სამუშაოების შესრულებისას სპეციალური პირობები აქვს. მაღალი რისკის შემცველი სამუშაო მტრულ გარემოში გაშვებას, კონკრეტული სარისკო საქმიანობის შესრულებას, როგორცაა საშიში დაჯგუფებების ფარულად გადაღებას და ტერორისტული თავდასხმების, ბუნებრივი კატასტროფებისა და პანდემიური დაავადებების გადაღებას გულისხმობს. მაღალი რისკის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ.

## მთავარი მოთხოვნები

ისინი, ვინც მაღალი რისკის შემცველ სამუშაოს ასრულებენ, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- მოიძიონ ინფორმაცია და მაღალი რისკის ჯგუფისგან მიიღონ რჩევა
- რისკის დონის სრული წერილობითი შეფასება აწარმოონ და მიიღონ აუცილებელი უსაფრთხოების საკონტროლო ზომები.
- დარწმუნდნენ, რომ პროცესში ჩართულებს აქვთ შესაბამისი ტრენინგი და გამოცდილება.
- განსაზღვრონ და გამოიყენონ შესაბამისი უსაფრთხოების დაცვის აღჭურვილობა.
- საგანგებო სიტუაციისთვის, შესაბამისი სარეზერვო გეგმები და ზომები შეიმუშავონ.
- მიიღონ შესაბამისი დონის მმართველობის ნებართვა.

## ა. წასვლამდე

### მაღალი რისკის დეფინიცია

მაღალი რისკი განსაზღვრულია, როგორც ჩვეულებრივთან შედარებით, სიკვდილისა და სერიოზული დაზარალების გაცილებით მაღალი რისკი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს:

მტრულ გარემოებებში - ქვეყანა, რეგიონი ან გარკვეული ადგილი, რომელიც საომარ ტერიტორიად გამოიყენება, აჯანყება, სამოქალაქო არეულობა, ტერორიზმი ან დანაშაულების უმაღლესი დონე, ყაჩაღობა, უკანონობა ან საზოგადოებრივი უწყესრიგობა, ასევე, ექსტრემალური კლიმატის ან ლანდშაფტის შემცველი ადგილები.

მაღალი რისკის შემცველი აქტივობები - გამოძიებები, რომლებიც ფარულ თვალთვალს ან გადაღებას, ტერორისტებთან კონფრონტაციას, კრიმინალს, ექსტრემისტებს ან გამძვინვარებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს გულისხმობს.

მაღალი რისკის შემცველი მოვლენები - არეულობები, სამოქალაქო დესტაბილიზაცია ან უკიდურესი საზოგადოებრივი უწყესრიგობა, ტერორისტული ან შეიარაღებული კრიმინალური შემთხვევები როგორცაა გატაცება ან ალყა, ნებისმიერი მოვლენა, რომელშიც ქიმიური, ბიოლოგიური ან რადიოლოგიური სუბსტანციები გამოიყენება, უკიდურესი კლიმატური მოვლენები და ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა ქარიშხლები, ძლიერი წყალდიდობები, მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა და ა.შ. ან სერიოზული დაავადებების, პანდემიების აფეთქება.

### უარის თქმის უფლება

არ არსებობას რისკის შემცველი სამუშაოს შესრულების არანაირი იძულება. პერსონალი რისკის შემცველ სამუშაოზე სრულიად ნებაყოფლობით მიდის და აქვს უფლება, უარი თქვას ასეთი სამუშაოს შესრულებაზე ჯარიმის ან ნებისმიერი სხვა უარყოფითი შედეგის გარეშე.

### ინფორმაცია და რჩევა

პერსონალმა მაღალი რისკის შემცველი სამუშაოს დაგეგმვისას, სადაც პრაქტიკულად ამის შესაძლებლობაა, პირველ რიგში რჩევა უნდა ჰკითხოს „მაღალი რისკის გუნდს“. ეს გუნდი არამეგობრულ გარემოში მოქმედების გრაფიკს შეადგენს და ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში „მგზავრობის გაფრთხილების“ შემცველ სხვა ტერიტორიებსაც განსაზღვრავს, რომელიც რეგიონალურ ბიუროსთან კონსულტაციის შემდეგ რეგულარულად ახლდება. ქვეყნებს, რომლებიც „არამეგობრული გარემოს“ სიაში არიან, სპეციალური მარაგი მოეთხოვებათ, რომელიც აღნიშნულ რეკომენდაციებში იქნება

თანდართული. ეს დირექტივები „სამგზავრო გაფრთხილების“ შემცველ ზონებში არ თავსდება, მაგრამ სტაფი, რომლისთვისაც უცნობია ეს ადგილები, რჩევისთვის მაღალი რისკის გუნდს უნდა დაუკავშირდეს.

მაღალი რისკის შემცველი გუნდი რისკების შეფასების პროცესში მხარს დაგიჭერთ და მოგაწვდით რჩევებს თუ როგორ შეამციროთ რისკები:

- მუშაობის რეკომენდებული მეთოდები
- ინდივიდუალური და გუნდური უსაფრთხოების ზომები
- დამცავი აღჭურვილობა, სასწრაფო დახმარება და ტრავმის აღჭურვილობა
- ჯანდაცვის პრევენციული ზომები
- უსაფრთხო კომუნიკაციები
- გაუთვალისწინებელი სიტუაციების დაგეგმვა

### რისკების შეფასება და დავალების დეტალები

იმდენად რამდენადაც საკმაოდ პრაქტიკულია, ყველა მაღალი რისკის შემცველი სამუშაო, განსაკუთრებული რისკების შეფასებით უნდა შესრულდეს. ანალოგიურ სიტუაციაში ხშირი განთავსება, მაგალითად რეგიონალური ბიუროს წარმომადგენლების ინტენსიურად გაგზავნა მტრულ გარემოში, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, შეიძლება დაიფაროს რისკის დონის უნივერსალური შეფასებით . თუმცა, როგორც წესი ახალი და განსაკუთრებული რისკის დონის შეფასება უნდა დასრულდეს. თუ გადაწყვეტილებას ვერ იღებთ, მაღალი რისკის გუნდი დაგეხმარებათ.

გუნდში რისკების შეფასების დასრულების გარანტირება უფლებამოსილი პროდიუსერის ან მმართველი პერსონალის წევრის პასუხისმგებლობაა.

რისკების შეფასებით პოტენციური საფრთხეები უნდა განისაზღვროს რათა გათვალისწინება და შესაბამისი ზომების მიღება მოხდეს. ( მათ შორის, სად არიან შესაბამისი მონაწილეები, საზოგადოების ან სტაფის წევრები, რომლებსაც ეს მოქმედებები არაპირდაპირ შეეხოთ ).

უფლებამოსილების გადაცემის სქემა დანიშნულების ადგილას განთავსების შესახებ სრულ დეტალებს უნდა იძლეოდეს, მათ შორის:

- ყველა ჩართული პირის შესახებ პერსონალურ მონაცემებს ( მათ შორის სისხლის ჯგუფსა და ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციას)

- საკომუნიკაციო სისტემებს, რომლებსაც გამოიყენებენ. აღნიშნულ ტერიტორიასა და ბაზაზე 24 საათიანი გადაუდებელი დახმარების საკონტაქტო ნომერს, აუცილებლობის შემთხვევაში საკომუნიკაციო განრიგით.
- თან უნდა იქონიოთ პირადი დაცვის აღჭურვილობა ( ჯავშანჭილეთი, შლემი და ა.შ.)
- თან უნდა იქონიოთ სამედიცინო მარაგი (პირველადი დახმარების ჩანთა, სტერილური ნემსების კომპლექტი)
- უნდა დაადასტუროთ, რომ თითოეულ დასანიშნ ადამიანს შესაბამისი ტრენინგი აქვს გავლილი.
- უნდა დაადასტუროთ, რომ ყველა მათგანს იმუნიზაცია აქვს გაკეთებული და აუცილებელი დამცავი მედიკანმენტები თან აქვს.
- გაუთვალისწინებელი მოვლენების დაგეგვმაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, დაკარგვა, კომუნიკაციების დაკარგვა ან დაკავება და მოტაცება იგულისხმება.

## ტრავმული სტრესი

რისკების შეფასებამ და მაღალი რისკის შემცველი სამუშაოს შესრულებამ პროცესში ჩართულებზე შესაძლოა ფსიქოლოგიური და ემოციური გავლენა იქონიოს. გახსოვდეთ, რომ ზეგავლენის ქვეშ არა მხოლოდ პროცესში პირდაპირ ჩართული სტაფი, არამედ ბაზაზე მომუშავეებიც ექცევიან. იხილეთ ცალკეული სახელმძღვანელო ტრავმული სტრესის შესახებ.

## ტრენინგი

გონივრული იქნება თუ ინდივიდები, რომლებიც მტრულ გარემოში სამუშაოდ იგზავნიებიან ამ გარემოს შეისწავლიან და პირველადი დახმარების კურსს გაივლიან. ეს 6 დღიანი კურსი იმისთვის შეიქმნა, რომ პერსონალს მაღალი რისკის შემცველ სიტუაციებში, სამუშაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები გააცნონ და გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების უმაღლესი დონის ტრენინგი ჩაუტარდეთ.

ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს წარსულში მიღებული გამოცდილება მაღალი რისკის გუნდის ხელმძღვანელმა ადეკვატურ მომზადებად შეუფასა და მას გარკვეულ პირობებში მუშაობისთვის ტრენინგი არ ესაჭიროება.

ზოგიერთ პირობებში დამატებითი ტრენინგია საჭირო როგორცაა:

- ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური გადარჩენის ან გაცნობიერების
- სამოქალაქო არეულობის ან მასების წვრთნაზე მუშაობის

- კურსის წამყვანი ჯავშნმანქანის ან ყველგანმავალის
- ექსტრემალურ გარემოში ( არქტიკა, ჯუნგლები, უდაბნო, სიმაღლე) გადარჩენის ტრენინგი.
- მტრულ გარემოში მოქმედების კურსი გარკვეულ ტერიტორიებზე განთავსებისთვის გამოიყენება.

მაღალი რისკის შემცველი აქტივობები. ადამიანებმა, რომლებიც მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებში ერთვებიან, განსაკუთრებით გამოძიებებისა და ფარულად გადაღებისას, უნდა გაიარონ შესაბამისი მოსამზადებელი კურსი ან კარგი რელევანტური გამოცდილება უნდა ჰქონდეთ, რათა ფუნქციები უსაფრთხოდ შეასრულონ. ზოგიერთი მაღალი რისკის შემცველი აქტივობა დამატებით ტრენინგსაც მოითხოვს, როგორცაა „HEFAT“- ი ან ზემოაღნიშნული კურსები.

მაღალი რისკის შემცველი მოვლენები. მსგავსი მოვლენების საწვრთნელ მოთხოვნებს ბაზისურად მაღალი რისკის ჯგუფი განსაზღვრავს უმაღლეს გამყოფ მენეჯმენტთან ერთად. ნებისმიერი ტრენინგი ერთი ან რამდენიმე კურსის კომბინაციაა. როგორც სხვა მაღალი რისკის კატეგორიებში, ადამიანებს ტრენინგების გავლის მოთხოვნას მათი წარსული გამოცდილების, სხვა რელევანტური ტრენინგებისა და განსაკუთრებულ პირობებში გაგზავნის მიხედვით წაუყენებენ.

გადამზადება. ეს ყოველ სამ წელიწადში უნდა მოხდეს ყველა ზემოაღნიშნული კურსისთვის.

## ბ. მისიის განმავლობაში

### ბრძოლის ველზე

#### პასუხისმგებელი პირი

თითველ გუნდში პასუხისმგებელი პირი დასახელდება, ყველაზე უფროსი აღნიშნულ ლოკაციაზე ( როგორცაა მთავარი პროდიუსერი). გუნდის ლიდერის პასუხისმგებლობებში შედის:

- უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით დროული გადაწყვეტილებების მიღება
- ბრძოლის ველზე უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთან კომუნიკაცია, არსებობის შემთხვევაში
- გუნდის ადგილობრივად დაქირავებული წევრების კომპეტენტურობის უზრუნველყოფა
- გუნდური საკითხების მოგვარება: ვარგისიანობა, თანხმობა
- პირადი უსაფრთხოების დაცვისთვის აღჭურვილობის მომარაგება და გამოყენება
- ავტომობილებისა და აღჭურვილობის შესაბამისი და უსაფრთხო გამოყენების უზრუნველყოფა
- უმაღლეს ხელმძღვანელობასა და მაღალი რისკის გუნდთან ORM კომუნიკაცია
- 

#### მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში

პირი, რომელიც კონკრეტულ მტრულ გარემოში მხარდასაჭერად იგზავნება და მაღალი რისკის შემცველ სამუშაოს ასრულებს. მისი პასუხისმგებლობაა რჩევის მიცემა და უსაფრთხოების საკითხების კოორდინირება იმ ადამიანებისთვის რომლებიც BBC-იმ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაგზავნა. თუმცა, უსაფრთხოების დაცვაზე უმთავრესი პასუხისმგებლობა მაინც პასუხისმგებელ პირს ეკისრება.

მრჩეველი უსაფრთხოების საკითხში არის მაღალი რისკის გუნდის წევრი ან წინასწარ გამოძიებული და დანიშნული გარეშე კონტრაქტორი. მისი ვალდებულებებია:

- ბრძოლის ველზე უსაფრთხოების დაცვის ნებისმიერ ასპექტზე რჩევის მიცემა
- უსაფრთხოების ზომების კოორდინაცია IC-სთან კონსულტაციების შემდეგ
- ინფორმაციის უზრუნველყოფა - უსაფრთხოების ნებისმიერ ასპექტზე გუნდის ინფორმირება
- ბრძოლის ველზე საჭირო დამცავი აღჭურვილობის შეძენა და გამოყენება
- კომპეტენტური ადგილობრივი კონტრაქტორების შერჩვა უსაფრთხოებისათვის
- ანგარიშის მომზადების პროცედურები

## დასაქმებულები

BBC-ის მიერ დასაქმებულმა ყველა ადამიანმა:

- იცის უსაფრთხოების ტექნიკის ყველა ინსტრუქცია და მიმდინარე სამუშაო პირობები თუ ზომები
- მითითებისამებრ ესწრება ტრენინგს ვიდრე დანიშნულების ადგილას გაიგზავნება
- მუშაობს მმართველობის ფარგლებში და ველზე სტრუქტურას ხელმძღვანელობს
- აწვდის დეტალურ პერსონალურ და სამედიცინო ინფორმაციას ( ახლო ნათესავებისა თუ სისხლის ჯგუფის და ა.შ. შესახებ) საჭიროებისამებრ
- თუ მანქანის მართვა არის მოთხოვნებში, მოქმედ მართვის მოწმობას წარადგენს და სპეციფიკურ ადგილებში მართვის კომპეტენცია აქვს
- აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოს შესრულების შემდეგ რეზიუმეს წარმოადგენს
- უშტატო პერსონალი კონტრაქტს მოაწერს ხელს (სადაზღვევო მოთხოვნებს).

## მაღალი რისკის გუნდი ORM

განსაზღვრეთ და აქტიური ზედამხედველობის ქვეშ გქონდეთ მტრული გარემოებები, მაღალი რისკის შემცველი აქტივობები და მოვლენები ( ახალი ამბებისა და მსოფლიო ამბების სამსახურთან, რეგიონალურ რედაქტორებთან, მაკონტროლებელ სარედაქტორო პოლიტიკასთან კონსულტაციების ფარგლებში) და გამოაქვეყნეთ ინფორმაცია (Gateway) ინტერნეტში.

რედაქტორები/პროდიუსერები უახლესი ინფორმაციებით მოამარაგეთ, რომელმაც შეიძლება რისკების შეფასებას ზიანი მიაყენოს.

წარმოადგინეთ სპეციალისტის უსაფრთხოების დაცვის კონსულტაცია და ინფორმაცია, მათ შორის ექსპლუატაციისთვის მზა და პირადი უსაფრთხოებისთვის, მენეჯერებისთვისა და პერსონალისთვის, მაგალითად:

- საჭირო საკომუნიკაციო სისტემებზე ( როგორცაა სატელიტური ტელეფონები)
- საჭირო აღჭურვილობაზე
- ყველა სარეზერვო გეგმის შესახებ

მიაწოდეთ ინფორმაცია მთავარ მენეჯერებს, როგორცაა ნიუსების შეგროვების უცხოური დაგეგმარების ხელმძღვანელი

მოახდინეთ უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობის კოორდინირება BBC-ის უსაფრთხოების დაცვის საწყობებში

დანიშნულების სქემისა და რისკების დონის შეფასების მიმოხილვა

აკონტროლეთ და გაიარეთ კონსულტაცია მტრული გარემოს უწყვეტად გაგრძელებასთან დაკავშირებით და გაიარეთ მაღალი რისკის შემთხვევაში უსაფრთხოების ტექნიკის ტრენინგი

გაიარეთ კონსულტაცია უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის აუცილებლობის შესახებ და დანიშნეთ/გაუწიეთ რეკომენდაცია შესაბამის ადამიანებს/კომპანიებს.

უზრუნველყავით კონსულტაციები ტრავმული ზეწოლისთვის და მენეჯერებსა და სხვებს შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესახებ რეკომენდაციები მიეცით.

იმუშავეთ BBC-ის აღჭურვილობით, რათა წინასწარ მოკვლეული სპეციალისტი კომპანიებისა და უსაფრთხოების მრჩეველთა სიები შეადგინოთ.

ეს კომპანიებისა და ინდივიდების გაუფრთხილებლად გადამოწმების პროცესს შეიცავს, რათა განსაზღვრული ოპერატიული საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდეს.

გადაამოწმეთ გაიარეს თუ არა პროდიუსერებმა შესაბამისი სარედაქტორო მოწონება.

## **ინფორმაცია**

ინფორმაცია მაღალი რისკის შემცველი სამუშაოს შესახებ ORM Gateway -ის საიტზეა მოცემული. იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ENPS (Newsgathering Hold Safety Folder)-ის მეშვეობით.

ბრძოლის ველზე მომუშავეთათვის, მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებმა ინფორმაციებთან გაცნობა შეძლონ.

პირებმა უნდა მოიძიონ რელევანტური ცნობები (პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, სამხედრო და ა.შ.)იმ ადგილებისა და ქვეყნების შესახებ, სადაც ისინი იმუშავენ. სასარგებლო წყაროებია BBC-ის კორესპონდენტები, ახარი ამბების წყაროები და BBC-ის მსოფლიო სამსახურის ენის სერვისი, ასევე გარეშე სპეციალისტები და ორგანოები.

## **ავტომობილის მართვა**

იმ პირებს, რომლებსაც შესაძლოა ავტომობილის მართვა მოსთხოვონ, აუცილებლად უნდა გააჩნდეთ მოქმედი მართვის მოწმობა და შესაბამისი გამოცდილება.

იმათ, ვისაც ჯავშანმანქანის მართვა უწევთ, უნდა მიიღონ ინსტრუქციები მაღალი რისკის გუნდისგან ან თუ ეს არ არის ხელსაყრელი, შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე პირისგან.

## ადგილობრივად დაქირავებული უშტატო კორესპონდენტები

დოკუმენტში მითითებული პირობები ხანგრძლივი ან ფიქსირებული კონტრაქტით მომუშავე BBC-ის ყველა თანშრომელს შეეხება ( არის დიდ ბრიტანეთსა და ბრძოლის ველზე ბაზურებული), კომპანიაში დასაქმებულ ყველა კონტრაქტორსა და უშტატო კორესპონდენტს, რომელიც შესაძლოა მაღალი რისკის შემცველი სამუშაოს შესასრულებლად გაუშვან.

თუ მაღალი რისკის შემცველ ადგილებში მომუშავე უშტატო წევრები (რეპორტიორები, ეკიპაჟები, თარჯიმნები თუ სხვა) ადგილობრივები არიან, შესაბამისი გამოცდილებაც უნდა ჰქონდეთ, რათა უსაფრთხოდ იმუშავონ აღნიშნულ ტერიტორიაზე. შესაბამისი გამოცდილებაში იგულისხმება, მაგალითად, ადგილობრივი პირობების, აღნიშნულ ადგილას ან სხვა რისკის შემცველ ტერიტორიებზე წინა დავალებების ან სამხედრო სამსახურის შესახებ ცოდნა.

როდესაც ასეთი წევრების დაქირავება ხდება, შეფასება შესასრულებელი დავალებისა და ვალდებულებებისთვის ინდივიდუალური ვარგისიანობის მიხედვით უნდა მოხდეს. შეფასების დროს ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების გამოცდილებას, პირობებისა და აღჭურვილობის ფლობას. ეს BBC-ის გუნდის მთავარმა წევრმა უნდა განახორციელოს.

შეფასების დროს უნდა განისაზღვროს რა სახის ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს ადამიანს. BBC - ისთვის მომუშავე ადამიანებს შესაბამისი წვრთნა უნდა ჩაუტარდეთ და მოხდეს მათი ინფორმირება და ინსტრუქციების მიცემა ბრძოლის ველსა თუ დიდ ბრიტანეთში. მტრულ გარემოში მოქცევის ტრენინგი, ყველა იმ პირს უნდა ჩაუტარდეს, რომელიც თავისი დროის 50 პროცენტზე მეტს BBC-ისთვის მუშაობაში ატარებს.

BBC - ის მიერ დაქირავების შემთხვევაში, ადამიანი BBC-ის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი თავდაცვის აღჭურვილობით მომარაგდეს.

BBC - იმ უშტატო კორესპონდენტებისთვის მტრულ გარემოში მოქმედების ტრენინგის სქემა შეიმუშავა. სქემას BBC - ი და სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციები ასპონსორებენ და the Rory Peck Trust-ი ხელმძღვანელობს. Trust-ი სადაზღვევო პოლისების ფასდაკლებასაც უზრუნველყოფს მათთვის, ვისაც აღნიშნული ტრენინგი აქვს გავლილი.

## სამედიცინო დახმარება და ევაკუაცია

კონფლიქტის ზონისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საშუალებებისა ავადმყოფებისა თუ დაზარალებულთა საევაკუაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა და ხარისხი დანიშნულების ადგილზე წასვლამდე უნდა განისაზღვროს და რისკების დონის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული. თუ ეს საშუალებები მწირია, ადგილზე განსაკუთრებული პოირობები უნდა შეიქმნას.

უცხო ადგილებში მომუშავე სტაფის ყველა წევრს AXA PPP სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბარათი და 24 საათიანი დახმარების ტელეფონის ნომერი უნდა გააჩნდეს.

უბედური შემთხვევების გაშუქებისას, საჭირო პროცედურების შესახებ უცხოეთში დასაქმებულების ინფორმირება პროდიუსერებისა და დავალების რედაქტორის პასუხისმგებლობაა. პროცედურების შესახებ დეტალები ბარათზე უნდა იყოს ხაზგასმით აღნიშნული. AXA PPP-სთან დაკონტაქტებასთან ერთად, ნებისმიერი უბედური შემთხვევის შესახებ დავალების რედაქტორები და ORM მაღალი რისკის გუნდი უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

ნებისმიერი სამედიცინო ინფორმაცია ORM მაღალი რისკის გუნდსა და მოგზაურობის კლინიკას (Travel Clinic) უნდა გადაეგზავნოს უსაწრაფესი გზით, რათა რისკების შეფასება დროულად მოხდეს.

## დაკავება/გატაცება

პროდიუსერები და დავალების რედაქტორები უნდა იძლეოდნენ გარანტიას, რომ გატაცების ან დაკავების ადგილას გაუთვალისწინებელი პროცედურებია გასავლელი. შესაბამისი ზომები და ინსტრუქციები ადგილობრივ ენაზე უნდა გაიცეს, აუცილებლობის შემთხვევაში რეპორტიორების/სტაფის ენობრივი შტატი დაიშვას, რათა პროცედურები უკეთ იქნას გაგებული. საჭიროების შემთხვევაში დასაქმებულებმა გატაცების საინფორმაციო ფორმა უნდა შეავსონ ( მათ შორის სიცოცხლის მტკიცებულება/იძულებასთან დაკავშირებით შეკითხვები და ა.შ.).

დაკავების, გატაცების, დაპატიმრების შემთხვევაში, რომელსაც მედიით აშუქებენ, მაღალი რისკის გუნდის ინფორმირება აუცილებლად უნდა მოხდეს. მომდევნო დაწვრილებით პროცედურებს დაკავების ან გატაცების საპასუხოდ ისინი აწარმოებენ.

## გ. მისიის დასრულების შემდეგ

### ანგარიში დავალების შესრულების შემდეგ

მაღალი რისკის შემცველი სამუშაოს შესრულების შემდეგ, გუნდის ლიდერმა ან ბრძოლის ველზე უსაფრთხოების მრჩეველმა დეტალური წერილობითი ან ვერბალური რეზიუმე უნდა წარმოადგინონ დავალების/ოპერაციის, გამოცდილების, შესაბამისი ახალი ინფორმაციისა და რჩევის შესახებ, რომელიც მომავალში რისკების შეფასებებში დაეხმარებათ. ORM მაღალი რისკის გუნდმა უნდა მიიღოს ეს და ინფორმაციის გავრცელების გარანტია მისცეს. მნიშვნელოვანი ინფორმაცია სახიფათო გარემოებების სიის გასახიფათოდ გამოიყენება Gateway-სა და ENPS -ზე (ახალი ამბებისთვის). მისიიდან დაბრუნებულ თითოეულ ადამიანთან დავალებების განხილვა ადგილობრივ მენეჯერებსაც ევალებათ.

ინციდენტების/ავარიების რეპორტირების პროცედურა ნებისმიერი მოვლენის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად უნდა გამოიყენებოდეს, რაც მომავალი რისკების შეფასების შესახებ ინფორმირებასა და უსაფრთხოების ზომების გაანალიზებას დაეხმარება. დასაქმებულები თავიანთ მენეჯერებს ან უსაფრთხოების საკთხში მრჩეველს უნდა დაუკავშირდნენ. მსგავსი რეპორტირები კონფიდენციალურად იქნება მიჩნეული.

თუ დასაქმებული დავალების შესრულებისას სტრესულ ან ტრავმულ სიტუაციებში აღმოჩნდა, BBC-ი ურჩევს, პრაქტიკული დავალების შესრულებისთანავე დაკითხვა გაიარონ. აუცილებლად უნდა გაკეთდეს რეზიუმე ტრავმულ ზეწოლასთან დაკავშირებით და ORM მოგზაურობის კლინიკამ ტრავმირებულს რჩევა უნდა მისცეს. რეკომენდაციის კონფიდენციალური მომსახურების განხილვისთვის სტაფს BUPA PEC-თან დაკავშირება შეუძლია.

თუ დასაქმებული დავალების შესრულებისას ავად გახდა და მიიღო სამედიცინო დახმარება (პროფესიონალების/თვითდანიშნულებით) მან დაბრუნებული მოგზაურის შესაბამისი ფორმა უნდა შეავსოს და მოგზაურთა კლინიკას შეატყობინოს. შესაბამისი ზომები შესაბამის ენაზე იქნება მიღებული დიდ ბრიტანეთსა და საზღვარგარეთ დაქირავებული პირებისთვის.

## ეს არის ფორმა, რომელიც BBC-ის ჟურნალისტმა სახიფათო ადგილას გამგზავრების წინ უნდა შეავსოს

---

### საზღვარგარეთ რისკების შეფასება და დავალების სქემა

#### განმარტებითი შენიშვნები

1. ვიდრე ცაკლეული რისკის შეფასება არსებობს, ეს ფორმა სახიფათო ადგილას გამგზავრებამდე ან მაღალი რისკის შემცველი საქმის შესრულებამდე, ასევე მაღალი რისკის შემცველ მოვლენებში მონაწილეობამდე უნდა შეივსოს, როგორც BBC-ის მაღალი რისკის სახელმძღვანელოშია მითითებული. ეს მაღალი რისკის გუნდთან კონსულტაციის შემდეგ უნდა შეივსოს.
2. ფორმა BBC-ის ნებისმიერი განყოფილების, ფილიალებისა და ყველა დამოუკიდებელი კომპანიისთვის გამოსადეგია, რომელიც BBC-ისთან მაღალი რისკის შემცველი სამუშაოს შესრულებისას თანამშრომლობს. დამოუკიდებელი კომპანიები BBC-ის სახელმძღვანელოს უნდა მიყვნენ.
3. დამატებით, პროგრამის შემქმნელებს შესაძლო სტანდარტული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროგრამის რისკის შეფასების შევსება დასჭირდეთ, თუ მათი პროგრამა ისეთ რისკებს შეიცავს, რაც ფორმაში არ არის მითითებული.

**დამატება:** მაღალი რისკის გუნდთან შეამოწმეთ, თქვენი საქმისთვის საერთო რისკის შეფასების სქემა უკვე ხომ არ შეიქმნა.

---

ეს ფორმა 3 ნაწილად იყოფა და თითოეული სრულად უნდა შეივსოს

---

#### 1. დავალების სქემა

გთხოვთ, ჩაიწეროთ განთავსების დეტალები და წარმოადგინოთ სრული საკონტაქტო ინფორმაცია.

#### 2. რისკის შეფასება

გამგზავრებამდე რისკები და საფრთხეები უნდა შეფასდეს, განისაზღვროს ადგილზე რა ზომების მიღება შეიძლება. მათ შორის ნებისმიერი ტრენინგი, რომელიც უნდა შესრულდეს.

#### 3. უფლებამოსილების მინიჭება

მაღალი რისკის შემცველი სამუშაო შესაბამისმა მენეჯერმა უნდა მოგცეთ მაღალი რისკის გუნდთან კონსულტაციის შემდეგ, როგორც მაღალი რისკის სახელმძღვანელოშია მითითებული. მიღების ჩანაწერის ელექტრონული ვესრია ფორმასთან ერთად მაღალი რისკის გუნდს უნდა გადაეგზავნოს.

---

საზღვარგარეთ რისკების შეფასება და დავალების სქემა

---

1. დავალების სქემის ფორმა

---

პროგრამის/პროექტის

სათაური

---

პასუხისმგებელი დეპარტამენტი

---

პროგრამის/პროექტის სქემა

---

პროექტის/პროგრამის თარიღები

---

დაგეგმილი მარშრუტი

---

თუ წარმოების გეგმა უკვე გაგაჩნიათ, ჩასვით ამ აქ/მიამაგრეთ დოკუმენტის ბოლოს ან შეავსეთ ქვემოთ მოცემული სამგზავრო დეტალები:

---

ქვეყანა	თარიღები	ფრენის დეტალები
	(გამგზავრების, უკან დაბრუნების)	

(შემღებისდაგვარად

ჩასვით მწკრივში)

---

ქვეყნის შიგნით მგზავრობის დეტალები	საცხოვრებელი (საკონტაქტო ინფო.)
------------------------------------	---------------------------------

(თარიღები და მგზავრობის მიზანი)

---

-----

გუნდის წევრების პერსონალური ინფორმაცია

---

სახელი	სტაფის ნომერი	ეროვნება (პასპორტის ნომერი/ გაცემის ადგილი და მოქმედების ვადა)
--------	---------------	--

---

საკონტაქტო პირი (მისამართი+ტელეფონის ნომერი)

---

სისხლის ჯგუფი (თუ ცნობილია)

---

სახიფათო გარემოში მოქცევის ტრენინგი (თარიღი)

---

კონტაქტები

---

გუნდის ყველა წევრის

(მობილურები და სატელიტური ტელეფონები)

---

დამხმარე პირის საკონტაქტო ინფორმაცია (24 საათიანი)

---

სხვა კონტაქტები ქვეყანაში

---

მწარმოებელი გუნდის კონტაქტები

---

მწარმოებელი გუნდის საგანგებო შემთხვევების კონტაქტები

---

არ დაგავიწყდეთ ადგილობრივი სტაფის დამატება თქვენს განრიგში

---

---

2. რისკების შეფასება

---

საკონტროლო სია

---

დაუკავშირდით თუ არა საკონტაქტო პირის სახელი

მაღალი რისკის გუნდს კონტაქტის თარიღი:

---

დაუკავშირდით თუ არა საკონტაქტო პირის სახელი

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დაკავშირების თარიღი:

მრჩეველს

---

დაუკავშირდით თუ არა საკონტაქტო პირის ნომერი

მრჩეველს დაკავშირების თარიღი:

---

შრომის დაცვის საკითხში

---

რა აღჭურვილობა მიგაქვთ

(ჯავშანჟილეტი, პირველადი

დახმარების ჩანთა და ა.შ.)

---

გააფრთხილეთ თუ არა

ადგილობრივი კორესპონდენტი/

ბიურო, თქვენი გამგზავრების შესახებ

---

---

**რისკები**

**რა არის რისკი და რა უნდა გაკეთდეს ამასთან დაკავშირებით**

---

სამედიცინო/ავადმყოფობა/ადგილობრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა

---

კლიმატი/უდაბნო/არქტიკა/ჯუნგლები

---

ბუნებრივი კატასტროფა-წყალდიდობები,მიწისძვრები

---

საკვები/წყალი/ელექტროენერგია

---

მოზაურობა - ავტომობილი/ვერტმფრენი

---

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

---

პირადი უსაფრთხოება/მასობრივი არეულობა

---

ბომბები/ტყვიები/ნადმები/გატაცება

---

შეიარაღებული ესკორტები

---

სხვა შესაძლო რისკები

---

---

**გაუთვალისწინებელი ვითარება/ საევაკუაციო გეგმა**

გთხოვთ, თან დაურთოთ საგანგებო სიტუაციის დროს სამოქმედო გეგმა, მათ შორის სამედიცინო ევაკუაცია და უკან დაბრუნების პროცედურა/ როდის დაიწყეთ საპასუხო მოქმედება და ა.შ.:

---

სხვა კომენტარები:

---

---

---

---

**3. მენეჯმენტის მიერ მიღება**

რისკები ადეკვატურად განისაზღვრა და ადგილზე კონტროლი საკმარისია:

---

მიმღები მენეჯერი

მიღების თარიღი

საკონტაქტო ინფორმაცია

# თავი 6

## პირველადი დახმარება დაჭრილებისა და დაშავებულებისათვის

სახელმძღვანელოს შესავალ თავში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მონაცემები რისკების შეფასებისკენ არის მიმართული, რომლის წინაშეც ჟურნალისტები აღმოჩნდებიან. თუმცა, ამ მითითებების სკრუპულოზურად დაცვის მიუხედავად შესაძლოა ინციდენტები და დაშავების შემთხვევები მოხდეს. ამ თავში ჩვენ პირველადი დახმარების პროცედურებს აღვწერთ, რომელიც პროფესიონარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენამდე უნდა იქნას გამოყენებული. ეს, რა თქმა უნდა, ვერასდროს შეცვლის სათანადო პირველადი დახმარების ტრენინგს. აქ მოცემული ინფორმაცია პირველადი დახმარების შესახებ კომპანიის „რისკების შეფასების ცენტრიონი“ მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოდან ამონარიდია.

ვიწყებთ ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპითა და პროცედურებით, როგორებიცაა სიცოცხლისუნარიანობის აღდგენის მეთოდები და გულის მასაჟი, შემდგომ გადავდივართ პრაქტიკულ მაგალითებზე, სადაც მოცემულია სიტუაციები, რომლებსაც შეიძლება გადააწყდეთ.

## ფუნდამენტური პრინციპები

### რა უნდა იცოდეთ ვიდრე პირველადი დახმარების აღმოჩენას დაიწყებთ

გადაუდებელი პირველადი დახმარების აღმოჩენა შესაძლოა დამხმარეთათვისაც ტრავმული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით თუ საქმე სერიოზულ ჭრილობებს ეხება, პაციენტები გონს არ არიან, საქმე გვაქვს ბავშვებთან ან დაზარალებულთა რიცხვი დიდია. ავადმყოფი ან დაჭრილი ადამიანი როგორც ემოციურ ისე ფიზიკურ მზრუნველობას მოითხოვს. პირველადი დახმარების აღმოჩენაში თქვენმა უნარებმა შესაძლოა ჭრილობის დონე და ადამიანთა გადარჩენის შანსი განსაზღვროს. უბედური შემთხვევის მსხვერპლი შესაძლოა თქვენი მეგობარი ან უცხო პირი აღოჩნდეს, მაგრამ ასევე შესაძლოა პირველადი დახმარების აღმოჩენა ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს მოგიწიოთ. პირველადი დახმარება რომ აღმოუჩინოთ, თქვენ თვითონ არ უნდა გახდეთ შემთხვევის მსხვერპლი.

ასევე მნიშვნელოვანია პაციენტის დარწმუნება, რომ მათზე იზრუნებთ და მღელვარებას შეუმცირებთ. თუკი უბედური შემთხვევა სუნთქვას ან გულის გაჩერებას უკავშირდება, პაციენტს მოსმენისა და სიტუაციის გაგების უნარი დარჩენილი ექნება.

- უბედური შემთხვევის ადგილას

როგორც კი ინციდენტის ადგილს მიუახლოვდებით, სიტუაცია შეაფასეთ. შეამოწმეთ საფრთხეები, როგორიცაა ხანძარი, ჟანგბადის ნაკლებობა, შეზღუდული სივრცეები; ელექტრო, ქიმიური, გადაადგილების ან წყალთან დაკავშირებული საფრთხეები.

გაფრთხილდით, რომ უბედური შემთხვევა შესაძლოა ინფექციურ დაავადებას უკავშირდებოდეს, როგორცაა ჰეპატიტი ან შიდსი. საფრთხე შესაძლოა ხელთათმანების გაკეთებითა და ბარიერების გამოყენებით აიცილოთ, როდესაც სხეულის სითხესთან კონტაქტი გიწევთ. აკრონიმი „მოწყობა“ SETUP, მოქმედებს როგორც სხვადასხვა სტადიის შეხსენება, რომლებზე დაკვირვებაც უნდა მოხდეს, დაზარალებულისთვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენის მიზნით.

### **შეჩერდით**

- 1 ღრმად ჩაისუნთქეთ
- 2 იფიქრეთ „მთავარ შეფასებაზე“
- 3 იფიქრეთ „ჭრილობის მექანიზმზე“ (ჩართული ძალები)

### **გარემო**

- 1 გაითვალისწინეთ შეზღუდვები

### **მომრაობა**

- 1 ტრანსპორტის მდგომარეობა
- 2 უსაფრთხო მიახლოება
- 3 ყურადღებით ყოფნა

### **უცნობი საფრთხეები**

- 1 გაითვალისწინეთ შეზღუდვები
- 2 გაზი, ქიმიკატები, ელექტრო, ხანძარი, ნგრევა, აფეთქება, რადიაცია, ჟანგბადის ნაკლებობა

### **დაიცავით საკუთარი თავი და პაციენტი**

- 1 გამოიყენეთ ბარიერები
- 2 თავიდან აიცილეთ უფრო მეტი ზიანი
- 3 ივარაუდეთ, რომ პაციენტები ინფექციებით, ჰეპატიტით, შიდსითა და სხვა სისხლით გადამდები დაავადებებით არიან ინფიცირებულნი
- 4 გამოიყენეთ დამცავი საშუალებები, ხელთათმანები, თვალეხის დამცავი სათვალე და ნიღაბი
- 5 ერიდეთ კანსა და ლორწოვან გარსთან პირდაპირ ან ირიბ კონტაქტს
- 6 აიცილეთ ნემსით, მინის ნატეხითა და სხვა ბასრი საგნებით ჩხვლეტები

7 დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სხეულის ღია ნაწილები

8 გათავისუფლდით ნებისმიერი ინფექციური ნარჩენისგან

### **პირველადი დახმარების პრიორიტეტების განსაზღვრა**

პასუხისმგებლობების დონეთა დეფინიცია

- გონზე მყოფი
  - პასუხობს გააზრებულად
- უგონოდ მყოფი
  - არ პასუხობს გააზრებულად
  - შესაძლოა სუნთქვა შეეკრა ან გული გაუჩერდა (გულისცემა არ ისმის)

კონტაქტურობის დონე პაციენტის მდგომარეობის ინდიკატორია. როგორც კი ჟანგბადის დონე მცირდება, კონტაქტურობის უნარიც ქვეითდება. პაციენტის დახმარების დროს სიცოცხლისუნარიანობის დონის ცვლილებას დააკვირდით. სასწრაფო დახმარების სამსახურისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება პაციენტის მკურნალობას დაეხმარება.

### **პირველი პუნტები, რომლებიც შემოწმდება**

შეაფასეთ და და დაეხმარეთ დაზარალებულს შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

ა. სასუნთქი გზები

- შემთხვევა სასუნთქ გზებთან დაკავშირებით

ბ. სუნთქვა

- უბედური შემთხვევა სუნთქვის გართულებასთან დაკავშირებით ან როდესაც პაციენტი საერთოდ ვერ სუნთქავს

გ. ცირკულაცია

- შემთხვევები ჭრილობიდან სისხლდენას ან შოკთან დაკავშირებით

დ. უუნარობა

- გაუცნობიერებელი შემთხვევები
- სხვა ჭრილობები, მოტეხილობები და დამწვრობები

შემდეგ:

1. მოათავსეთ პაციენტი კომფორტულად
2. დააფიქსირეთ დაზიანებული კიდურები და გატეხილი ძვლები
3. შეუმსუბუქეთ ტკივილი, თუ შესაძლებელია

#### 4. აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელეთ ევაკუაცია

##### სასუნთქი გზების გაწმენდა

ეს ნაბიჯი აბსოლუტურად სასიცოცხლოა, რადგანაც სასუნთქი გზების ჩაკეტვა რამდენიმე წუთში დაზარალებულის გარდაცვალებას გამოიწვევს.

სასუნთქი გზების ჩაკეტვა რამდენიმე გზით შეიძლება მოხდეს;

- დახრჩობა, სულის ხუთვა
- სისხლით ინჰალაცია
- პირის ღრუსა ან ხახაში უცხო სხეულის მოხვედრა, როგორცაა კბილის პროთეზი, რწყევა,ჭუჭყი, ტალახი, შედედებული სისხლი
- სასუნქი გზების შეშუპება
- სახისა და ყელის არეში დაზიანდება

თუ დაზარალებული არ სუნთქავს, ხელოვნური სუნთქვის მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული.

სუნთქვის შეჩერება შეიძლება ნებისმიერმა მოცემულმა შემთხვევამ გამოიწვიოს:

- სულის ხუთვა
- დახრჩობა
- სასუნთქი გზის შეშუპება
- უგონო მდგომარეობაში ყოფნისას ენის ჩაყლაპვა
- წყლით, სისხლით ან ღებინებით დახრჩობა
- გულის შეტევა
- ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლა და ა.შ.

თანამიმდევრობა:

1. გაათავისუფლეთ სასუნთქი გზები
2. გახსენით სასუნთქი გზები
3. ხელოვნური სუნთქვის მეთოდი:

ამოცნობა:

- პაციენტი საერთოდ არ სუნთქავს ან ხმაურიანია, უსტვენს, ბუშტები ამოსდის ან ქოშინებს
- სახე ფერმკრთალი ან გალურჯებული აქვს
- თუ გონზეა, დაზარალებული სუნთქვაში დახმარებას მოითხოვს
- თუ უგონოდაა, პაციენტმა შეიძლება რყევა დაიწყოს
- თუ პაციენტს სასუნთქი გზები აქვს ჩაკეტილი

გაუთავისუფლეთ სასუნთქი გზები:

1. ორივე ხელის პირველი სამი თითი პაციენტის ქვედა ყბის კუთხეების უკან მოათავსეთ, ყურს ქვემოთ და ყბა წინ გამოუწიეთ
2. შეხედეთ, მოუსმინეთ და გაიგეთ სუნთქვა
3. ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა პაციენტის ცხვირზე მოჭერით
4. თუ სუნთქვა არ ისმის, ორჯერ ღრმად ჩაბერეთ სული
5. თუ სუნთქვა კვლავ არ აღდგა, თავის პოზიცია შეუცვალეთ და კიდევ სცადეთ
6. შეამოწმეთ, ხუთიდან ათი წამის განმავლობაში როგორია პულსირება
7. მას შემდეგ რაც პაციენტი ნორმალურად სუნთქვას დაიწყებს იგი სამ-მეოთხედ განრთხმულ პოზიციაში უნდა მოათავსოთ

ზრდასრულ ადამიანს: ერთი ამოსუნთქვა ყოველ 6 წამში აღენიშნება

ბავშვსა და ჩვილს: ერთი ამოსუნთქვა ყოველ სამ წამში აღენიშნება

გახსოვდეთ: თუ პაციენტი უგონოდაა, მეთვალყურეობის გარეშე არ დატოვოთ

დაიმახსოვრეთ: ბავშვთან მიმართებაში, უფროსი ასაკის ადამიანი ცხვირსა და პირზე აფარებს

### **განრთხმული პოზიცია**

ზოგიერთ შემთხვევაში ამ პოზიციის გამოყენება აუცილებელია.

1. პაციენტის ერთ მხარეს ჩაიმუხლეთ და მისი ხელი სხეულის ქვეშ ამოუდეთ
2. მოათავსეთ მისი მეორე ხელი მუცელზე და ფეხი კოჭზე გადაუჯვარედინეთ
3. სახე ერთი ხელით დაუჭირეთ. მეორე ხელით კი ბარძაყთან მისი სამოსი ჩაჭიდეთ და ფრთხილად წინა მხარეს მოქაჩეთ
4. დააფიქსირეთ თავის პოზიცია
5. მოლუნეთ მისი ზედა მხარეს დარჩენილი ფეხი რათა ბარძაყი კარგად წამოიწიოს
6. მოლუნეთ ასევე მკლავი და სახესთან მიუტანეთ
7. მეორე ხელი ისე მოქაჩეთ სხეულის ქვეშ, რომ ზურგს უკან დაედოს

უგონოდ მყოფი პაციენტი, რომელიც დაუხმარებლად სუნთქავს, თუ სხვა ზიანი არ აქვს, განრთხმულ მდგომარეობაში 30 წამის განმავლობაში უნდა განათავსოთ.

თუ უგონოდ მყოფი პაციენტის გადაბრუნება ხერხემალთან ან კისერთან დაკავშირებული დაზიანების გამო შეუძლებელია, სასუნთქი გზების გათავისუფლება ყბის დაჭერის მეთოდით უნდა მოხდეს, ვიდრე კისერს (კისრის მალეებს) არ დაუფიქსირებთ.

### **დაზიანების შეფასება, თავიდან-ფეხებამდე შემოწმების გზით**

თუ პაციენტი გონზეა, თავისა და კისრის დაზიანება არ უნდა აღენიშნებოდეს, სამედიცინო დახმარება გადადეთ და დაზიანება შეაფასეთ.

1. კითხეთ პაციენტს რა მოხდა და რა ადგილი ტკივა.
2. თუ პაციენტი კონკრეტულ ადგილს მიუთითებს, გააანალიზეთ და შეფასება გააგრძელეთ, დაიწყეთ კისრით.
3. პაციენტს უთხარით, რომ არ გაინძრეს. თუ დისკომფორტს ან ტკივილს განიცდის, ამის შესახებ უნდა გითხრათ.
4. შეამოწმეთ კისრის არეში ტკივილს თუ განიცდის. თუ დისკომფორტი და ტკივილი სწორედ აქედან მოდის, შეწყვიტეთ შეფასება. დაუფიქსირეთ თავი და კისერი და სასწრაფო დახმარების სამსახურს დაელოდეთ. თუ კისრის არეში ტკივილი და რაიმე დაზიანება არ არსებობს, გააგრძელეთ შემოწმება თავიდან-ფეხებამდე.

რა უნდა შეამოწმოთ:

- კისერი -ტკივილი (დააფიქსირეთ)
- თავი - ტკივილი, დეფორმაცია, სისველე (როგორცაა სისხლი)
- თვალები - ბუნდოვანი მხედველობა, თვალის გუგა
- ყურები - სისხლი ან გამჭვირვალე სითხე
- ბეჭები - ტკივილი, დეფორმაცია
- მხრები - ტკივილი, დეფორმაცია
- ლავიწი - ტკივილი, დეფორმაცია
- მკლავები - ტკივილი, დეფორმაცია, შეგრძნება, თითების მოძრაობის უნარის წართმევა, ხელები და მკლავები
- ნეკნები - ტკივილი, დეფორმაცია (ძალიან მსუბუქად დააჭირეთ)
- მუცლის ღრუ - ტკივილი, ზეწოლა
- ხერხემალი - ტკივილი (შესამოწმებლად პაციენტი არ გადააბრუნოთ)
- მენჯი - ტკივილი (ძალიან ფრთხილად დააწეკით)
- ფეხები - ტკივილი , დეფორმაცია, გრძობის მომატება
- კოჭები - ტკივილი, დეფორმაცია, შეშუპება

ავადმყოფობის შეფასება:

1. კითხეთ პაციენტს, როგორ გრძნობს თავს
2. კითხეთ, მანამდე მსგავსი შემთხვევა თუ ჰქონია
3. შეამოწმეთ კისრის არე ნებისმიერი სამედიცინო გაფრთხილებისთვის
4. მკურნალობს თუ არა პაციენტი რაიმე დაავადებას
5. შეუძლოა სხივური პულსირება. ნორმა წუთში 60-100 ია, რეგულარული და სრული
6. შეუძლოა სუნთქვა. ნორმა წუთში 12-20 ია, რეგულარული და მშვიდი
7. შეუძლოა კანის ტემპერატურა. ჩვეულებრივ, დასვენებულ მდგომარეობაში: ნეიტრალური და მშრალი
8. შეუძლოა ქვედა ტუჩის შიგნით ქსოვილის ფერი. ნორმა: ვარდისფერი, მკრთალი ან ლაჟღაჟა

## 9. დაამშვიდეთ პაციენტი და სამედიცინო დახმარებას მიმართეთ

### პრაქტიკული მაგალითი

---

#### უგონოდ მყოფ პაციენტთან კონტაქტი

მიზეზები:

- ტვინისთვის სისხლის მიწოდების შეწყვეტა
- თავის ტრავმა
- სუნთქვის შეჩერება
- ნარკოტიკები, ალკოჰოლი, ქიმიური ან მომწამლავი ნივთიერებები
- დაავადებები, როგორებიცაა დიაბეტი და ეპილეფსია

ამოცნობა

- პაციენტი შეხებასა და ტკივილზე არ რეაგირებს (როგორიცაა ყურის ბიბილოს დაზეღა)
- მარტივ მითითებებს ვერ ასრულებს
- ვერ სუნთქავს

როგორ მოიქცეთ:

1. შეიმუშავეთ სქემა
2. თავდაპირველი შეფასება
3. გაუთავისუფლეთ სასუნთქი გზები
4. როდესაც სასუნთქი გზები გაიწმინდება, განრთხმულ პოზიციაში განათავსეთ (სამი-მეოთხედი)

არასდროს დატოვოთ უგონოდ მყოფი პაციენტი უყურადღებოდ ზორგზე მწოლიარე, რამდენადაც ამან შესაძლებელია ენის გადაცდენა და გზების დაბლოკვა გამოიწვიოს, შესაძლოა ღებინება დაეწყოს, შემდგომ ჩაისუნთქოს და სითხეში დაიხრჩოს.

#### დახრჩობა

ნიშნები და სიმპტომები:

- პაციენტი ვერ ლაპარაკობს, სუნთქავს ან ახველებს ძალდატანებით
- პაციენტი შეიძლება თავის ყელს ეჭიდებოდეს

როგორ მოიქცეთ:

ერთ წელზე ზემოთ ასაკის, გონზე მყოფ ადამიანთან:

1. შეიმუშავეთ სქემა

2. შეფასება
3. ხელის სწორი პოზიცია იპოვნეთ (ჭიპს ზემოთ შუაწელზე) და მუცელზე 5-მდე ბიძგი მიეცით
4. თუ სასუნთქი გზები კვლავ დაბლოკილია, ხელის მდგომარეობა შეცვალეთ
5. გაიმეორეთ ბიძგები 5-ჯერ და ხელის პოზიციის ცვლილება ვიდრე სასუნთქი გზები არ გაიხსნება ან პაციენტი გონებას არ დაკარგავს

თუ პაციენტი ფეხმძიმე ან ჭარბწონიანია, ზეწოლა გულმკერდის არეში გადაიტანეთ. თითოეული დაწოლა უნდა იყოს მკაფიო და წინაღობის გადალახვისკენ მიმართული. პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ პაციენტმა საავადმყოფოში შემოწმება უნდა გაიაროს, შესაძლო შინაგანი დაზიანებების გამოსაკვლევადად.

გონის დაკარგვა:

1. თუ პაციენტი იხრჩობა, თქვენი დახმარების დროს გონს კარგავს, პაციენტი იატაკზე თავისუფლად დააწვინეთ და დახმარებას დაუმახეთ
2. თითებით ენა და ყბა დაუჭირეთ
3. ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა
4. თუ სასუნთქი გზები კვლავ ჩაკეტილია, მუცელზე ბიძგების პროცედურა 5-ჯერ ჩაუტარეთ
5. ამის შემდგომ ენის დაჭერისა და ხელოვნური სუნთქვის პროცესი გაიმეორეთ ვიდრე წინაღობა არ მოიხსნება

უგონოდ მყოფი პაციენტი:

1. თუ პაციენტი უგონო მდგომარეობაში იპოვეთ და თავის პოზიციის შეცვლით სასუნთქი გზების გახსნის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, მუცელზე ბიძგების მეთოდი რამდენჯერმე გაიმეორეთ.

## სისხლდენა

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სისხლდენის შეჩერება.

ნიშნები და სიმპტომები:

- არტერიული - მკვეთრი წითელი, ნაკადად მომდინარე
- ვენური - მუქი წითელი, მყარად მომდინარე
- კაპილარული - გაჟონვა

თუ ჭრილობიდან ან დაზიანებიდან სისხლი სწრაფად მოედონება, სისხლდენა სერიოზულია. სისხლის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, სწრაფად უნდა იმოქმედოთ.

1. შეიმუშავეთ სქემა

2. მთავარი შეფასება
3. გაათავისუფლეთ სასუნთქი გზები, სუნთქვა, ცირკულაცია
4. გამოიყენეთ პირდაპირი ზეწოლა ჭრილობაზე სუფთა ქსოვილის, პირსახოცის, ჩვარის ან ნებისმიერი ხელმისაწვდომი მატერიის შემოხვევით
5. დამატებით შეახვიეთ ბინტი და დააწექით რამდენადაც საჭიროა. პირდაპირი ზეწოლა სწრაფ სისხლდენას დაარეგულირებს.
6. ხელის ან ფეხის არტერიიდან ან დაშავებული ადგილებიდან სისხლდენის შესაჩერებლად პირდაპირი ზეწოლა არის საჭირო. სწრაფი სისხლდენის შესამცირებლად გამოიყენეთ სისხლის წნევის წერტილები.
7. რაც შეიძლება სწრაფად მოიძიეთ სამედიცინო დახმარება

სისხლის წნევის მთავარი წერტილები:

ბრაქიალური - მთავარი არტერია ზედა მკლავზე ( ბიცეფსის კუნთის ქვეშ)

ფემორალური - დიდი არტერია ქვედა კიდურზე ( ბარდაყის ზედა ნაწილში, საზარდულთან ახლოს)

- არასდროს შეამოწმეთ შეჩერდა თუ არა სისხლდენა, სახვევის მოხსნით. ამან შესაძლოა შედეგებული სისხლი გააღიზიანოს და სისხლდენა განახლდეს.
- არ ეცადოთ გამოშვებული ძვლის, ქსოვილის ან ჭრილობაში აღმოჩენილი უცხო სხეულის ამოღება ან ჩაბრუნება.
- გაასწორეთ ფეხი, ძალიან ფრთხილად ქვემოთ დაწევითა და ამვადროულად მეორე ფეხთან არტაშანით დაფიქსირებით.
- არ განახორციელოთ ზეწოლა სისხლის წნევაზე 15 წუთზე დიდხანს. ვიდრე 15 წუთი გავა, ნელა შეამსუბუქეთ ზეწოლა. თუ სისხლდენა გაგრძელდა, ზეწოლა გაიმეორეთ, არა უმეტეს 15 წუთისა.

**შიდა სისხლდენა:**

ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დარტყმის, ჩამოვარდნის, გაჭრის ან წყლულის შედეგად. სახეზეა შოკის სიმპტომები. რაც შეიძლება სწრაფად მოიძიეთ სამედიცინო დახმარება.

**ჭრილობები**

გაჭერით კანი, რომელიც სითხეს გარეთ გამოსვლაში დაეხმარება.

დაზიანების ტიპები:

- დაბეჭილობა
- გაგლეჯა
- ჭრილობა
- ჭხვლეტა, გაჭრა
- ბასრი საგანი

- მოტეხვა/ ამპუტაცია

მოქმედება:

1. შეიმუშავეთ გეგმა
2. შეაფასეთ ჭრილობა
3. გაუწმინდეთ მსუბუქი ჭრილობა
4. ღრმა და დიდი დაზიანების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დახმარების სამსახურს.
5. ტეტანუსის აცრა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ აუცილებელია

**მოტეხილობები:**

მოტეხილობა არის ძვლის მთლიანობის დარღვევა, რასაც მასზე ზეწოლა იწვევს. მოტეხილობის სწორად მკურნალობა ტკივილის შემცირებასა და მოტეხილი ძვლის სხვა დაზიანებების თავიდან აცილებას უდრის.

მოტეხილობის ორი სახეობაა: ღია და დახურული. ორივე შესაძლოა იყოს რთული.

- დახურული მოტეხილობა
- გარეგნული დათვალიერებით ძვლის ან კანის არავითარი დაზიანება არ ჩანს.
- ღია მოტეხილობა
- კანის ზედაპირზე დაზიანება ჩანს. მოტეხილი ძვალი შეიძლება იყოს ან არ იყოს ხილული. შესაძლოა ძლიერი სისხლდენაც დაფიქსირდეს. შეიძლება ჭრილობაში მიკრობები შევიდეს და ინფექცია გამოიწვიოს.
- მსხვრეული მოტეხილობა
- როდესაც მოტეხილობის ადგილას მრავლობითი ფრაგმენტია
- იმოქმედა მოტეხილობა
- როდესაც ძვლის გახლეჩილი ერთი ფრაგმენტი გადადის მეორეში. ამის დიაგნოსტიკა რთულია, რამდენადაც არაბუნებრივი გადაადგილება და არავითარი ღია შეფერხება ძვალზე არ ფიქსირდება.

ნიშნები და სიმპტომები:

- ტკივილი და დაუძლურება
- დეფორმაცია
- ფერის შეცვლა
- ღია მოტეხილობაზე შეიძლება სისხლდენა და მოტეხილობის ადგილას დაზიანება იყოს
- შესაძლოა ძვალი გამოჩნდეს
- შოკი

მოქმედება:

1. შეიმუშავეთ სქემა
2. წინასწარი შეფასება
3. ჭრილობის შეფასება
4. ნებისმიერი დაზიანება შეახვიეთ
5. დააფიქსირეთ მოტეხილობის ადგილი და არტაშანი შემოარტყით
6. შემუშავების შესამცირებლად ყინულის პაკეტები გამოიყენეთ
7. დაუყოვნებლივ მიმართეთ სასწრაფო დახმარებას

რთული მოტეხილობა:

- მოტეხილობის ირგვლივ სისხლძარღვები, ნერვები და სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურაა დაზიანებული.

ნიშნები და სიმპტომები:

- პაციენტმა შესაძლოა იგრძნოს ან გაიგოს ძვლის მოტეხვა
- პაციენტს დაზიანებულ ადგილას ტკივილის ჩივილი აქვს
- დაზიანებული ადგილის გაღურჯებები, შემუშება ან დეფორმაცია გარეგნულად შესაძლოა შეიმჩნეოდეს
- შესაძლოა დაზიანებული ნაწილის მოძრაობის გართულება და არასწორი გადაადგილება მოხდეს

მოქმედება:

1. შეაჩერეთ სისხლდენა
2. დაფარეთ დაზიანება რაიმე ქსოვილით
3. კიდური არტაშანით მეორე კიდურზე ან ტორსზე დააფიქსირეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოტეხილი ნაწილის გადაადგილებას შეძლებთ
4. არასდროს სცადოთ გამოვარდნილი ძვლის, ქსოვილის ან ჭრილობაში არსებული უცხო სხეულის გაქანება ან უკან ჩაბრუნება.
5. აუცილებლობის გარეშე არასდროს გაამოძრავოთ პაციენტი
6. თუ ვარაუდობთ, რომ საქმე მოტეხილობასთან გვაქვს, მსგავს ზომებს მიმართეთ

## თავი 7

მედიის როლი საგანგებო სიტუაციებში ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში

### 1. მიმოხილვა

წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ადამიანი ჰუმანიტარული სიტუაციის მსხვერპლი ხდება, მათ შორის ეპიდემიების, საგზაო შემთხვევებისა და ბუნებრივი კატასტროფების. დაზარალებულ ადგილებში ინფორმაცია ხშირად არასანდოა. მიუხედავად ამისა, არაკორექტულმა ინფორმაციამ ან მედიაში ახალი ამბავის უგულვებელყოფამ შესაძლოა შვების შეფასება გაართულოს, რაც ასე საჭიროა. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობა მსხვერპლს აყენებს ზიანს, რომელიც დაუცველი და გზააზნეულია. მედიის წარმომადგენლობა და კარგი ინფორმაცია არა მხოლოდ ეხმარება მათ სასიცოცხლო კავშირი დაამყარონ გარე სამყაროსთან, არამედ დაზარალებულთა მხარდაჭერისა და დახმარების მობილიზაციის სურვილს აღძრავს. ჰუმანიტარული კატასტროფების დროს მედია გადამწყვეტ როლს ასრულებს.

- მედია გადარჩენილების უსაფრთხო ადგილას განთავსებასა და მათთვის სწრაფი ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენას ეხმარება.
- მედიის წარმომადგენლობა გაგებასა და შესაძლებლობების გაფართოებას ასტიმულირებს.

თუ მსხვერპლს უყურადღებოდ ტოვებენ, ისინი თავს უძლურად გრძნობენ და იმედის არაავითარი საფუძველი არ რჩებათ.

ინფორმაცია და კომუნიკაცია მათ ღირსების აღდგენაში ეხმარება, რამდენადაც დრამის პირველივე თვითმხილველები მათ უბედურებასა და საჭიროებებს ვერბალურად შეუმსუბუქებენ. ისინი საკუთარი ცხოვრების მსახიობები კვლავ გახდებიან.

- კარგი ინფორმაცია ასევე მნიშვნელოვანია პრიორიტეტებისა და აუცილებელი საჭიროებების განსაზღვრისთვის. მსხვერპლთან კონტაქტების დამყარება გამჭვირვალობის, ორმხრივი გაგებისა და ნდობის საფუძველია. ინფორმაციას სიცოცხლის გადარჩენა, კატასტროფისას ტანჯვის შემსუბუქება და დამატებითი ზარალის პრევენცია შეუძლია.

## 2. მისაღები ზომები

- ინფორმაცია და კომუნიკაცია ჰუმანიტარულ საგანგებო სიტუაციებზე განუყრელი საპასუხო ნაწილი უნდა იყოს. თითოეულ საგანგებო სიტუაციაში, ერთმა ორგანიზაციამ დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესრულების დავალება უნდა შეასრულოს, ისე როგორც ინფორმაცია და კომუნიკაცია მოითხოვს.
- მედიისა და საკომუნიკაციო პაკეტი ( მედია ყუთში) თავიდანვე უნდა იყოს ინტეგრირებული საგანგებო სიტუაციებში ინტერვენციის პირობებში და კატასტროფიდან 48 საათში სამოქმედოდ უნდა იყოს მზად.
- თითოეული საგანგებო სიტუაციის დროს პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს და მათზე სათანადო საპასუხო ზომები იქნას მიღებული.

### 3. პრაქტიკული რეკომენდაციები

- უნდა გამოიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, მობილური ტელეფონები და სმს-ები.
- რადიოს შეუძლია გადარჩენილებსა და მაშველთა ჯგუფს შორის კონტაქტის დასამყარებლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. დაზარალებულ მოსახლეობაში რადიო მიმღებები უნდა გავრცელდეს.
- რადიოსადგურებმა ადგილობრივ ენაზე სასარგებლო ინფორმაცია უნდა გაავრცელონ. უნდა იყოს რეგულარული პროგრამები, რომლებიც სიტუაციასთან დაკავშირებით ინფორმაციებს განაახლებს, მოსახლეობას საკუთარი მოლოდინებისა და საჭიროებების შესახებ თქმის საშუალებას მისცემს და დაზარალებულების მიმართ სოლიდარობას აღძრავს.
- ურთიერთკომუნიკაცია, რომლის დროსაც დაზარალებული ხალხისგან ინფორმაციის მიღება ხდება, განცხადებებისა და ცალკეული გზავნილისთვის საინფორმაციო დაფას უნდა შეიცავდეს.
- ჟურნალისტები, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო, უნდა იყვნენ დაცულები.

### 4. გასავლელი პროცედურები

არსებობს სამი მნიშვნელოვანი მოთხოვნა:

1. ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება, როგორც საგანგებო სიტუაციაზე დაუყოვნებელი პასუხი
2. აღდგენითი პროცესის დაწყება საინფორმაციო საშუალებების კონსოლიდაციის მეშვეობით
3. საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდეგ გრძელვადიანი განვითარება

1. ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს მობილიზაციას მოითხოვს, მათ შორის არასამთავრობოების, ადგილობრივი მედიის, საზოგადოების, მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების:
- ადგილობრივ მედიას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, როგორც პრიორიტეტი, რათა მან ოპერატიულად შეძლოს მისი გავრცელება. ასევე ტექნიკურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რათა ახალი ამბების სააგენტოებთან მისი დაკავშირება გამარტივდეს. კავშირები უნდა დამყარდეს იმისთვის, რომ სიტუაცია საუკეთესოდ გაშუქდეს და მედიის საშუალებით მსხვერპლის მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ითქვას.

- ადგილობრივ მედია ორგანიზაციებს უნდა გაეწიოთ დახმარება რადიოსადგურებიდან მაუწყებლობისთვის. ამ პროცესში პროფესიონალებთან ერთად მოხალისეებიც უნდა იყვნენ ჩართულები. მთავარი აქცენტები პრობლემებზე უნდა გაკეთდეს, რაზეც დაუყოვნებელი რეაგირებაა საჭირო.
  - ინფორმაცია განსაზღვრული, რელევანტური, პრიორიტეტების მიხედვით დალაგებული და მიუკერძოებელი უნდა იყოს. ამ ჭრილში ჟურნალისტების გადამზადება გადამწყვეტია. ინფორმაცია შესაბამისი პროგრამების მიხედვით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს და ადგილობრივ ენაზე გაშუქდეს.
  - პროფესიული ეთიკა მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მსხვერპლს მიექცეს, რათა გადაწყვეტილებების მიღების დროს, მათზე სათანადო მზრუნველობა გამოიჩინონ. პრობლემის სარწმუნო და დამოუკიდებელი გაშუქება უნდა მოხდეს.
  - ადგილობრივი მედიის უსაფრთხოება მოითხოვს გარანტიებს, რომ ჯარისკაცები, პოლიცია და ჰუმანიტარული ორგანიზაციები მათ მუშაობას პატივს სცემს. ადგილობრივი და საერთაშორისო ჟურნალისტების დასაცავად მექანიზმები უნდა ამოქმედდეს. მედია უნდა აცნობიერებდეს, რომ ჰუმანიტარული კატასტროფები არეულობას ზრდის.
  - ადგილობრივი მედიისადმი მნიშვნელობის მინიჭებით მოსახლეობა, რომელიც ამ მედიას ენდობა, სარგებელს მიიღებს. ადგილობრივი მედიის ინფრასტრუქტურა საგანგებო სიტუაციაში ინტერვენციის შემადგენელ ნაწილად უნდა იქნას მიჩნეული.
2. ინფორმაციის მექანიზმების კონსოლიდაციისთვის სხვადასხვა სააგენტოებისა და ფაქტორების ურთიერთქმედება უნდა მოხდეს:
- ინტერაქცია ადგილობრივ მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ლოკალური ინიციატივებისთვის საერთაშორისო მხარდაჭერას, ჟურნალისტების უსაფრთხოებასა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის უნდა მოხდეს. საერთაშორისო მოთამაშეებმა ადგილობრივ მედიასთან ერთად უნდა იმუშავონ და საერთო პოლიტიკა განსაზღვრონ, ჟურნალისტების ტრენინგის გზები შეაფასონ და ჟურნალისტურ ორგანიზაციებთან კავშირები დაამყარონ. სწორედ ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობით შეძლებს დაზარალებული საზოგადოება აღდგენითი პროცესების დაწყებას. ადამიანის უფლებების დაცვა, მშვიდობის მხარდაჭერა და მოსახლეობის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ ადგილობრივი მედიის პრიორიტეტებში უნდა შედიოდეს.
  - ჟურნალისტების უსაფრთხოება მოითხოვს, მოხდეს უსაფრთხოების მნიშვნელობის შესახებ მთავრობის საქმის კურსში ჩაყენება, ჟურნალისტების მკვლევების დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა და დარწმუნება, რომ ეს ყველაფერი სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრამებში ფიგურირებს.
  - საზოგადოებრივ მედიას განათლების, მშვიდობის, მოსახლეობასთან დიალოგის კუთხით, რომლის მარგინალიზებაც საგანგებო სიტუაციის შედეგად მოხდა,

მნიშვნელოვანი მხარდაჭერა შეუძლია. ამ საკითხში ახალგაზრდები გადამწყვეტ როლს თამაშობენ.

- საგანგებო სიტუაციების დროს მიღებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო მექანიზმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბლოგერებისა და სამოქალაქო ჟურნალისტების სხვა ფორმებისთვის.
- 3. საგანგებო სიტუაციის დასრულების შემდგომ, ადგილობრივი სტრუქტურების არსებობა, პარტნიორობის დამყარება, მომავალი საგანგებო სიტუაციების მოლოდინი და იუნესკო-ს მხარდაჭერა მომარაგების კუთხით სარგებლის მომტანია. მაშასადამე მნიშვნელოვანია:
  - მედიისთვის კანონიერი ჩარჩოებისა და რეგულაციების გაცნობაში დახმარება
  - ჟურნალისტური ქსელებისა და ორგანიზაციების შექმნის მხარდაჭერა
  - მთავრობისა და საზოგადოების ამ მედიასაშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
  - მედიის განვითარების შესახებ ინფორმაციის კოორდინირებისა და გაცვლის უზრუნველყოფა პლატფორმის საშუალებით, რომელთანაც გაერო, არასამთავრობოები და სხვა ორგანიზაციები ასოცირდებიან
  - ამ მედიასაშუალებებისა და მათი პერსონალისთვის ტრენინგის ორგანიზება
  - დამოუკიდებელი მედიისთვის გრძელვადიანი სპონსორობის მექანიზმების ამუშავება.

მომავალი საგანგებო სიტუაციების პრევენცია და შემცირება საგანგებო განგაშის მექანიზმების შექმნას მოითხოვს, რომელიც კომუნიკაციების კუთხით დატრენინგებული ადამიანებისგან იქნება დაკომპლექტებული და ეს ადამიანები მედიისთვის ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდიან, მოსახლეობას კი მსგავსი მოვლენების მოლოდინისას ეხმარებიან.

სასარგებლო ბმულები:

<http://www.who.int/mediacentre/en/>

<http://www.msf.org/>

<http://www.alertnet.org/>

## თავი 8

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ - დაცვის მექანიზმები

SOS პრესის ცხელი ხაზი

+33 (0) 1 4777-7414

არცერთი ჟურნალისტი არ არის დაზღვეული მთავრობის მიერ პრესის თავისუფლების მიზანმიმართული შეზღუდვისგან, საკუთარ ქვეყანასა თუ საზღვარგარეთ. სწორედ ამიტომ სახელმძღვანელომ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ „ამერიკან ექსპრესის“ მხარდაჭერით, SOS პრესის ცხელი ხაზი ამოქმედა. მასზე ადამიანებს (ფრანგულად ან ინგლისურად) დარეკვა და ჟურნალისტების დაკავების, დევნისა და გაუჩინარების შესახებ შეტყობინება შეუძლიათ. ეს ნომერი 24 საათიან რეჟიმში მუშაობს ჟურნალისტებისთვის, მათი ოჯახებისთვის, დასაქმებულებისთვის ან პროფესიონალური ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ბრალდების სრულად შეცვლა შეუძლიათ, თუ ეს მათ სურთ. გთხოვთ, დარეკვამდე ინფორმაცია მაქსიმალურად მოიპოვოთ - ჟურნალისტის სახელი, ეროვნება, დამსაქმებელი და სხვა დეტალები, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს. ეს „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-ს საქმეზე დაუყოვნებელი და ეფექტიანი მუშაობის დაწყების საშუალებას მისცემს.

### **სადაზღვევო შეთანხმება მისიის უმტატო რეპორტიორებისთვის**

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ უმტატო ჟურნალისტებს, მისივე მაშვეობით სადაზღვევო პოლისის აღების შესაძლებლობას სთავაზობს. ხშირად, რეპორტიერობს კონფლიქტების გაშუქება დაზღვევის გარეშე უწევთ. ამის უმთავრესი მიზეზები ზედმეტი გადასახადები და ინფორმაციის ნაკლებობაა. „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-მ „ესკაფიდ ინშურენსიზ“-თან Escapade Insurances ხელშეკრულება გააფორმა, რათა უმტატო რეპორტიორებს კონკურენტუნარიანი მუშაობა შესთავაზოს.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-მ ამ პროგრამის ინიციატივა 2002 წელს გააჟღერა და თითქმის 400-მდე ჟურნალისტმა მასთან სადაზღვევო პოლისი შეიძინა, განსაკუთრებით ავღანეთში, ერაყში, ლიბანსა და სუდანში გასამგზავრებლად.

პოლისები ორი სხვადასხვა გეგმით მოქმედებს:

- 24/7
- ნებისმიერი მოკლე თუ გრძელვადიანი სამუშაოს შესასრულებლად (რამდენიმე დღიდან 12 თვემდე, დეტალები იხილეთ დანართ 3-ში).

#### **- გადაწყვეტილება 1, „არსებითი გეგმა“:**

ღირებულება დღეში 1.20 ევროს შეადგენს, იგი გადაუდებელ სამედიცინო სიტუაციებში დახმარებას უზრუნველყოფს. დამატებით 7 ევრო მაღალი რისკის შემცველი ქვეყნების შემთხვევაში არის გადასახდელი. ომის რისკები ყველგან შუქდება.

#### **- გადაწყვეტილება 2, „გაფართოებული გეგმა“:**

საფასური განსხვავდება დანიშნულების ადგილის მიხედვით, მაგრამ გადაწყვეტილება 1-თან შედარებით, ის შემდეგ დამატებით სარგებელს შეიცავს:

- მანამდე არსებული ავადმყოფობების (ასთმა, გულის დაავადებები...) დაფარვა, თუ ეს ვითარება დავალების შესრულების დროს გართულებებს გამოიწვევს.
- სამხედრო ან სამთავრობო ერთეულებზე მიმავრებული მისიების დაფარვა;
- სამუშაოს შესრულებისას წევრობიდან გარიცხვის ან კატასტროფის დროს დაღუპვის შემთხვევაში ფინანსური კომპენსაციის მიღება.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-ს წევრობა აუცილებელია ორგანიზაციის მეშვეობით დაზღვევის შესაძენად.

ეს დაზღვევა ვალიდურია ნებისმიერი ეროვნების ჟურნალისტისთვის, რომელიც სამშობლოს ფარგლებს გარეთ მიდის. დაზღვევის შესაძენად იხილეთ საიტი:

[assurance@rsf.org](mailto:assurance@rsf.org) ან [insurance@rsf.org](mailto:insurance@rsf.org).

### **ჯავშანჟილეტის თხოვნა**

ჩვენ ჟურნალისტებს ჟავშანჟილეტებითა და შლემებით უფასოდ ვამარაგებთ. მესამე კატეგორიის ჟილეტები, რომელსაც საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრო გვაწვდის შავი ფერისაა, წინა და უკანა მხარეს ნიშნით „პრესა“, სამი სხვადასხვა ზომისაა და 14 კილოგრამს იწონის. ჟურნალისტს ზემოაღნიშნული აღჭურვილობა მაქსიმუმ 2 თვის ვადით გადაეცემა და ანგარიშზე 900 ევრო უნდა ჰქონდეს.

### **შლემის თხოვნა**

სხვადასხვა ფორმის შლემი თეთრი ფერისაა წარწერით „TV“ და 1.51 კილოგრამს იწონის. მათი თხოვნა იმავე პირობებით ხდება, როგორც ჟილეტებისა, თუმცა ანგარიშზე მხოლოდ 250 ევროს მოითხოვს.

### **პირადი უბედურების დროს გზის მაჩვენებელი მოწყობილობის თხოვნა**

ორი პატარა და მსუბუქი GPS- მოწყობილობა. ისინი მაგარი „სიერა ექო“-სგან არის დამზადებული და მისი მატარებლის პოვნა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი. უფრო მეტი და მეტი ჟურნალისტი იყენებს მათ, როდესაც ისინი სახიფათო ან ისეთ ადგილებში მიემგზავრებიან, სადაც სატელიტური ტელეფონები ასევე GSM-ი ცუდად მუშაობს. ჟურნალისტს ანგარიშზე 900 ევრო უნდა ჰქონდეს და უნდა განაცხადოს, ზუსტად სად მიემგზავრება, დატოვოს საკუთარი სახლის მისამართი და საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საკონტაქტო პირის ნომერი.

უსაფრთხოების აღჭურვილობის მისაღებად დაუკავშირდით „რეპორტიორებს საზღვრების გარეშე“ შემდეგ ელ-პოსტაზე [safety@rsf.org](mailto:safety@rsf.org) ან [securite@rsf.org](mailto:securite@rsf.org).

## თავი 9

ფსიქოლოგიური ტრავმა: ტრავმული სტრესის დაძლევა

## ეს შესავალი დარტ ცენტრმა (Dart Centre) მოამზადა

### შესავალი

მაღალი რისკის შემცველ ადგილებში ჟურნალისტები მუშაობენ ისტორიებზე, რომლებიც მძიმე დანაკლისს, დარღვევებსა და ღრმა პირად ტრავმას შეიცავს. რეპორტიორები შეიძლება თავად გახდნენ სიკვდილის თვითმხილველები ან თავდასხმის ობიექტები. პოტენციური ფსიქოლოგიური ტრავმის შესახებ ცოდნა ეფექტური და თავისუფალი მედია-გაშუქებისთვის გადამწყვეტია. არალიარებულმა ტრავმულმა სტრესმა შეიძლება პროფესიონალურ შეფასებას ან უსაფრთხოების გაცნობიერებას ხელი შეუშალოს - ეს ექსტრემალურ სიტუაციებში კარიერის დანგრევაა. ზოგიერთი საკითხის ფუნდამენტურად ცოდნამ შეიძლება როგორც გაზარდოს სიკმტკიცე ასევე ტრავმირებული საგნებისა და წყაროების ღრეხული გაგება უზრუნველყოს.

### რა არის ტრავმა?

ფსიქიატრები ინციდენტს ტრავმულად აფასებენ, როდესაც ადამიანი სიკვდილის მუქარის, სერიოზული დაშავების ან სხვა სახის მუქარის მომსწრე ხდება, რაც მასში შიშს, უსუსურობასა და ტერორს იწვევს. დაბომბვა, ძალადობის ფაქტები, გაუპატიურება, წამება, ბუნებრივი და სხვა კატასტროფების შედეგები - მსგავსი საკითხები ჟურნალისტებისთვის საერთო შინაარსის მატარებელია.

გეოგრაფიული სიახლოვე არ არის აუცილებელი: სიკვდილის და და დაშავების სურათის უშუალო ზემოქმედების ქვეშ განმეორებით მოქცევა ან იმის აღმოჩენა, რომ რომელიმე ოჯახის წევრს ან ახლობელს სერიოზული ზიანი მიადგა, ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე პასუხს იძლევა.

ტრავმული რეაქციების საფუძველი გადარჩენის ბიოლოგიაშია. აღქმად საფრთხესთან შეჯახებისას, ტვინი ისეთ ჰორმონებს გამოყოფს, როგორც ადრენალინი. ინდივიდუალური პასუხები განსხვავდება და შეიცავს:

- გაზრდილ განგაშს
- ბრძოლისა და გაფრენის პასუხებს (გულისცემის რიტმის მომატებას, პირის სიმშრალეს, კუჭნაწლავის მოქმედების კონტროლის დაკარგვას, ოფლიანობას და ა.შ)
- გაშეშებასა და გათიშვას (როდესაც სხეულისგან ან მიმდინარე მოვლენისგან ფსიქოლოგიურად განცალკევებით გრძნობ თავს)
- ემოციურად გაძლიერებას.

ეს არანორმალურ სიტუაციებზე ნორმალური რეაქციებია და გადარჩენას ეხმარება. ეს რეაქციები, ჩვეულებრივ, შემთხვევის შემდეგ რამდენიმე დღეს ან კვირებში იკლებს.

თუმცა, ზოგჯერ ტრავმა უფრო ხანგრძლივია და ინდივიდებმა შესაძლოა ცვლილება იგრძნონ ზოგიერთ შემთხვევებში, ეს შეიძლება გამოიხატებოდეს:

- აბეზარ მოგონებებში, კომმარებსა და საზარელი მოვლენის ამსახველი კადრების რეტროსპექციებში
- გაღვიძებაში (მომატებული გულისცემით, ოფლიანობით და ა.შ.)
- ყოველდღიურ მოვლენებზე გადაჭარბებულ რეაქციებში, გართულებულ კონცენტრაციაში, გაღიზიანებაში, მოულოდნელ გაბრაზებასა თუ მძვინვარებაში
- ემოციურ გაშეშებაში, საზოგადოებისგან გარიყვაში, სტრესული მოვლენის გახსენებისგან თავის არიდებაში ან ახლობლებისგან დისტანცირებაში.

**როდესაც მსგავსი რეაქციები ერთ თვეს ან მეტხანს გრძელდება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე ფსიქოლოგიურ ტრავმასთან გვაქვს.** სამედიცინო ენაზე ამას „პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა“ ჰქვია, როგორც გაშეშების, გაღვიძებისა და შეჭრის კომბინაცია, თუმცა, შესაძლოა სხვა ცვლილებებიც მოხდეს, როგორცაა დეპრესია ან ტოქსიკომანია. ვის ან როდის დაემართება ეს- ამის წინასწარ დადგენა შეუძლებელია. ისეთმა ჟურნალისტებმაც კი, რომლებსაც ბევრი წლის განმავლობაში მსგავსი სტრესისთვის გაუძლიათ და რომლებსაც კოლეგები ემოციურად ძლიერად აფასებენ, რომელიღაც ეტაპზე შეიძლება გადატვირთვა განიცადონ.

### **ტრავმა და ჟურნალისტები**

მედია მუშაკების უმრავლესობა საფრთხის წინაშე შესანიშნავ სიმტკიცეს იჩენს. ჟურნალისტები, როგორც წესი, მძაფრი სიუჟეტის შემცველი ისტორიების ძებნისას არჩევანს აკეთებენ - აიღონ დავალება თუ უარი თქვან მასზე. კონტროლის ეს ნაწილი - მისიას აზრს ანიჭებს და ნაწილობრივ დამცავიც შეიძლება იყოს, თუმცა ის ხელშეუხებლობას არ გიბოძებთ.

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ჟურნალისტები ემოციური ტრავმებისადმი ისეთივე მოწყვლადები არიან როგორც ჯარისკაცები, მეხანძრეები ან ტრაგედიების მონაწილეები. ნევროლოგ ანტონი ფეინშტეინის 2002 წლის კვლევამ პროფესიონალი სმხედრო კორესპონდენტების თემაზე აჩვენა, რომ 15-წლიანი სამუშაო გამოცდილების მიუხედავად, ჟურნალისტების 28.2 პროცენტს რომელიღაც ეტაპზე პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა დაემართა. სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ჟურნალისტებში, რომლებიც რუტინულ ქვეყნის შიდა მოვლენებს აშუქებენ, სტრესის ხარისხი უფრო დაბალი, თუმცა მნიშვნელოვანია. ტრავმულმა სტრესმა ჟურნალისტებზე შეიძლება განსაკუთრებით ვერაგული ეფექტი იქონიოს. კვლევებმა აჩვენა, რომ არასასიამოვნო ფაქტის განმეორებითმა ზემოქმედებამ - იმის ნაცვლად, რომ დაცულად იგრძნოთ თავი - შეიძლება სტრესის ალბათობა გაზარდოს. აბეზარმა მოგონებებმა, კონცენტრირების უნარის წართმევამ, უძილობამ, ფეთქებადმა მრისხანებამ, გაშეშებამ და საზოგადოებისგან იზოლაციამ ჟურნალისტს შეფასებებში, ურთიერთობებსა და სხვა უნარებში პრობლემები შეიძლება შეუქმნას. კარგი ამბავი არის ის, რომ „პოსტ-ტრავმული სტრესული

აშლილობა“ არ არის სასიცოცხლო განაჩენი, როგორც ამას ბევრი აფასებს. ის მკურნალობას ექვემდებარება და ძალების აღდგენა თვითდახმარების შედეგად ხდება. თუმცა, ტრავმამ შეიძლება ჟურნალისტის ყურადღებასა და პატივისცემაზე იმოქმედოს.

### **თვითდახმარება**

ტრავმული სტრესი ძალადობაზე ინტენსიური ემოციური დამოკიდებულებისგან წარმოიქმნება. მართალია, ზოგადი სტრესისგან განსხვავდება, მაგრამ იგივე ნერვული სისტემის ბიოქიმიას იზიარებს. სწორედ ამიტომ ყოველდღიურმა ზეწოლამ - დედლაინები, პირადი კონფლიქტი, კულტურული შოკი, ფინანსური არამდგრადობა და ა.შ. - შესაძლოა ტრავმა გაზარდოს. **არსებობს პრაქტიკული ზომები, რომლის გამოყენებაც ჟურნალისტებს დავალების შესრულებამდე, განმავლობასა და შესრულების შემდეგ თავდაცვისთვის შეუძლიათ.**

### **დავალების შესრულებამდე**

ტრენინგი და მომზადება: ფაქტებმა აჩვენა, რომ ადამიანებს, რომლებიც გამომწვევი სიტუაციებისთვის გონებრივად მომზადებულები არიან, უფრო დიდი ემოციური კონტროლი შეუძლიად. სხვადასხვა ტიპის მომზადება - მტრულ გარემოში მოქმედების ტრენინგი, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ისტორიისა და ტერიტორიის კულტურის შესახებ მოკვლევა, ტრავმის შესახებ ცნობიერების ამაღლება, თვითეფექტურობას ზრდის, სტრესს ამცირებს და სიმტკიცეს აძლიერებს.

### **განსაზღვრეთ მოკავშირეების ადგილმდებარეობა**

კონტაქტები დაამყარეთ ტერიტორიაზე მყოფ სხვა ადამიანებთან, რათა ადგილზე ქსელი შექმნათ. ჟურნალისტებს, სოციალურ მუშაკებს, რეგიონში გაერო-ს პერსონალსა და სხვებს ღირებული სოციალური, ასევე ლოგისტიკური მხარდაჭერის აღმოჩენა შეუძლიათ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იზოლაციაში მყოფი უშტატო რეპორტიორებისთვის არის, რომლებიც სამხედრო მისიას არიან მიმაგრებულნი.

### **თავდაპირველად ხმელეთი გაიარეთ**

რისკების შეფასების ფარგლებში, კოლეგებს კითხეთ ადგილზე არსებული ვითარების შესახებ. განსაზღვრეთ პირადი პრობლემები და განიხილეთ, გამგზავრებამდე როგორ მიმართოთ მათ.

### **მომზადეთ საკონტაქტო გეგმა**

თქვენს საგანგებო/ლოგისტიკური კონტაქტის პუნქტთან წინასწარ განიხილეთ, თუ რაიმე შეგემთხვათ, ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის შენარჩუნება როგორ უნდა მოხდეს. კრიზისულ სიტუაციაში თქვენ მოინდომებთ იმის გაგებას, რომ ყველაფერი კარგად სრულდება.

### **ივარჯიშეთ**

ვარჯიში სტრესის ამტანობას ზრდის.

### **არ დაგავიწყდეთ საშინაო საკითხები**

გამოყავით დრო ოჯახისთვის, მეგობრებისა და ძვირფასი ადამიანისთვის. გაერკვიეთ თქვენს ფინანსებში და დარწმუნდით, რომ თქვენს სადაზღვევო დეტალებზე თქვენი ოჯახის წევრებს ხელი მიუწვდებათ და ა.შ. დატოვეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილი იმ მდგომარეობაში, რომელში დაბრუნებესაც ისურვებდით.

### **დარწმუნდით, რომ წასასვლელად მზად ხართ**

ფაქტებმა ცხადყო, რომ საფრთხისა და ტრავმის განმეორებითი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა უმნიშვნელო ცვილებით, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობისადმი მოწყვლადობას ზრდის. თუ თქვენ სტრესს განიცდით დავალების შესასრულებლად წასვლასთან დაკავშირებით და ფიქრობთ, რომ ემოციურად შესატყვისი დრო არ არის, შეგიძლიათ უარი თქვათ მასზე.

### **დავალების შესრულების პერიოდში**

#### **იზრუნეთ ორგანიზმზე**

- კარგად იკვებეთ და იძინეთ. ( ამას სპეცსამსახურების ჯარისკაცებიც ანიჭებენ უპირატესობას.)
- ივარჯიშეთ. გაჭიმვები და 30-წუთიანი გასეირნებაც კი განწყობას ამაღლებს.
- სვით წყალი. დეჰიდრატაცია ტვინის ფუნქციონირებას ასუსტებს.
- დააკვირდით ალკოჰოლის მიღების დოზას. დიდი რაოდენობით ალკოჰოლი კომშარებასა და რესტორსპექციას იწვევს.
- მოერიდეთ აღმგზნებ საშუალებებს. კოფეინი ადრენალინის დონეს ზრდის.

#### **ყურადღება მიაქციეთ თქვენს ემოციურ საჭიროებებს**

- შეიმუშავეთ მარტივი, ყოველდღიური რიტუალები, რაც მოვლენებიდან გასვლაში დაგეხმარებათ. კითხვა, ვარჯიში, ხელსაქმე, მაგალითად, ტოქსიკურ საგნებზე დამოკიდებულების მოხსნას უწყობს ხელს.
- გააანალიზეთ გრძნობები. დაელაპარაკეთ ადამიანებს, რომლებსაც ენდობით ან თუ არავინ არის ხელმისაწვდომი, ჟურნალი შეავსეთ.
- არასდროს დაივიწყოთ სიცილის მნიშვნელობა.
- ღრმად ისუნთქეთ, განსაკუთრებით თუ დასტრესილი ხართ. (ნელა და ღრმად ჩაისუნთქეთ დიაფრაგმაში, პაუზა გააკეთეთ და შემდეგ ამოისუნთქეთ უფრო ხანგრძლივად).
- ეცადეთ ნეგატიური სიტუაციების ახალი კუთხით შეფასების ჩვევა გამოიმუშავოთ: გააცნობიერეთ რა მოხდა და აღნიშნეთ რა დადებითი მხარეები აქვს ამ ყოველივეს. მომავალი ნაბიჯების მართვაზე იფიქრეთ. გამუდმებით ფოკუსირება იმ ცუდზე რაც მოხდა, მოწყვლადობას გაზრდის.

## მხარი დაუჭირეთ სხვებს

- ტრავმის შემთხვევაში საზოგადოებრივი კავშირი ყველაზე მეტად დამცავი ფაქტორია, მაგრამ ეს მხარდაჭერის მიღებასთან ერთად გაცემასაც გულისხმობს.
- ადამიანები სტრესს ადვილად გადალახავენ, როდესაც მათი თანამშრომლები პოზიტიურები და მხარდამჭერები არიან. ფრთხილად იყავით ვინმეს დადანაშაულებისას.
- გქონდეთ მოსმენის უნარი, მაგრამ არ იქეცოთ გრძნობებში ან არ გააკეთოთ შეფასებები სხვების გამოცდილებას ან გრძნობებთან დაკავშირებით.
- იყავით ლიდერი. მიეცით საკუთარ თავსა და თქვენს თანამშრომლებს მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალება.
- თუ ვინმე მიიჩნევს, რომ რთულია ამ ყველაფერთან გამკლავება, ურჩიეთ უფრო მსუბუქ პრაქტიკულ ამოცანებზე მოახდინოს კონცენტრირება, ვიდრე მთელი სამუშაო ერთბაშად მიატოვოს. აქტიურობა დამცველია.
- სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლები პრობლემებსა და ტრავმას სხვადასხვაგვარად შეიძლება უმკლავდებოდნენ. პატივი ეცით ამას.

## გაიგეთ თქვენი წყაროები

იმის გაგება თუ როგორ მოქმედებს ტრავმა ადამიანებზე, ჟურნალისტური შეცდომების აცილებაში დაგეხმარებათ. ზოგიერთი მსხვერპლი იმ დონემდე შეიძლება იყოს ტრავმირებული, რომ ანგარიშებში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები ვერ შეამჩნიოს, სხვებს შეიძლება ახლო ფოტოგრაფიული მეხსიერება ჰქონდეთ. ტრავმირებული ადამიანების ინტერვიუებს კარგი უნარები და მგრძობელობა უნდა ჰქონდეს. დეტალებისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს [www.dartcentre.org](http://www.dartcentre.org).

## დავალების შესრულების შემდეგ

ზოგჯერ ამბის დასრულება ყველაზე რთულია. მომდევნო დავალებები ამასთან შედარებით უაზრო შეიძლება აღმოჩნდეს და ზოგიერთმა შეიძლება თავი დამნაშავედ იგრძნოს, რომ ადამიანები გასაჭირში მიატოვა. ადამიანებს ტრავმის აღწერის მოსმენის განსხვავებული უნარები აქვთ და შეიძლება ნათქვამი მინიმუმამდე შეამცირონ. შესაძლოა თავად ჟურნალისტებმა თავი შორს დაიჭირონ თემის განხილვისგან, რამაც შეიძლება მათი უსაფრთხოების შესახებ მეგობრებისა და ოჯახის წევრების აღელვება გამოიწვიოს. აქ მოცემულია ზოგიერთი რჩევა ისტორიიდან გამოსვლისთვის:

- ჟურნალისტების ნაწილმა შესაძლოა ერთი ან ორი დღე სტრესიდან გამოსასვლელად ითხოვოს. (არ დაგავიწყდეთ ოჯახისთვის ამის ახსნა)
- სახლში დაბრუნებისას გზაში ცხოვრებაზე ფიქრი შეიძლება მოტივაციის ძლიერი ფაქტორი გახდეს, მაგრამ ეცადეთ და დაბრუნებასთან დაკავშირებით საკუთარი

მოლოდინები პროპორციულად შეაფასეთ. თუ დიდი ხნით იყავით წასული, შესაძლოა ყველაფერი ისე არ დაგხვდეთ, როგორც დატოვეთ.

- კავშირები იქონიეთ იმათთან, ვისაც ანალოგიური გამოცდილება აქვთ. სტრესის გარეშე საუბრისა და დროის გატარების შესაძლოებლობა ყველაფრის განაალიზებაში დაგეხმარებათ.
- შეიმოწმეთ თქვენი გონებრივი მდგომარეობა. დახმარების თხოვნა არასდროს არის გვიან.

### **შენიშვნა მენეჯერებისა და რედაქტორებისთვის**

ტრავმის დაძლევის გეგმის კარგი მენეჯმენტი პერსონალის შრომისუნარიანობისა და ჯანმრთელობის დაცვის საკუთხში მთავარ როლს ასრულებს. რედაქტორის პასუხისმგებლობაა პერსონალს ტრავმა შეუმსუბუქოს და ზეგავლენის შესამცირებლად სამუშაო მექანიზმების ორგანიზება მოახდინოს. ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დარტ ცენტრს Dart Centre მისამართზე [www.dartcentre.org](http://www.dartcentre.org).

## **თავი 10**

ურთიერთობა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან

- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი კერძო ორგანიზაციაა, რომელიც 1863 წელს შვედეთის კანონის ქვეშ დაარსდა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაცია და წითელი მთვარის საზოგადოება ერთად საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის მოძრაობას ქმნიან.
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ჟურნალისტებთან დასახმარებლად, როგორც მოქალაქეებთან ან მათი პროფესიის გათვალისწინებით შეიძლება მივიდეს. თუმცა, მისი საოპერაციო ინსტრუქციები მკაცრია და კომიტეტთან თანამშრომლობა შემდეგი პრინციპების მიღებას ნიშნევას:
  - სიფრთხილე და კონფიდენციალურობა, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციას საზოგადოებისთვის დახურულ ადგილებზე მიუწვდება ხელი. ( წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მინდობილ საქმეებს სიფრთხილით მოეპყრობა. კომიტეტი, იმათგან ვისაც საქმეში ჩარევის უფლებას აძლევს, ინფორმაციის შენახვისადმი იგივე დამოკიდებულების გამოვლინებას ითხოვს. უფრო მეტიც, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი თავს იკავებს ბეჭდური კამპანიებისა და სხვა საჯარო განცხადებებისგან, ასევე, ჟურნალისტურ საქმეებთან დაკავშირებული სხვა მოქმედებებისგან. ეს რეზერვი ნეიტრალიტეტის პრინციპით არის ნაკარნახევი, რომელიც კომიტეტის მუშაობის მამოძრავებელია.)
  - ლეგალურობა. (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მხოლოდ დაინტერესებული მთავრობის სპეციალური შეთანხმებით მოქმედება შეუძლია.)
  - უწყვეტობა (კომიტეტი სამუშაოებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ასრულებს).
  - ნეიტრალიტეტი (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი დაკავების მიზეზებზე კომენტარს არ აკეთებს და არც დაკავებულების გათავისუფლების მოწოდებით გამოდის). კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ დაპატიმრებულების მონახულების ერთადერთი მოტივი ჰუმანიტარულია: ეს გაუჩინარების, წამებისა და ცუდად მოპყრობის პრევენციის, ფსიქოლოგიური და მატერიალური მდგომარეობის კვლევის, საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენისა და მთავრობისთვის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით მიმართვის საგანია.
- ზოგიერთ შემთხვევაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ჟურნალისტებს შეიძლება სპეციფიკური დახმარება აღმოუჩინოს:
  - საერთაშორისო კონფლიქტის ზონებში, კომიტეტი ჟურნალისტებს მინიმალური დაცვით უზრუნველყოფს, რაც ყველა სამოქალაქო პირისთვის არის გათვალისწინებული. დამატებითი პროტოკოლი 1 (1977) თავი 79:
    1. ჟურნალისტები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში სახიფათო პროფესიულ დავალებას ასრულებენ, მოქალაქეებად მიიჩნევიან, როგორც განმარტებულია 50-ე თავის პირველ პარაგრაფში.
    2. ისინი კონვენციებისა და ამ პროტოკოლის შესაბამისად იქნებიან დაცულები შემდეგი პირობების გათვალისწინებით, რომ ისინი ისეთ მოქმედებებს არ

განახორციელებენ, რაც მათ სტატუსს, როგორც სამოქალაქო პირებს საფრთხეს შეუქმნის და სამხედრო კორესპონდენტის უფლებებს, რომლებიც მესამე კონვენციის 4.4 თავის მიხედვით შეიარაღებულ ძალებთან არიან აკრედიტებულები, ზიანს არ მიაყენებს.

3. მათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიღება შეუძლიათ. დოკუმენტს იმ ქვეყნის მთავრობა გასცემს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან ან იმ სახელმწიფოსი, სადაც ისინი ცხოვრობენ ან სადაც მათი ახალი ამბების სააგენტო მდებარეობს. ეს მფლობელის, როგორც ჟურნალისტის სტატუსს დაადასტურებს.

აკრედიტირებულ ომის კორესპონდენტებს განსაკუთრებული სტატუსი აქვთ. ომის კორესპონდენტებს განიხილავენ, როგორც მათი ქვეყნის შეიარაღებული ძალების თანმხლებ ჟურნალისტებს. შეიარაღებული ძალები ვალდებულია ამ ჟურნალისტებისთვის პირადობის მოწმობა გასცეს. ამ საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელი, მტრის ხელში ჩავარდნისას ომის პატიმრის სტატუსს იძენს. ომის კორესპონდენტებს ჟენევის 1949 წლის კონვენცია იცავს, რომელიც ომის პატიმრებისადმი მოპყრობას ითვალისწინებს. თუმცა, ისეთ ადგილებში გადაადგილებისას, სადაც სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობს, ისინი განსაკუთრებული დაცვით არ სარგებლობენ.

შეგიძლიათ ორგანიზაციის შტაბ-ბინებს პირდაპირ ცხელ ხაზზე დაუკავშირდეთ. ეს საგანგებო სიტუაციებში მოქმედი ტელეფონის ნომერია (+41 79 2173285), რომელზე დარეკვაც საფრთხეში მყოფი ჟურნალისტების ნათესავებსა და მეგობრებს შეუძლიათ. ჟურნალისტის ოჯახს, დამსაქმებელს და პროფესიულ ორგანიზაციას შეუძლიათ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ინტერვენცია სთხოვონ. პირმა, რომელიც ორგანიზაციაში რეკავს, საქმესთან დაკავშირებით მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება უნდა შეძლოს და ხელისუფლების მხრიდან უკვე გატარებული ზომების შესახებ განაცხადოს.

## თავი 11

### პრესის თავისუფლების ფუნდამენტური დოკუმენტები

პრესის თავისუფლების პრინციპი საერთაშორისო კანონით არის აღიარებული. ეს ზოგად დეფინიციებს, რეგიონალურ ტექსტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შეიცავს ( უფლებები და ადათები, კონსტიტუციები, კანონები და ბრძანებები).

ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაციის მე-19 თავშია მითითებული, რომელიც გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო (დოკუმენტი 1). ამავე უფლებაზე კვლავ საუბარია 1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტსა (დოკუმენტი 2) და რამდენიმე რეგიონალურ კონვენციასა და ქარტიებში. ესენია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 თავი და 1950 წლის 4 ნოემბრის ფუნდამენტური თავისუფლებები (დოკუმენტი 3), 1969 წლის 22 ნოემბრის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის მე-13 თავი (დოკუმენტი 4) და 1981 წლის 12 ივლისის ადამიანის უფლებათა დაცვის აფრიკული ქარტიის მე-9 თავი (დოკუმენტი 5). ამონარიდები :

## დოკუმენტი 1

-----

### ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაცია

მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს

თავი 19 - ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება ადამიანს ანიჭებს თავისუფლებას, სხვათა ჩარევის გარეშე ჰქონდეს საკუთარი აზრი და ნებისმიერი მედია საშუალებით დამოუკიდებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია თუ იდეა.

## დოკუმენტი 2

-----

### სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო პაქტი

მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს

თავი 19 -1. ყველას უნდა გააჩნდეს საკუთარი აზრი სხვათა ჩარევის გარეშე.

2. ყველას უნდა ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლების უფლება; ეს უფლება უნდა მოიცავდეს შეზღუდვების გარეშე, ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას, ზეპირად, წერილობით, ბეჭდურად, ხელოვნების ფორმით თუ თავისი არჩევანის მიხედვით ნებისმიერი მედიასაშუალებით.

3. უფლებების განხორციელება, რომელიც ამ თავის მეორე პარაგრაფშია მითითებული, განსაკუთრებულ ვალდებულებებსა და პასიუხმგებლობებს ითვალისწინებს. იგი შეიძლება გარკვეული შეზღუდვების საგანი გახდეს, თუმცა ეს მხოლოდ კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს და აუცილებელია:

ა. სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად;

ბ. ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის თუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან ეთიკის დასაცავად.

### დოკუმენტი 3

-----

**ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია**

მიღებულია 1050 წლის 4 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს

თავი 10 -1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება, საჯარო ხელისუფლების ინტერვენციისა და შეზღუდვების გარეშე, საკუთარი აზრის ქონის, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას მოიცავს. ეს თავი სახელმწიფოებს ტელე-რადიო მაუწყებლობების ან კინოთეატრების მფლობელთა ლიცენზირების მოთხოვნისგან არ ათავისუფლებს.

- ამ თავისუფლებების განხორციელება, რამდენადაც იგი ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს შეიცავს, შეიძლება ფორმალობების, პირობების, შეზღუდვებისა და სასჯელის საგანი გახდეს, რამდენადაც ამას კანონი ითვალისწინებს და დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულისა თუ არეულობის პრევენციის, ჯანდაცვისა და ეთიკის, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად, კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროების პრევენციის ან მთავრობის მხარდაჭერისა და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისთვის აუცილებელია.

### დოკუმენტი 4

-----

**ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია**

მიღებულია 1969 წლის 22 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს

თავი 13 - გამოხატვისა და აზრის თავისუფლება - 1. ყველას აქვს გამოხატვისა და აზრის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეზღუდვების გარეშე ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას გულისხმობს, ზეპირად, წერილობით, ბეჭდურად, ხელოვნების ფორმით თუ სხვა წყაროს საშუალებით.

2. ამ უფლების დაცვა, რომელიც ზემო პარაგრაფშია მოცემული, არ უნდა გახდეს ცენზურის საგანი, მაგრამ შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის დაკისრების საგანი, რომელიც აუცილებელ შემთხვევაში კანონით იქნება დადგენილი. რათა მოხდეს:

ა. სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა;

ბ. ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ეთიკისა და ჯანმრთელობის დაცვა.

3. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი მეთოდებითა და საშუალებებით, როგორცაა მთავრობის შეურაცხყოფა ან საგაზეთო ქაღალდებზე პირადი ზეგავლენის საშუალებები, რადიო მაუწყებლობის სიხშირეები, აღჭურვილობა, რომელიც ინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენება, ასევე სხვა ნებისმიერი საშუალებით, რომელიც იდეებისა და მოსაზრებების გავრცელებისა და კომუნიკაციის შესაფერხებლად არის გამიზნული.

4. მე-2 პარაგრაფში მოყვანილი გარემოებების მიუხედავად, საჯარო გართობები შესაძლოა კანონის დაცვით ცენზურის საგანი გახდეს ერთადერთი მიზეზით, ბავშვებისა და მოზარდების ხელმისაწვდომობის დარეგულირებისა და მორალური დაცვის უზრუნველყოფისთვის.

5. ომის ნებისმიერი პროპაგანდა და ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური სიძულვილის მხარდაჭერა, რომელიც რასობრივ, კანის ფერის, რელიგიურ, ენობრივ, წარმომავლობის საფუძველზე ჩადენილი უკანონო ძალადობის ან ნებისმიერი პიროვნების, ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების წაქეზებას ნიშნავს, კანონით უნდა ისჯებოდეს.

## დოკუმენტი 5

-----

ადამიანის უფლებათა დაცვის აფრიკული ქარტია

მიღებულია 1981 წლის 12 ივლისს, ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს

თავი 9 - თითოეულ ადამიანს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება. ნებისმიერ ადამიანს კანონის ფარგლებში, გამოხატვისა და საკუთარი აზრის გავრცელების უფლებაუნდა ჰქონდეს.

## თავი 12

**მთავარი დოკუმენტები ჟურნალისტური ეთიკის შესახებ**

ჟურნალისტთა ორგანიზაციების მიერ შედგენილი ეს დოკუმენტები, ჟურნალისტიკის მთავარ პრინციპებს გამოყოფს, რომელიც ყველა ვითარებაში გამოიყენება,

განსაკუთრებით პრესის თავისუფლების დარღვევების გამოძიების დროს. ჟურნალისტების უფლებებისა და მოვალეობების დეკლარაცია (ცნობილი, როგორც „მიუნხენის ქარტია“) (დოკუმენტი 1) მიღებულია როგორც ავტორიტეტისანი. შეერთებული შტატებისა და მალის ქარტიებიდან ამონარიდები უფრო მეტი მაგალითითაა გაჯერებული.

## დოკუმენტი 1

-----

### **ჟურნალისტების უფლებებისა და ვალდებულებების დეკლარაცია („მიუნხენის ქარტია“)**

ეს დოკუმენტი შეიმუშავეს და დაამტკიცეს მიუნხენში 1971 წლის 24 – 25 ნოემბერს. მოგვიანებით იგი ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციამ და ევროპის ჟურნალისტთა კავშირების უმრავლესობამ მიიღო.

### **პრეამბულა**

გამოხატვის, ინფორმაციისა და კრიტიკის უფლება ადამიანის უფლებათა შორის ერთ-ერთი ფუნდამენტურია. ჟურნალისტის ყველა უფლება და მოვალეობა საზოგადოების სწორედ ამ უფლებიდან მომდინარეობს, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და მოსაზრებების შესახებ. საზოგადოების წინაშე ჟურნალისტის პასუხისმგებლობა სხვა პასუხისმგებლობებს აღემატება, განსაკუთრებით დამსაქმებლებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. ინფორმაციის მისია შეზღუდვებს შეიცავს, რომლებსაც ჟურნალისტები საკუთარ თავს სპონტანურად უწესებენ. ეს ქვემოთ ფორმულირებულ მოვალეობათა დეკლარაციის ობიექტია. ჟურნალისტს შეუძლია დაიცვას ეს მოვალეობები თუ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დამოუკიდებლობისა და პროფესიონალური ღირსების კარგი პირობები არსებობს.

### **მოვალეობათა დეკლარაცია**

ახალი ამბების მოძიების, რედაქტირებისა და კომენტირების პროცესში ჩართული ჟურნალისტის უმთავრესი მოვალეობებია:

1. მის მიმართ შექმნილი ვითარების მიუხედავად, დაიცვას სიმართლე, რამდენადაც საზოგადოებას სიმართლის ცოდნის უფლება აქვს.
2. დაიცვას ინფორმაციის, კომენტარისა და კრიტიკის თავისუფლება.
3. მოამზადოს სიუჟეტები მხოლოდ იმ ფაქტების შესახებ, რომლის საფუძვლებიც იცის; არ გამოტოვოს მთავარი ინფორმაცია, არ შეცვალოს ტექსტები და დოკუმენტები.

4. არ გამოიყენოს ახალი ამბების, ფოტოებისა და დოკუმენტების მოპოვების უსამართლო მეთოდები.
5. საკუთარი თავი შეზღუდოს სხვისი პირადი ცხოვრების პატივისცემით.
6. შეასწოროს გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელშიც უზუსტობაა გაპარული.
7. დაიცვას პროფესიული საიდუმლო და კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის წყარო არ გაასაჯაროვოს.
8. სერიოზულ პროფესიონალურ დანაშაულად შეაფასოს შემდეგი: პლაგიატიზმი, ცილისწამება, უსაფუძვლო ბრალდებები, ნებისმიერი ფორმით ქრთამის მიღება, იქნება ეს ახალი ამბის გამოქვეყნება თუ გაქრობა.
9. არასდროს აურიოს ჟურნალისტიკის პროფესია სარეკლამო განცხადებების გამყიდველებსა თუ პროპაგანდისტებში და უარი თქვას ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ სარეკლამო შეკვეთაზე.
10. ნებისმიერ ზეწოლას წინ აღუდგეს და სარედაქციო სტატიის შეკვეთა მხოლოდ პასუხისმგებელი პირებისგან მიიღოს.

ყველა ჟურნალისტი, რომელიც ღირსეულად ატარებს ამ სახელს, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვას საკუთარ მოვალეობად თვლის. ყველა ქვეყნის საყოველთაო კანონის ფარგლებში, ჟურნალისტი, პროფესიულ საკითხებში მხოლოდ საკუთარი კოლეგების იურისდიქციას აღიარებს და მთავრობისა თუ სხვათა მიერ ნებისმიერი სახის ინტერვენციას გამორიცხავს.

## უფლებათა დეკლარაცია

1. ჟურნალისტები ინფორმაციის ყველა წყაროზე თავისუფალ წვდომასა და საზოგადოებრივი ცხოვრების განმპირობებელი ყველა მოვლენის თავისუფალ კვლევას მოითხოვენ. ამავდროულად, საზოგადოებრივი თუ კერძო საქმის საიდუმლოს გამჟღავნებაზე ჟურნალისტებს უარი შეიძლება ეთქვას, გამონაკლის შემთხვევებსა და მკაფიოდ ახსნილი მიზეზების საფუძველზე.
2. ჟურნალისტს აქვს უფლება უარი თქვას რაიმე სახის მორჩილებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება საონფორმაციო ორგანოს ზოგად პოლიტიკას, რომელთანაც ის თანამშრომლობს, როგორცაა წერილობითი ფორმით დადგენილი და დაქირავების შესახებ კონტრაქტში თანდართული ან ნებისმიერი სუბორდინაცია, რომელიც ამ ზოგად პოლიტიკაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული.
3. ჟურნალისტს ვერ აიძულებენ ჩაიდინოს პროფესიული მოქმედება ან გამოხატოს მოსაზრება, რომელიც მის რწმენასა და სინდისს ეწინააღმდეგება.
4. სარედაქციო პერსონალი ვალდებულია, იყოს ინფორმირებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც შეიძლება კომპანიაზე გავლენა იქონიოს. მან სულ მცირე კონსულტაცია უნდა გაიაროს, ვიდრე ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც სარედაქციო გუნდთან აქვს კავშირი,

კატეგორიულ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს შეიძლება იყოს, ჟურნალისტების დაწინაურება, გათავისუფლება, ცვლილებები, ახალი თანამშრომლების მიღება.

5. საკუთარი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გათავისება. ჟურნალისტი არა მხოლოდ კოლექტიური შეთანხმებით განპირობებული უპირატესობებით სარგებლობებს, არამედ დასაქმების შესახებ ინდივიდუალური კონტრაქტით, რომელიც მისი საქმიანობის მატერიალურ და მორალურ უსაფრთხოებას იცავს ასევე სახელფასო სისტემა, რომელიც მის სოციალურ მდგომარეობას შეესატყვისება და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას განაპირობებს.

## დოკუმენტი 2

### ამონარიდები პროფესიონალ ჟურნალისტთა ამერიკული საზოგადოების ქცევის ნორმების კოდექსიდან

#### ემიეთ სიმართლე და გვაცნობეთ ამის შესახებ

ინფორმაციის მოძიების, გავრცელებისა და ინტერპრეტაციის დროს ჟურნალისტები გულწრფელები, მართლები და მამაცები უნდა იყვნენ.

ჟურნალისტები უნდა:

- მოყვნენ მრავალფეროვან ისტორიებს და მკვეთრად გაზარდონ კაცობრიობის გამოცდილება, თუნდაც ეს გასაკეთებლად არ იყოს პოპულარული.
- შეისწავლონ საკუთარი კულტურული ღირებულებები და არ ეცადონ სხვებისთვის ამ ღირებულებების მიწერას.
- თავი აარიდონ რასის, სქესის, ასაკის, რელიგიური მსოფლმხედველობის, ეთნიკური წარმომავლობის, გეოგრაფიული მდებარეობის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ფიზიკური ნაკლისა თუ სოციალური სტატუსის მიხედვით სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.
- მხარი დაუჭირონ შეხედულებების ღიად გაცვლას, თუნდაც ეს მოსაზრება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს.
- მისცენ ხმა უხმოებს; ოფიციალური და არაოფიციალური ინფორმაციის წყაროები თანაბარი ძალის მქონეა.

#### ზიანის შემცირება

ეთიკური ჟურნალისტები წყაროებს, საგნებსა და კოლეგებს, ეპყრობიან როგორც ადამიანებს, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ.

ჟურნალისტებმა უნდა:

- იცოდნენ, რომ ინფორმაციის შეგროვება და გაშუქება შეიძლება ზიანისა და დისკომფორტის მომტანი აღმოჩნდეს. ახალი ამბების თვალთვალი ქედმაღლობის ლიცენზია არ არის.
- აჩვენონ კარგი გემოვნება. თავი აარიდონ უხემ ცნობისმოყვარეობას.

### **დამოუკიდებლად მოქმედება**

ჟურნალისტები თავისუფალი უნდა იყვნენ ნებისმიერი ინტერესის წინაშე ვალდებულებისგან, გარდა საზოგადოების უფლებისა - იცოდეს;

ჟურნალისტებმა უნდა:

- აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი.
- დარჩნენ თავისუფალი ასოციაციებისაგან და მოქმედებებისგან, რომლებმაც ხელშეუხებლობასა და სანდოობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას.
- უარი თქვან საჩუქრებზე, მფარველობაზე, გადახდაზე, უფასოდ მგზავრობასა და განსაკუთრებულ მოპყრობაზე, ერიდონ მეორად დასაქმებას, პოლიტიკაში ჩართვას, საჯარო საქმიანობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაწევრიანებას თუ ეს ჟურნალისტურ მთლიანობას ეწინააღმდეგება.

### **იყავით პასუხისმგებელი**

ჟურნალისტები პასუხისმგებლები არიან საკუთარი მკითხველების, მსმენელების, მაყურებლებისა და ერთმანეთის წინაშე.

ჟურნალისტებმა უნდა:

- განმარტონ ახალი ამბების გაშუქება და ჟურნალისტურ საქმიანობაზე. საზოგადოებასთან დიალოგი აწარმოონ
- საზოგადოებას მოუწოდონ, გამოთქვას აზრი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიმართ არსებული პრეტენზიების შესახებ.

### **დოკუმენტი 3**

-----

### **მაღელი ჟურნალისტების ქცევის კოდექსიდან ამონარიდები**

ახალ ამბებზე ხელმისაწვდომობა და დაცვა, გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკა ფუნდამენტური ადამიანური თავისუფლებაა, რომელიც ვალდებულებებსა და უფლებებს შეიცავს. ეს კი ქცევის ნორმებისა და სახელმწიფოს, ჟურნალისტებისა და სხვა მედია მუშაკებისა თუ მოქალაქეებისათვის ურთიერთიერობასა და კომუნიკაციაში გზამკვლევეს წარმოადგენს.

### **ჟურნალისტის მოვალეობები**

თავი 7. ჟურნალისტებმა თავიანთი ხელშეუხებლობა ყველა შემთხვევაში, ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკანონო გასამრჯელოზე უარის თქმით უნდა აჩვენონ. მათ უარი უნდა თქვან ნებისმიერ ხელსაყრელ მოპყრობაზე, რომელიც ისტორიის გამოქვეყნებას ან არ გამოქვეყნებას უკავშირდება.

თავი 8. ჟურნალისტებმა არ უნდა გააშუქონ ძალადობა და სისასტიკე სენსაციური მიზნებისთვის.

თავი 9. ჟურნალისტებმა არ უნდა დაასახელონ არასრულწლოვანი დამნაშავეები და არ უნდა გამოაქვეყნონ მათი ფოტომასალა, რათა თავი აარიდონ მათი მომავლისთვის საფრთხის შექმნას.

თავი 13. ჟურნალისტებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ყოველივეზე, რასაც წერენ, თუნდაც ეს ანონიმური იყოს.

## **ჟურნალისტების უფლებები**

თავი 1. დასაქმებულ ჟურნალისტს საჯარო ინფორმაციის ნებისმიერ წყაროზე თავისუფლად უნდა მიუწვდებოდეს ხელი. ამ სფეროში საჯარო და კერძო საკითხების ჟურნალისტებისგან საიდუმლოდ შენახვის ახსნა მხოლოდ გამონაკლის და მკაფიოდ წარმოდგენილი მიზეზების საფუძველზე შეიძლება.

თავი 2. ჟურნალისტს შეუძლია უარი თქვას ბრძანების შესრულებაზე, რომელიც მისი დამსაქმებლის საერთო პოლიტიკას ეწინააღმდეგება, როგორც მის შრომით ხელშეკრულებაშია მითითებული, ასევე კონკრეტული ადამიანის მითითებაზე, რომელიც აღნიშნული პოლიტიკის თანახმად არ არის კომპეტენტური.

თავი 3. ჟურნალისტებს ვერ აიძულებენ ისეთი სამუშაოს შესრულებას ან აზრის გამოხატვას, რომელიც მათ რწმენასა და ცოდნას ეწინააღმდეგება. მათ ისეთი მოქმედებების ჩადენა არ უნდა აიძულონ, რაც პროფესიონალურ სტანდარტებთან კონფლიქტში მოდის.

თავი 4. ჟურნალისტებს უპირობო და შეუზღუდავი პირადი უსაფრთხოების, კანონიერი დაცვისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით ღირსების პატივისცემის უფლება აქვთ.

თავი 5. სარედაქციო გუნდი ინფორმირებული უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, რაც კომპანიას ზიანს აყენებს.

თავი 6. დასაქმებულ ჟურნალისტებს უფლება აქვთ შეკითხვა დაუსვან ნებისმიერ პირს, რომელსაც ისინი ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო მოვლენების შესახებ ანალიზისა და კომენტარებისთვის კომპეტენტურად მიიჩნევენ.



# დანართი

## დანართი 1

### სასარგებლო მისამართები

- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

ამნესთი ინტერნეიშენალი:

[www.amnesty.org](http://www.amnesty.org)

1 Easton Street

London WC1X ODW - UK

Tel: +44 (0) 207 413-5500. Fax: +44 (0) 207-956-1157

**ჰიუმან რაიტს ვოჩი:**

[www.hrw.org](http://www.hrw.org)

350 Fifth Avenue, 34th Floor

New York, NY 10018-3299 - USA

Tel: +1 212 290-4700. Fax: +1 212 736-1300

**ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაცია:**

[www.fidh.org](http://www.fidh.org)

17, passage de la Main d'or,

75011 Paris - France

Tel: +33 (0) 1 4355-2518. Fax: +33 (0) 1 4355-1880

**ადვოკატები საზღვრების გარეშე, საფრანგეთი:**

[www.avocatssansfrontieres-france.org](http://www.avocatssansfrontieres-france.org)

8, rue du Prieuré - 31000 Toulouse - France

Tél. : + 33 (0) 5 34 31 17 83 - Fax : + 33 (0) 5 34 31 17 84

**გამოხატვისა და პრესის თავისუფლებაში სპეციალიზებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები:**

თავი 19: [www.article19.org](http://www.article19.org)

Lancaster House - 33 Islington High St

London N1 9LH - UK

Tel: +44 (0) 207 278-9292. Fax: +44 (0) 207 713-1356

**ჟურნალისტების დაცვის კომიტეტი:**

[www.cpj.org](http://www.cpj.org)

330, Seventh Avenue, 12th Floor

New York, NY 10001 - USA

Tel: +1 212 465-1004. Fax: +1 212 465-9568

**ინდექსი ცენზორობაზე:**

[www.indexonline.org](http://www.indexonline.org)

Lancaster House, 33, Islington High street,

Londres N1 9LH , UK

Tel: +44 (0) 207 278-2313. Fax: +44 (0) 207 278-1878

**ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია:**

[www.ifj.org](http://www.ifj.org)

rue Royale 266,

B 1210 Brussels - Belgium

Tel: +32 (0) 2 223-2265. Fax: +32 (0) 2 219-2976

**გაზეთების მსოფლიო ასოციაცია:**

[www.wan-press.org](http://www.wan-press.org)

25, rue d'Astorg,

75008 Paris - France

Tel: +33 (0) 1 4742-8500. Fax: +33 (0) 1 4742-4948

**საერთაშორისო კალამი:**

[www.internationalpen.org.uk](http://www.internationalpen.org.uk)

Brownlow House, 50/51 High Holborn,

London WC1 V6ER - UK

Tel: +44 (0) 207 253-4308. Fax: +44 (0) 207 253-5711

**საერთაშორისო პრესის ინსტიტუტი:**

[www.freemedia.at](http://www.freemedia.at)

Spiegelgasse 2

A1010 Vienna - Austria

Tel: +43 (0) 1 512-9011 - Fax: +43 (0) 1 512-9014

**რეპორტიორები საზღვრების გარეშე:**

[www.rsf.org](http://www.rsf.org)

47, rue Vivienne,

75002 Paris - France

Tel: +33 (0) 1 4483-8484. Fax: +33 (0) 1 4523-1151

**მსოფლიო პრესის თავისუფლების კომიტეტი:**

[www.wpfc.org](http://www.wpfc.org)

11690-C Sunrise Valley Drive,

Reston, VA 20191 - USA

Tel: +1 703 715-9811. Fax: +1 703 620-6790

**გაერო-ს არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის ოფისი:**

[www.un-ngls.org](http://www.un-ngls.org)

Palais des Nations

CH-1211 Geneva 10 - Switzerland

Tel: +41 (0) 22 917-2076. Fax: +41 (0) 22 917-0432

**გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი:**

[www.ohchr.org](http://www.ohchr.org)

UNOG-OHCHR

CH-1211 Geneva 10 - Switzerland

Tel: +41 (0) 22 917-9000. Fax: +41 (0) 22 917- 9011

**წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი:**

[www.icrc.org](http://www.icrc.org)

19 avenue de la Paix

CH-1202 Geneva - Switzerland

Tel: +41 (0) 22 734-6001. Fax: +41 (0) 22 733-2057

**სისხლის საქმის საერთაშორისო სასამართლო:**

[www.icc-cpi.int](http://www.icc-cpi.int)

174 Maanweg

2516 AB The Hague - The Netherlands

Tel: +31 (0) 70 515-8515. Fax: +31 (0) 70 515-8555

**დევნილთა საკითხში გაერო-ს უმაღლესი კომისრის ოფისი:**

www.unhcr.ch

CP 2500

CH-1211 Geneva 2 - Switzerland

Tel: +41 (0) 22 739-8111. Fax: +41 (0) 22 731-9546

**იუნესკო:**

www.unesco.org

7, Place de Fontenoy

75732 Paris 07 SP - France

Tel: +33 (0) 1 4568-4203. Fax: +33 (0) 1 4568-5584

**ცენტურიონი რისკის შეფასება:**

www.centurionsafety.net

PO Box 1740,

Newquay, TR7 3WT - UK

Tel: +44 (0) 1726-862090. Fax: +44 (0) 1726-862099

## დანართი 2

### **რეპორტიორები საზღვრების გარეშე - შესავალი და კონტაქტები**

ზოგიერთ ქვეყანაში ჟურნალისტი ერთი მიუღებელი სიტყვისა ან ფოტოსთვის შეიძლება ციხეში წლობით ჩასვან. ჟურნალისტის დაპატიმრება ან მკვლელობა მოვლენის სასიცოცხლო მნიშვნელობის თვითმხილველის მოშორებას ნიშნავს და ემუქრება თითოეული ჩვენთაგანის უფლებას, ახალი ამბების შესახებ იყოს ინფორმირებული.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ 1985 წელს დაარსების შემდეგ, პრესის თავისუფლებისთვის ყოველდღიურად იბრძვის.

### **გამოიძიეთ, გამოააშკარავეთ და მხარი დაუჭირეთ**

რეპორტიორები საზღვრების გარეშე:

- იცავს ჟურნალისტებსა და მედიის თანამშრომლებს, რომლებიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის ციხეში ჩასვას ან დევნიან და ამ ჟურნალისტების წამებისა და არაადამიანურად მოპყრობის შესახებ ბევრ ქვეყანაში ავრცელებს ინფორმაციას.
- იბრძვის ცენზურისა და კანონების წინააღმდეგ, რომლებიც პრესის თავისუფლებას არღვევს.
- ყოველწლიურად 100-მდე ჟურნალისტისა და საინფორმაციო სააგენტოს, რომლებიც სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ, ასევე პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტების ოჯახებისთვის, ფინანსურ მხარდაჭერას გამოყოფს ( ადვოკატებისთვის, სამედიცინო მომსახურებისა თუ აღჭურვილობებისთვის).
- მუშაობს ჟურნალისტების უსაფრთხოების დაცვის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონაში მომუშავეთათვის.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ საფრანგეთში დარეგისტრირებულია, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია და გაერო-ში მრჩევლის სტატუსი აქვს.

2005 წელს, ორგანიზაციამ აზრის თავისუფლებისთვის ევროპარლამენტის „სახაროვის ჯილდო“ მიიღო.

### **საერთაშორისო ორგანიზაცია**

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ ხუთივე კონტიტენზეა წარმოდგენილი საკუთარი განყოფილებებით (ავსტრიაში, ბელგიაში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, შვედეთსა და შვეიცარიაში), მისი ოფისებია ნიუ-იორკში, ბრიუსელსა და ვაშინგტონში, სხვა ქვეყნებში 130-ზე მეტი კორესპონდენტი ჰყავს. ორგანიზაციას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ადგილობრივ და რეგიონალურ პრესის თავისუფლების ჯგუფებთან, რომლებიც „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ ორგანიზაციის ქსელის წევრები არიან, ავღანეთში, ბანგლადეშში, ბელორუსში, ბურმაში, კოლუმბიაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ერიტრეაში, ყაზახეთში, პაკისტანში, პერუში, რუმინეთში, რუსეთში, სომალიში, შეერთებულ შტატებსა და ტუნისში.

### **საერთაშორისო სამდივნო:**

რეპორტიორები საზღვრების გარეშე

47, rue Vivienne

75002 Paris - France

Tel: +33 (0) 1 4483-8484. Fax: +33 (0) 1 4523-1151

E-mail: [rsf@rsf.org](mailto:rsf@rsf.org) - Website: [www.rsf.org](http://www.rsf.org)

Africa desk: [africa@rsf.org](mailto:africa@rsf.org)

Americas desk: [americas@rsf.org](mailto:americas@rsf.org)

Asia desk: [asia@rsf.org](mailto:asia@rsf.org)

Europe desk: [europe@rsf.org](mailto:europe@rsf.org)

Middle-East desk: [middle-east@rsf.org](mailto:middle-east@rsf.org)

Internet desk: [internet@rsf.org](mailto:internet@rsf.org)

ეროვნული განყოფილებები

ავსტრია

Alser StraÙe 22/8

A1090 Vienna

Tel: +43 (0) 1 581-0011. Fax: +43 (0) 1 480-0395

E-mail: [info@rog.at](mailto:info@rog.at) - Website: [www.rog.at](http://www.rog.at)

ბელგია

Centre international de presse

Résidence Palace, Bloc C - Rue de la Loi 155 - 1040 Brussels

Tel: +32 (0) 2 235-2281. Fax: +32 (0) 2 235-2282

E-mail: [rsf@rsf.be](mailto:rsf@rsf.be)

კანადა

405 rue de bienville #1

Montreal (QC) H2J 1T1 - Canada

Tel: +1 514 521-4111. Fax: +1 514 521-7771

E-mail: [rsfcanada@rsf.org](mailto:rsfcanada@rsf.org) - Website: [www.rsfcanda.org](http://www.rsfcanda.org)

## ესპანეთი

Plaza del Callao, 4 - 10° B

28013 Madrid

Tel/fax: +34 (0) 91 522-4031

E-mail: [rsf@rsf-es.org](mailto:rsf@rsf-es.org)

## გერმანია

Brückenstraße 4 - 10179 Berlin

Tel: +49 (0) 30 202 15 10 - 0 - Fax: +49 (0) 30 202 15 10 - 29

E-mail: [kontakt@reporter-ohne-grenzen.de](mailto:kontakt@reporter-ohne-grenzen.de)

Website: [www.reporter-ohne-grenzen.de](http://www.reporter-ohne-grenzen.de)

## იტალია

Presso l'Associazione Stampa Estera Milano,

Via Principe Amedeo 5 - 20121 Milan

Tel: +39 (0) 339 36-80654

E-mail: [rsf-italia@rsf.org](mailto:rsf-italia@rsf.org)

## შვედეთი

JMK, Journalisthögskolan

Karlavägen 104 - Box 27861 - 115 93 Stockholm

Tel: +46 (0) 8 618-9336

E-mail: [reportrarutangranser@rsf.org](mailto:reportrarutangranser@rsf.org)

Website: [www.reportrarutangranser.se](http://www.reportrarutangranser.se)

## შვეიცარია

CP 48

1211 Geneva 8

Tel: +41 (0) 22 328-4488 - Fax: +41 (0) 22 328-4489

E-mail: [rsf-ch@bluewin.ch](mailto:rsf-ch@bluewin.ch)

ოფისები

შეერთებული შტატები

Tala Dowlatshahi

Mobile: +1 917 239-0653

E-mail: [rwb\\_ny@rsf.org](mailto:rwb_ny@rsf.org)

ვაშინგტონი

Clothilde Le Coz - Reporters Without Borders

Southern Railway Building - 1500 K Street NW, Suite 600

Washington DC 20005

E-mail: [clc@rsf.org](mailto:clc@rsf.org)

Tel: +1 202 256-5613

### დანართი 3

**სადაზღვევო პოლისი უშტატო ჟურნალისტებისა და ხელშეკრულებით მომუშავე ფოტოგრაფებისთვის**

საერთაშორისო საინფორმაციო სამსახურში რისკების შესახებ ცოდნის საფუძველზე „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ და „ესკაპად ინშურენსი“ ფოტო რეპორტიორებს,

ჟურნალისტებსა და უშტატო რეპორტიორებს, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან უცხო ადგილას სამუშაოდ მიდიან, ჯანმრთელობის საერთაშორისო დაზღვევას სთავაზობენ. ქვემოთ მოცემული დაცვის ორი გეგმა 24/7, ნებისმიერ უცხო ქვეყანაში დავალების შესრულებისას, მათ შორის დღევანდელ ცხელ წერტილებში მუშაობს.

1. „აუცილებელი გეგმა“ დაცვის საგანგებო მხარდაჭერას უზრუნველყოფს.
2. „გაფართოებული გეგმა“ დამატებით სამედიცინო დაზღვევას უზრუნველყოფს (მათ შორის მანამდე არსებულ მდგომარეობებს, სამხედრო საზღვაო ქვეითებთან ერთად მოგზაურობისას, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებისას მოქმედებს) ასევე ფინანსურ კომპენსაციას შემდეგ შემთხვევებში:
  - პროფესიული დავალების შესრულებისას უბედური შემთხვევის დროს დაღუპვა
  - უბედური შემთხვევის დროს შრომისუნარიანობის წართმევა ან წევრობიდან გარიცხვა

### **მოქმედების ზონის აღწერა**

ქვემოთ აღწერილი ორი სადაზღვევო გეგმა ომის რისკებსა და ტერორისტული აქტებისა თუ საზოგადოებრივი დესტაბილიზაციის შედეგებს ფარავს.

გამონაკლისი: რეპორტიორი ამ მოვლენების დროს პასიური უნდა იყოს.

### **გადაწყვეტა 1 : რეპორტიორის დახმარება - მთავარი გეგმა**

ამ სადაზღვევო პოლისის შექმნა, რომელიც მთავარ რისკებზეა ფოკუსირებული, ონლაინ მეთოდით შეიძლება და იგი 1-დან 365 დღემდე მოქმედებს:

- **ტერიტორიული შეზღუდვები.**
  - სამშობლოს საზღვრებს გარეთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.
  - ერთადერთი ტარიფი, დამატებით სადაზღვევო შენატანით მაღალი რისკის შემცველი ქვეყნებისთვის, როგორცაა ერაყი, ავღანეთი, ისრაელი, დასავლეთ სანაპირო, ლაზის სექტორი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სომალი, იემენი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი) - ცვლილებას ექვემდებარება.
- **შექმნის მეთოდი**
  - ონლაინ მეთოდი: შესვლისთვის მოითხოვს კოდებს შემდეგ ვებ-გვერდებზე [assurance@rsf](mailto:assurance@rsf) ან [insurance@rsf.org](mailto:insurance@rsf.org).
- **სამედიცინო ხარჯები (მსოფლიოს მასშტაბით)**
  - გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საფასურის 100 პროცენტიანი ღირებულება.
  - არავითარი გამოქვითვას დაქვემდებარებული თუ თანადაფინანსება.
  - ყველა სამედიცინო გადასახადის პირდაპირი ანაზღაურება.

- გაითვალისწინეთ, რომ მანამდე არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობა არ ანაზღაურდება.
- გაითვალისწინეთ, რომ სამხედრო თუ სამთავრობო ტრანსპორტით საზღვაო, სახმელეთო თუ საჰაერო მოგზაურობა არ ანაზღაურდება.

## **დახმარების სერვისები (მსოფლიოს მასშტაბით)**

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ევაკუაციის სრული დაფარვა.
- მრავალენოვანი პერსონალით დაკომპლექტებული დახმარების ცენტრები 24/7 ხელმისაწვდომია.
- ორგანიზება და დაზღვევა:
- სამედიცინო ევაკუაცია და პოლისის მფლობელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას რეპატრიაცია ასევე ცხედრის გადასვენება, გარდაცვალების შემთხვევაში.
- **არჩვანი: პირადი პასუხისმგებლობა (მსოფლიოს მასშტაბით)**
  - „ესკაპად ინშურენსისთვის“ სურვილისამებრ პირდაპირი მიმართვა
  - 60 000-მდე ევრო, რომელიც გამოქვითვას არ ექვემდებარება.
  - უზრუნველყოფს პირადი პასუხისმგებლობის ფინანსურ კომპენსაციას, რომელსაც რეპორტიორი სხეულის დაზიანების ან მატერიალური ზიანის დროს იღებს.

## **გადაწყვეტა 2: რეპორტიორის დახმარება - გაფართოებული გეგმა**

ეს სადაზღვევო პოლისი ნებისმიერ სამედიცინო ხარჯს ანაზღაურებს, რომელიც უცხო ქვეყანაში საგანგებო სიტუაციისთვის ან ექიმთან ჩვეულებრივი ვიზიტისთვის გამოიყოფა. იგი 65 წლამდე ასაკისთვის არის ხელმისაწვდომი.

### **ტერიტორიული შეზღუდვები**

- მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
- დანიშნულების ადგილას არსებული რისკის დონეზე განსაზღვრული ტარიფები (არავითარი გეოგრაფიული გამონაკლისი).

### **სამედიცინო ხარჯები (მსოფლიოს მასშტაბით)**

- სამედიცინო ხარჯების 100 % ანაზღაურება 630 000 ევროს ფარგლებში.
- არავითარი გამოქვითვა და საცდელი ვადა.
- ყველა სამედიცინო გადასახადისა და 300 ევროზე ზემოთ მომსახურების პირდაპირი დაფარვა.
- უბედური შემთხვევისას, სტომატოლოგიური მომსახურების ანაზღაურება 1 250 ევროს ფარგლებში.

- გაითვალისწინეთ, მანამდე არსებულ ჯანმრთელობის მდგომარეობას ეს გეგმა ანაზღაურებს.
- გაითვალისწინეთ, რომ დაზღვევა სამხედრო თუ სამთავრობო სატრანსპორტო საშუალებით საზღვაო, სახმელეთო თუ საჰაერო მოგზაურობისას უბედური შემთხვევების ხარჯებს ანაზღაურებს.

### **დახმარების სერვისები (მსოფლიოს მასშტაბით)**

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ევაკუაციის სრული ანაზღაურება.
- მრავალენოვანი პერსონალით დაკომპლექტებული დახმარების ცენტრები 24/7 ხელმისაწვდომია.

### **არჩევანი: ფულადი სარგებელი უბედური შემთხვევის დროს გარდაცვალების ან წევრობიდან გარიცხვის შემთხვევაში**

- სარგებლის არჩევანი 150 000 ევროს ფარგლებში.
- უბედური შემთხვევის დროს გარდაცვალებისას ფულადი ანაზღაურება.
- ორმაგი ფულადი კომპენსაცია ყველა კიდურის პარალიზების, ქვედა ან ზედა კიდურების პარალიზების შემთხვევაში.
- ნახევარი კომპენსაციის გაცემა წევრობიდან გარიცხვის ან ერთი კიდურის თუ გრძონის ორგანოს დაკარგვის შემთხვევაში.

### **არჩევანი: პერსონალური პასუხისმგებლობა (მსოფლიოს მასშტაბით)**

იგივე რაც გადაწყვეტა 1-ში.

#### **დაფარვის იმპლემენტაცია**

- **დახმარება**

დაზღვეულმა რეპორტიორმა აუცილებლად უნდა მიმართოს რჩევისთვის ან „დანის ihi დახმარებას ( თუ გადაწყვეტა 1-ს შეიძენთ) ან კანადის AXA- ს დახმარებას (გადაწყვეტა 2) (საკონტაქტო ინფორმაცია დახმარების ბარათზეა აღნიშნული, რომელსაც შეძენის შემთხვევაში მიიღებთ).

- **სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება**

თუ პოლისის მფლობელი საავადმყოფოში აღმოჩნდა, სამედიცინო ცენტრს დახმარების ბარათი უნდა წარუდგინოს, რათა მათ სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირება შეძლონ. დაზღვევა სამედიცინო ხარჯებს პირდაპირი გზით ანაზღაურებს.

#### **დამატებითი ხარჯების ანაზღაურება**

შესაბამისი პერიოდის განმავლობაში „ესკად ინშურენსის“ დაუკავშირდით.

## ინფორმაცია, რომლის უზრუნველყოფაც მოხდება

- გადაწყვეტა 1-თვის: რეპორტიორის დახმარება - მთავარი გეგმა

ვიდრე სადაზღვევო პოლისს შეიძენს, რეპორტიორი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“-ს წევრია.

- გადაწყვეტა 2-თვის: რეპორტიორის დახმარება - გაფართოებული გეგმა

პოლისის ყიდვა შესაძლებელია „ესკაპად ინშურენსის“ კონსულტაციის მეშვეობით. რეპორტიორმა შემდეგი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს:

- მოქალაქეობა
- დაბადების თარიღი
- მისამართი- ტელეფონი - ელ.ფოსტა
- ქვეყანაში დარჩენის კონკრეტული თარიღები
- გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაციის რაოდენობა, ბენეფიციარების სახელებით

## დანართი 4

### სახიფათო ადგილებში სამუშაოდ წამსვლელი ჟურნალისტების ტრენინგი

აქ მოცემულია ორგანიზაციების მონაცემები, რომლებიც ადამიანებს, ვინც სახიფათო ადგილებში წასვლას გეგმავენ, ტრენინგს სთავაზობენ. მსგავს ტრენინგებს

ჟურნალისტებისთვის საფრანგეთში თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ოფისიც უზრუნველყოფს.

### **შპს. ეიკ**

St Owen's Chambers - 22 St Owen Street

Hereford HR1 2PL - UK

Tel: +44 (0) 1432-267111 - Fax: +44 (0) 1432-350227

E-mail: [services@akegroup.co.uk](mailto:services@akegroup.co.uk) - Website: [www.akegroup.com](http://www.akegroup.com)

### **ბიოფორსი**

41 avenue du 8 mai 1945

69694 Venissieux - France

Tel: +33 (0) 4 7289-3141 - Fax: +33 (0) 4 7870-2712

E-mail: [info@bioforce.asso.fr](mailto:info@bioforce.asso.fr)

### **ცენტურიონ რისკის შეფასების სერვისები**

PO Box 1740

Newquay TR7 3WT - UK

Tel: +44 (0) 1726-862090 - Fax: +44 (0) 1726-862099

E-mail: [main@centurionsafety.net](mailto:main@centurionsafety.net) - Website: [www.centurionsafety.net](http://www.centurionsafety.net)

### **შპს. ობიექტური გუნდი**

North Hampshire - Brag Borough Lodge Farm

Braunston NN1 7HA - UK

Tel: +44 (0) 1788-899029 - Fax: +44 (0) 1788-891259

Website: [www.objectiveteam.com](http://www.objectiveteam.com)

### **სიპექსი**

Europe Evénements - Jérôme SALSE

Formation SIPPEX

29 rue Jules Guesde

92300 Levallois-Perret - France

Tel: +33 (0) 1 4127-2782 - Fax: +33 (0) 1 4737-4007

E-mail: [j.salse@sippex.net](mailto:j.salse@sippex.net) - Website: [www.sippex.net](http://www.sippex.net)

დოკუმენტური ფილმის შემქმნელთა ჯგუფი

Ximena Cordova

225A Brecknock Road

London N19 5AA - UK

Tel: +44 (0) 207 428-0882

E-mail: [ximena@dfglondon.com](mailto:ximena@dfglondon.com) - Website: [www.dfglondon.com](http://www.dfglondon.com)

მაღალი რისკისგან დაცვის სამსახურები

PO Box 2094 - Eagle Lake

Florida 33839-2094 - USA

Tel: +1 863 398-8881 - Fax: +1 863 294-7561

E-mail: [highrisk@att.net](mailto:highrisk@att.net) - Website: [www.atrisksecurity.com](http://www.atrisksecurity.com)

შენიშვნები

---

---

---



საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო  
ოფისის მხარდაჭერით

რეპორტიორები საზღვრების გარეშე

47, rue Vivienne

75002 Paris - France

Tel: +33 (0) 1 4483-8484. Fax: +33 (0) 1 4523-1151

E-mail : [rsf@rsf.org](mailto:rsf@rsf.org) - Web : [www.rsf.org](http://www.rsf.org)